გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,

ხუთშაბათი, 16 ივნისი, 2005 წელი.

№141 (5174)


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბუნებრივი სიცოცხლეა, ცხოვრებით და ჭირებით ბუნების გაცანა ყველა უკეთ-რისხვაზე უსამართლოა.


# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.


## SIC! ვინ არღვევს ქვეყნის უმაღლეს კანონს?



„...თუ საკანონმდებლო აქტი არ არსებობს, პრეზიდენტის ბრძანებულება არ უნდა გამოიცეს. იმის მოშველიება, რომ, თუ საკანონმდებლო აქტით შესაბამისი საკითხი არ არის მოწესრიგებული, პრეზიდენტმა მაინც შეიძლება გამოსცეს ბრძანებულება, არღვევს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობისა და კანონიერების საკითხს“.

„მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი, რომელსაც ეყრდნობა დასახელებული ბრძანებულება, ანტიკონსტიტუციურია და პრეზიდენტს გაუმართლებელი თვითნებობის უფლებას აძლევს“...

„უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის მთელი გარდამავალი დებულებები საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა გააუქმოს, როგორც ამ კანონის არაკონსტიტუციური ნაწილი“.

**რა აძლევს ამის მტკიცების უფლებას სწავლულ იურისტს, რომელ ბრძანებულებაზეა საუბარი და ვინ არღვევს ქვეყნის უმაღლეს კანონს?**

იხ. მე-3 გვ.

## საქართველოს მეცნიერებათა აკადემია არ უნდა დაინგრეს!

**ნუ ვათქმევინებთ შთამომავლობას, რომ „ვარდების რევოლუციამ“ დაანგრია საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და მოსპო ქართული მეცნიერება.**

**აკადემია უნდა იყოს არა „მეცნიერთა ერთგვარი ასოციაცია“ თუ „საპატიო კლუბი“, არამედ ფუნდამენტურ მეცნიერებათა ეროვნული ცენტრი.**

**„საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტს ესაუბრება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე.**

იხ. მე-3 გვ.





## ბენზომაფია: ყველა ერთი მთხლეა — „სუპერიც“, „ნორმალიც“, „ნეონორმალიც“...

„ყველა ერთი მთხლეა – „სუპერიც“, „ნორმალიც“ და „ნეონორმალიც“, „ყაყაჩოც“ და „გვირილაც“. უბრალოდ, ფანტაზია უნდა გქონდეს, თორემ ისეთ ბენზინს, რომელსაც ჩვენი იმპორტიორები მომხმარებელს სთავაზობენ, შეიძლება „კვირინჩხიც“ შეარქვა და „ტყემლის შეჭამადიც“...

„...საერთაშორისო ბაზარზე ნავთობპროდუქტების ფასმა შედარებით დაიწია, ქართულმა ბაზარმა კი კურსი უცვლელად შეინარჩუნა“....

**რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ ქართული ბენზომაფია არც ბაზარს ემორჩილება და არც კანონს. თუმცა, არის სხვა მიზეზებიც...**

იხ. მე-6 გვ.

### ინფორმაცია

## ქართული სახელმწიფოს მაჯისცემა

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კიევში მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმში მიიღებს მონაწილეობას**

კიევშივე დაგეგმილია საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრები ესტონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან არნოლდ რუიტელთან, აზერბაიჯანის პრეზიდენტთან ილჰამ ალიევთან, მოლდოვას პრეზიდენტთან ვლადიმერ ვორონინთან, ასევე პოლონეთის პრეზიდენტთან ალექსანდრე კვასნევსკისთან.

17 ივნისს საქართველოს პრეზიდენტი კიევში საქართველოს საელჩოს მშენებლობის დაწყების ცერემონიალში მიიღებს მონაწილეობას. მოგვიანებით, საქართველოს პრეზიდენტი და უკრაინის პრემიერ-მინისტრი იულია ტიმოშენკო მონაწილეობას მიიღებენ სარკინიგზო მაგისტრალის გახსნისა და აღნიშნული სარკინიგზო შემადგენლობის კიევიდან თბილისში გამომგზავრების ღონისძიებაში.

საქართველოს პრეზიდენტი თბილისში 17 ივნისს 23 საათზე დაბრუნდება.

* * *

**წყალდიდობისგან დაზარალებულ რაიონებს სოფლის მეურნეობის მინისტრი სტუმრობს**

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი წყალდიდობის შედეგად დაზარალებულ დუშეთის რაიონის მოსახლეობას თანადგომასა და დახმარებას ჰპირდება.

როგორც მთავრობის გუშინდელ სხდომაზე ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, პირველ რიგში საჭიროა აღდგეს რეგიონის ინფრასტრუქტურა, ანუ აღდგეს ხიდები, კომუნიკაციები და საავტომობილო გზები. ამასთან ერთად, ნოღაიდელს აუცილებლად მიაჩნია, გაიცეს კომპენსაციები და დახმარება აღმოუჩინონ სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს.

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე, ასევე, ცნობილი გახდა, რომ სტიქიამ მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა ქვემო ქართლს. კერძოდ, დმანისში და ბოლნისში მოსული სეტყვის შედეგად დაზარალდა სასოფლო-სამეურნეო ნათესები. ამ მიზნით რეგიონს პრემიერ-მინისტრის განცხადებით, სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი ეწვევა, რომელიც ადგილზე შეისწავლის ვითარებას და ხელისუფლებას მოახსენებს, თუ რა ზომებია საჭირო აღნიშნული ზარალის ასანაზღაურებლად და ვითარების გამოსასწორებლად.

* * *

**დაკარგული ქართველების ძებნა კვლავ უშედეგოდ გრძელდება**

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონიდან გაუჩინარებული ოთხი ქართველის, ხაჭაპურიძეებისა და ლომიძის ძებნა ცხინვალში, ეგრეთ წოდებულ ტექსტილის დასახლებაში გრძელდება. ძებნის ოპერაციას, ძირითადად, ოსი ძალოვნები ახორციელებენ, ქართველი სამართალდამცავები კი სამძებრო ჯგუფებში მხოლოდ დამკვირვებლის სტატუსით არიან ჩართულნი.

ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, უკვე შემოწმდა რამდენიმე მიტოვებული შენობა, თუმცა დაკარგულების კვალი ჯერ ნაპოვნი არ არის.

ტექსტილის დასახლებაში ძებნის ოპერაციის ჩატარება მას შემდეგ გადაწყდა, რაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ქართველები ამ დასახლებაში მოქმედი ოსური კრიმინალური დაჯგუფების წევრებმა გაიტაცეს.

### საზღვარგარეთ

## საერთაშორისო ცხოვრების პანორამა

**ამერიკელი დეზერტირი ჯარისკაცი 40 წლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა.**

ის 1965 წელს გაიწვიეს ჩრდილოეთ კორეაში, მაგრამ მალე მიატოვა სამხედრო ნაწილი და კორეის ერთ-ერთ ქალაქში დასახლდა... ჯარისკაცი ისე მოხერხებულად ემალებოდა სამხედრო ტრიბუნალს, რომ 40 წელიწადი ვერსად იპოვეს. სახლში მას მოხუცი დედა დახვდა...

* * *

**ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი ანტანას ვალიონისი აღშფოთებულია რუსი პოლიტიკოსების არაადეკვატური რეაქციით მის სამართლიან განცხადებაზე...**

მინისტრმა პრინციპულად მოითხოვა რუსული მხარისგან „საბჭოთა ოკუპაციის“ გამო მიღებული ზარალის კომპენსაცია, რუსებმა კი ანტანას ვალიონისი სასტიკად გააკრიტიკეს და მისი გამოსვლა ტელევიზიითაც აჩვენეს...

* * *

**ისრაელი მზად არის ქალაქი ჯენინი პალესტინის უშიშროების სამსახურებს გადასცეს.**

ორი მხარის მოლაპარაკების შედეგად, ეს ღაზის სექტორიდან ისრაელთა საჯარისო ფორმირებების შემდეგ მოხდება. ისრაელი ჯენინას და მდინარე იორდანის ნაპირებს რამდენიმე დღეში დატოვებს.

* * *

**ევროკავშირის სამიტზე, რომელიც დღეს იხსნება ბრიუსელში, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი კვლავ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.**

როგორც იტალიური გაზეთი La Repubblica იუწყება, საკითხი შეეხება ევროკავშირის დაფინანსებას და ამ ორგანიზაციის კონსტიტუციის რატიფიცირებას.



### ნომრის კადრები



გუშინ საპატრიარქოში კათალიკოს-პატრიარქის ილია II ინიციატივით შეიქმნა საკოორდინაციო ცენტრი, რომელიც სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენლებს გააერთიანებს.



რამდენიმე დღეში ჭავჭავაძის პროსპექტი მთლიანად გადაიკეტება და დედაქალაქის ერთ-ერთი ცენტრალური მაგისტრალის რეკონსტრუქცია გაგრძელდება. გუშინ პირველი სამუშაოები დაიწყო...

## ქვიშის აპეური

## კავკასიელთა ეთნოკონფლიქტებს „აგვარებს“ ის ქვეყანა, რომელიც კავკასიელებს თავად ხოცავს



„აი ასეთი რუსეთი „აგვარებს“ კონფლიქტებს კავკასიელებთან, იმ ხალხებთან, რომლებსაც საკუთარ ქვეყანაში ყელს ღადრავს, ხოლო სხვაგან, თუნდაც საქართველოში, იარაღით ძეძგავს“.

**ნეტა, კიდევ როდემდე უნდა ვითმინოთ ეს რუსული ტანკები, რომელთაც შიგადაშიგ მაინც მოსდევს უდანაშაულო ადამიანთა ცხედრები?**

იხ. მე-3 გვ.

### ახალგაზრდობა: თუ კაიფია, კაიფი იყოს!..

იხ. მე-4 გვ.


## არქიტექტურული კონკურსი

საქართველოს არქიტექტორთა კავშირი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტი და ნაკვეთის მფლობელი ფიზიკური პირები აცხადებენ ადგილობრივი მნიშვნელობის ღია კონკურსს ქ. თბილისში, საირმის გორაზე ათბინიანი საცხოვრებელი სახლის საუკეთესო ესკიზური პროექტის გამოსავლენად. გამარჯვებულთათვის დაწესებულია სამი პრემია, თითოეული 4 000 ლარის ოდენობით.

კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაცია, საკონკურსო პროგრამა და პირობები გაიცემა 2005 წლის 7 ივნისიდან საქართველოს არქიტექტორთა კავშირში: დ. აღმაშენებლის გამზირი 89/24, III სართული, ნუგზარ დუდუჩავასთან.

ტელეფონი: 22-74-02, 96-86-58. ფაქსი: 95-99-87.

ელ-ფოსტა: archunion geo@yahoo.com.


### „მოდმენ ხასიათზე – ჩალაი მაძღენ“...

იხ. მე-8 გვ.

## ანონსი

**როგორ გაიფლანგა და მავანთა ჯიბეებში დაილექა საქართველოს ენერგეტიკისთვის გამოყოფილი უცხოური კრედიტებიდან ერთ-ერთი — მრავალმილიონიანი იაპონური კრედიტი და როგორ გახდება იგი ჩვენი ისედაც გაუბედურებული მოსახლეობის ან, სულაც, მომავალი თაობების გადასახდელი...**

**რატომ ბოგინობენ კვლავაც დაუსჯელად საქართველოს ენერგეტიკაში თაღლითები, რომელთაც ვერც ადრე ურტყამდათ მოპარული დენი და არც ახლა აკლიათ მცველები? ამის შესახებ იხილეთ ჟურნალისტური გამოძიების მიერ მოპოვებული მასალა, რომელიც ჩვენი გაზეთის ხვალინდელ ნომერში გამოქვეყნდება.**

◉ თანამშრომლობა

# ყოველი შეხვედრა კიდევ უფრო გვაახლოებს

**– გულითადად მოგესალმებით თანამეგობრობის მონაწილე ქვეყნების რკინიგზის ტრანსპორტის საბჭოს 41-ე სხდომის მონაწილეებს, – განაცხადა სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ ამ სხდომის გახსნისას შპს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალურმა დირექტორმა დავით ონოფრიშვილმა, რის შემდეგ სიტყვა გადასცა საბჭოს თავმჯდომარეს გენადი ფადეევს.**



ბატონმა გენადი ფადეევმა მადლობა გადაუხადა სს „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობას თბილისში მოწვევისთვის და, თავის მხრივ, სიტყვა გადასცა საქართველოს პრემიერ-მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს, რომელმაც ისაუბრა რკინიგზის ტრანსპორტის უდიდეს როლზე, რომელსაც იგი დსთ-ს ქვეყნებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებში ასრულებს და სახელმწიფოთაშორისო სატრანსპორტო-ეკონომიკური კავშირების ხორცშესხმაში წამყვანი ადგილი უკავია. ევროპისა და აზია – წყნარი ოკეანის რეგიონის, ასევე ინდოეთის ოკეანისა და სპარსეთის ყურის ქვეყნებს შორის რკინიგზით მნიშვნელოვანი მოცულობის ტრანზიტული გადაზიდვები ხორციელდება.

– როგორც ტრანსევრაზიული სატრანსპორტო დერეფნის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს, საქართველოს რკინიგზას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქვეყნის ეკონომიკაში, – თქვა ზურაბ ნოღაიდელმა. სახელმწიფოთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გასამყარებლად და ერთიანი ეკონომიკური სივრცის განსავითარებლად, 1992 წლის 14 თებერვალს, დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა შეთანხმების საფუძველზე, შეიქმნა რკინიგზის ტრანსპორტის კავშირი და მისი აღმასრულებელი ორგანო – კავშირის დირექცია. კავშირის წევრები არიან დსთ-ს მონაწილე ქვეყნების რკინიგზების ადმინისტრაციების ხელმძღვანელები. მის მუშაობაში, ასოცირებული წევრების სტატუსით, მონაწილეობენ ბულგარეთისა და ლატვიის რკინიგზების ადმინისტრაციები და, შეთანხმების შესაბამისად, ლიტვისა და ესტონეთის რკინიგზების ადმინისტრაციები, ხოლო ფინეთის რკინიგზის დირექცია და რკინიგზელთა და ტრანსპორტის მშენებელთა პროფკავშირების საერთაშორისო კონფედერაცია საბჭოს მუშაობაში მეთვალყურეთა სტატუსით გამოდის.

– ვიმედოვნებ, რომ რკინიგზის ტრანსპორტის საბჭოს ახლანდელი სხდომა ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების გაძლიერებას. გისურვებთ წარმატებულ მუშაობას, – თქვა ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა და რკინიგზის ტრანსპორტის ადმინისტრაციების წარმომადგენელთა სხდომის მონაწილეებს საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიმართვა გააცნო.

სხდომაზე მოკლე მოხსენებით გამოვიდა თანამეგობრობის ქვეყნების რკინიგზების ადმინისტრაციების ხელმძღვანელთა საბჭოს თავმჯდომარე გენადი ფადეევი, რომელმაც განაცხადა, რომ საბჭო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რკინიგზების ტექნოლოგიურ ერთიანობას, რისთვისაც მიიღო დადგენილება რკინიგზების ტექნიკური ექსპლუატაციის ერთიანი დებულებების, სიგნალიზაციის, მატარებლების მოძრაობის შენარჩუნების შესახებ. გარდა ამისა, მიღებულია მთელი რიგი ტექნოლოგიური დოკუმენტები.



რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის სრულყოფისკენაა მიმართული საბჭოს მიერ მიღებული და ამჟამად განხორციელებადი დსთ-ს მონაწილე ქვეყნების, ასევე ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის რკინიგზების საინფორმაციო-გამოთვლითი ქსელის განვითარების პროგრამა, რომელიც მონაცემთა მიწოდების არსებული ქსელების მოდერნიზებასაც ითვალისწინებს და მოწინავე საინფორმაციო ტექნოლოგიებზე დაყრდნობით, ინფორმაციის ერთიანი სისტემის შექმნასაც.

1993 წლის თებერვალში, რკინიგზების ადმინისტრაციების სატარიფო ხელშეკრულების ფარგლებში ტარდება შეთანხმებული სატარიფო პოლიტიკა, რომლის ძირითადი პრინციპია საბაზო განაკვეთთა ზედა ზღვრის დადგენა ყოველწლიურ სატარიფო კონფერენციებზე.

საბჭოს ფარგლებში ასევე ყოველწლიურად ადგენენ და ახორციელებენ სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა გეგმას, რომელიც რკინიგზების ადმინისტრაციების დაკვეთების შესაბამისად მუშავდება.

კავშირის მოქმედების პერიოდში გაიმართა ორმოცი სხდომა, რომლებზეც განიხილეს რკინიგზების შეთანხმებული მოქმედებებისა და თანამშრომლობის საკითხების ფართო სპექტრი, შექმნილია რკინიგზების მუშაობის ნორმატიულ-სამართლებრივი და ნორმატიულ-ტექნიკური ბაზა.

15-17 ივნისს თბილისში გამართულ საბჭოს 41-ე სხდომაზე განიხილავენ 2005 წლის 24-26 თებერვალს მოსკოვის სხდომის გადაწყვეტილებათა შესრულებასა და წლევანდელი ხუთი თვის მანძილზე რკინიგზების საექსპლუატაციო მუშაობის შედეგებს. აღსანიშნავია, რომ წლეულს 103,7 პროცენტით გაიზარდა რკინიგზით გადაზიდული ისეთი მნიშვნელოვანი ტვირთის მოცულობა, როგორიცაა რკინისა და მარგანეცის მადანი, ქიმიური და მინერალური სასუქი, ცემენტი, ხეტყე, ასევე სამშენებლო მასალები, სამრეწველო ნედლეული და სხვა. ტვირთბრუნვის ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები მიღწეულია ესტონეთის, აზერბაიჯანის, ლიტვის, ბელორუსიის, თურქმენეთის, რუსეთისა და ყაზახეთის რკინიგზებზე. მნიშვნელოვნად გაიზარდა ტვირთბრუნვა საქართველოს რკინიგზაზეც.

როგორც ბატონმა გენადი ფადეევმა აღნიშნა, თანამეგობრობის ქვეყნების ეკონომიკის განვითარება გადაზიდვის სამუშაოს შესრულებისთვის დადებით ტენდენციას ქმნის, რის გამოც პერსპექტივა ძალიან კარგია. ეს, თავის მხრივ, მრავალ გადასაჭრელ პრობლემას წარმოშობს, რომლებიც სამუშაო პროცესში, მათ შორის თბილისის ფორუმზეც, გადაწყდება.

**ოთარ ტურაბელიძე.**

◉ კანონმდებლები

# „ვამბობთ პარტიას, ვგულისხმობთ ლენინს“

## ვინ აგორებს სიზიფეს ლოდს?

**პარლამენტი საგაზაფხულო სესიას რომ ასრულებს, მოგეხსენებათ. დეპუტატთა სამწუხაროდ, ეს კვირა საკმარისი არ იქნება და რიგგარეშე სხდომების ჩატარება მოუწევთ. თუმცა, ძალისხმევას არ აკლებენ, რომ რაც შეიძლება მეტი მოასწრონ. ამიტომაც იყო, გუშინ მხოლოდ დღის პირველ ნახევარში ჩატარდა სხდომა, დანარჩენი დრო სხვადასხვა საკომიტეტო მოსმენას დაეთმო დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე სამუშაოდ. პლენარულ სხდომაზე კი კონტროლის პალატის თავმჯდომარის ანგარიში მოისმინეს. ზურაბ სოსელიამ თავის გამოსვლაში, რომელიც ხუთ თვეს მოიცავდა, კონტროლის პალატის მიერ აღმოჩენილ უამრავ დარღვევაზე ილაპარაკა.**

ამგვარი ფაქტების აღნუსხვა ოპოზიციასაც შეუძლია. რა შედეგი მოჰყვება თქვენს საქმიანობას? – ეს შეკითხვა კონსერვატორმა გოჩა ჯოჯუამ დასვა. იმითაც დაინტერესდა, კონტროლის პალატის უსტიმულო მუშაობა ხომ არ ემსგავსება სიზიფეს შრომას, რაკი მას არც საპარლამენტო უმრავლესობა აქცევს ყურადღებას, არც შესაბამისი სტრუქტურები.

ბატონი ზურაბის თქმით, მათ აქვთ მორალური სტიმული – ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გამოსწორება. ამ მხრივ სასიკეთო ნაბიჯები უკვე გადადგმულა და დარღვევები შემცირებულა. რაც შეეხება შედეგებს, კონტროლის პალატის მიერ აღმოჩენილი დარღვევების გამო, სოსელიას ინფორმაციით, 115 პიროვნება გაუთავისუფლებიათ სამსახურიდან, 32 კი დაუქვეითებიათ. ჯოჯუას შეკითხვა მიხეილ მაჭავარიანს არ მოეწონა:

– ჯერ იტყვით, რეაგირებას არ ახდენენო, მერე დაიჭერენ ვინმეს და, ნიანგის ცრემლებს დაღვრით. ჩვენ თუ დაჭერები გვაკლია, ქვეყანა მართლაც ჩალით ყოფილა დახურული. ვიღაცას, ეტყობა, ტელევიზორი არა აქვს და ინფორმაციას ვერ იღებს.

გოჩა ჯოჯუას, როგორც ჩანდა, მოუნდა, დაემტკიცებინა, ტელევიზორიც მაქვს და გაზეთებსაც ვკითხულობო, მაგრამ ვიცე-სპიკერმა მეორედ აღარ ჩაურთო მიკროფონი.

მაჭავარიანის კომენტარები მაინცდამაინც არც სხვა ოპოზიციონერებს მოეწონათ. მაჭავარიანმა თავი იმით იმართლა, საპარლამენტო უმრავლესობას მიმართეს შეკითხვით და პასუხის გაცემის უფლება მქონდაო (თუმცა, გულახდილად რომ ვთქვათ, უმრავლესობისთვის შეკითხვა არავის დაუსვამს). მისმა კომენტარმა მამუკა კაციტაძეს ერთი ფრაზა გაახსენა საბჭოური წარსულიდან:

– ვამბობთ პარტიას, ვგულისხმობთ ლენინს!

თუმცა, მანამდე „მემარჯვენე“ კაციტაძემ კონტროლის პალატის თავმჯდომარეს ყურადღება იმაზე გაამახვილებინა, ანგარიშის ძირითადი ნაწილი და დასკვნა ერთმანეთს რომ არ შეესაბამებოდა:

– თქვენი მოხსენება კრიტიკით იყო გაჯერებული, დასკვნა კი ძალზე ლოიალურია. ეს შერბილებული დასკვნა ზეწოლის მიზეზია?

ზურაბ სოსელიამ, ცხადია, ხელისუფლებისეული ზეწოლა გამორიცხა, თუმცა, ეს ისე მიკიბ-მოკიბულად თქვა, უფრო მივხვდი, ვიდრე გავიგე, რაც შეეხება მთავრობასთან დამოკიდებულებას, ის მთლიანობაში კმაყოფილი ყოფილა აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობით. პირობაც დადო, დარღვევებს თუ აღმოვაჩენთ, არ დავმალავთო.

მართალია, გარკვეული რევერანსების შემდეგ, მაგრამ მაინც დასვა საპარლამენტო უმრავლესობის წევრისთვის უჩვეულო შეკითხვა ნუგზარ მგელაძემ. როგორც ჩანს, თავისი წარსული გაახსენდა (ის ყოფილი „რესპუბლიკელია“) და სოსელიას ჰკითხა – როგორ შეაფასებდით თქვენს დამოუკიდებლობასო.

კონტროლის პალატის თავმჯდომარემ ასევე უჩვეულო და ორჭოფული წინადადებით უპასუხა – დამოუკიდებლობის ხარისხის ასამაღლებლად გარკვეული სამუშაოებია ჩასატარებელი და ზოგიერთი რამ გამოსასწორებელიაო.

ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის“ მდივანმა მანანა ნაჭყებიამ სოსელიას „საქსტანდარტის“ ყოფილი დირექტორის მიხეილ ჯანიკაშვილის საქმესთან დაკავშირებული ეჭვების ახსნა სთხოვა. ჯანიკაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე კონტროლის პალატის თანამშრომლის მიერ შედგენილი აქტის საფუძველზე აღიძრა. დღეს ბევრი ამბობს, ეს აქტი უკანონო იყო, მისი შედგენის უფლება კონტროლის პალატის თანამშრომელს არ ჰქონდაო. ზურაბ სოსელიამ აქტის უკანონობის შესახებ გავრცელებული ხმები უარყო.

ირაკლი იაშვილი დაინტერესდა, – უამრავი შეკითხვის აღმძვრელი პრივატიზაციის პროცესი რატომ არ არის სათანადოდ გამოკვლეულიო. თუმცა, ამაზე დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მიიღო. კაცმა რომ თქვას, ან რა აზრი ჰქონდა, თუკი კონტროლის პალატის საქმიანობა, გოჩა ჯოჯუას თქმის არ იყოს, მხოლოდ სიზიფეს შრომა, ანუ ლოდის უსაზმნო და უშედეგო გორებაა?

**რუსუდან გახარია.**

◉ მთავრობა

# სათქმელი მართლა არაფერი ჰქონდა?

**მთავრობის გუშინდელმა სხდომამ 26 საკითხზე იმსჯელა. მთავრობის განკარგულების პროექტზე „საქართველოს მთავრობის და სააქციო საზოგადოება „ენერჯი ინვესტს“ შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების მოწონების თაობაზე“ მოხსენებით გამოვიდა ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური; პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით მომზადებული კანონის პროექტზე „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ ისაუბრა გია ხუროშვილმა.**

სხდომამ იმსჯელა, აგრეთვე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიური დასის შექმნის შესახებ“...

ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა ფოთის საზღვაო ნავსადგურის ცალკეული ტერმინალების, ნავმისადგომების შესახებ გამოცხადებულ ტენდერზე ისაუბრა. ნავმისადგომები აუქციონის წესით გამარჯვებულს 25-წლიანი იჯარით გადაეცემა.

ალექსიშვილმა ჟურნალისტებს განუმარტა, აგრეთვე, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციათა პაკეტის შპს „თი-ჯი-თრეიდზე“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება. ქართულმა კომპანია „თი-ჯი-თრეიდმა“ 1 აგვისტომდე უნდა გადაიხადოს 6 მილიონი დოლარი და დამატებითი პირობები შეასრულოს, რომელიც პროფილის, სამუშაო ადგილების შენარჩუნებას და 10 პროცენტით ხელფასების ზრდას გულისხმობს.

მთავრობის სხდომაზე ფინანსთა მინისტრმა ვალერი ჩეჩელაშვილმა საკითხი დააყენა საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ფონდ ათასწლეულის გამოწვევა საქართველოსთვის“ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის თაობაზე.

ჩეჩელაშვილის თქმით, 18 ივნისს ამ ფონდის ხელმძღვანელი ლაშა შანიძე ვაშინგტონში მიემგზავრება. ვიზიტის მიზანია 4 პროექტის განხორციელებაზე მსჯელობა. ესენია: ახალქალაქი-ახალციხე-წალკის გზის მშენებლობა, ინფრასტრუქტურის განვითარება, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის აღორძინება, მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაცია.

მათ განხორციელებას დაახლოებით 200 მილიონი დოლარი დასჭირდება.

მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, ამ ფონდს ათასწლეულის პროექტების განსახორციელებლად ბიუჯეტიდან 290 ათასი ლარი გამოეყოს.

მართალია, სახსრებს ამერიკის მხარე გაიღებს, მაგრამ ჯერჯერობით ოფიციალური ხელშეკრულების არარსებობის გამო საქართველოს ბიუჯეტმა თავის თავზე აიღო ოფისის, სამივლინებო თუ სატრანსპორტო ხარჯები.

15 აგვისტოს ამერიკულ მხარესთან ოფიციალურად გაფორმდება ხელშეკრულება, ხოლო სექტემბერში მოხდება მისი რატიფიცირება.

უნდა ითქვას, რომ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ბრიფინგი არ გამართულა. ჟურნალისტებმა შეხვედრა მოითხოვეს მხოლოდ პრემიერ-მინისტრთან. აინტერესებდათ ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალის აზრი გარემოვაჭრეების უმწვავეს საკითხზე. ზურაბ ნოღაიდელმა თავი აარიდა მასმედიის შეკითხვებს. ალბათ, სათქმელი არაფერი ჰქონდაო, დაასკვნეს ჟურნალისტებმა.



**თამარ შაიშმელაშვილი.**

◉ ინფორმაცია

## პრეზიდენტის რწმუნებულების ფონდი გაუქმდა

**გუშინ საქართველოს პარლამენტმა პრეზიდენტის რწმუნებულების ფონდის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება პირველი მოსმენით მიიღო. ფონდები არსებობას 2006 წლის 1 იანვარს შეწყვეტს.**



ასეთი გადაწყვეტილების მოტივად მთავრობა ასახელებს იმას, რომ კანონი პრეზიდენტის რწმუნებულების ფონდის შესახებ, ეწინააღმდეგება საბიუჯეტო სისტემის შესახებ მოქმედ კანონს.

ხელისუფლება აცხადებს, რომ იმ ღონისძიებათა დაფინანსება, რომელიც რეგიონში ამ ფონდის მიერ ხორციელდებოდა, პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან მოხდება.

## ავტობუსების მოძრაობის სიჩქარემ 80 კმ-ს არ უნდა გადააჭარბოს

**პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების შესახებ კანონში ცვლილებები, რომლის მიხედვითაც, საქალაქო და მცირე ზომის ავტობუსების მოძრაობის სიჩქარემ 80 კმ-ს არ უნდა გადააჭარბოს.**

ასევე, მესამე მოსმენით დამტკიცდა სახელმწიფო საიდუმლოს შესახებ კანონში ცვლილებები, რომლის მიხედვითაც იუსტიციისა და ფინანსთა მინისტრებს გრიფით „საიდუმლო“ დოკუმენტების გამოცემის უფლება მიენიჭათ.

დღეს პარლამენტმა მიიღო, ასევე, გადაწყვეტილება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი საპარლამენტო კომისიის უფლებამოსილების ერთი წლის გაგრძელების თაობაზე.

აღნიშნულ კომისიას ვადა ივნისში ეწურებოდა.

## ახალი ათონის ტაძარში 680 აფხაზი, 106 რუსი და 55 სომეხი მოინათლა

**2004-2005 წლებში ახალ ათონში სვიმონ კანანელის სახელობისა და ღვთისმშობლის სახელობის ტაძრებში 980 ადამიანი მოინათლა, მათ შორის – 680 აფხაზი, 106 რუსი და 55 სომეხი.**

ამ ტაძრებში ერთი წლის განმავლობაში ჯვარი დაიწერა 57 წყვილმა, მათ შორის 22 წყვილი აფხაზი ეროვნების იყო, 22 რუსი, 13 კი სომეხი.

ეს ინფორმაცია ახალი ათონის სვიმონ კანანელის სახელობის მონასტერში სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებულთათვის დიპლომების გადაცემის საზეიმო ცერემონიაზე შეკრებილ საზოგადოებას, სასწავლებლის რექტორმა დორეთე დბარმა აუწყა.

## „საჩუქარი“ მაინც შედგა

**მიუხედავად იმისა, რომ წლევანდელი ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი“, ობიექტურად ითვლება ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ფესტივალად, ორგანიზატორებს მაინც მოუხდათ დაუფინანსებლობის გამო რამდენიმე წარმოდგენაზე უარის თქმა.**

„ვერ ჩამოვიყვანე პუშკინის თეატრი. შესაბამისად, თბილისელ მაყურებელს არ მიეცა საშუალება სპექტაკლები – „რომეო და ჯულიეტა“ და „ჯანი“ ეხილა.

ასეთივე ბედი ეწია ფანტაზიას შაგალის ტილოებზე – „განდევნის სიზმარი“, ფინანსების უკმარისობის გამო ვერც ისინი ჩამოვიდნენ...

თუმცა მე ვთვლი, რომ წლევანდელი „საჩუქარი“ ძალიან კარგი გამოვიდა. ამაზე ცნობილი თეატრალური დასების გასტროლები, მაყურებლის ოვაცია და დასწრების მსურველთა დიდი რაოდენობა მიუთითებს, – განაცხადა ქეთი დოლიძემ.

**„ХО-ЭЙЧ-ЭН“.**

◉ რა კანონი მოდის?

# ერთი ფანჯარაც აღარ მოგვწონს?

**მიმდინარე კვირას მოხდება იმ კანონების მეორე და მესამე მოსმენა, რომლებიც უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს მისაღები დარჩა. მათ შორისაა კანონი „ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“, რომელსაც სავარაუდოდ კომიტეტები მეორე მოსმენით ოთხშაბათს განიხილავენ. პრინციპებს, რომელსაც ეფუძნება ეს კანონპროექტი, დეპუტატები ეთანხმებიან, მას წინააღმდეგობა არც მეორე მოსმენისას შეხვდება.**

**ნიკო ლეკიშვილი, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე:** „კანონპროექტი ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“ პრეზიდენტის ინიციატივით განიხილება. იგი რევოლუციურ გადაწყვეტილებებს ითვალისწინებს და რაც უფრო მალე მიიღებს მას პარლამენტი, ბიზნესი უფრო ადრე იგრძნობს თავს თავისუფლად“.

ერთი სიტყვით, სახელმწიფო მინისტრის კახა ბენდუქიძის მიერ მომზადებულ კანონპროექტს პარლამენტი კენჭს უახლოეს დღეებში უყრის. მართალია, ახალი კანონპროექტი ბევრ პროგრასულ ნაწილს შეიცავს, მაგრამ ექსპერტთა ერთი ნაწილი თვლის, რომ მისი ტექნიკური გამართვა აუცილებელია. მაგალითად, მიუთითებენ, რომ არ შეიძლება სარგებლობის ლიცენზია იყოს უვადო ან მემკვიდრეობითი. ამასთან, კანონპროექტის მიხედვით, ლიცენზიის მისაღებად მსურველებს მხოლოდ ერთ ადგილას მოუწევთ მისვლა. ასეთი პრინციპი კი, ოპონენტების აზრით, სახელმწიფოს ხრიკების საშუალებას უტოვებს, იმ მოტივით, რომ შესაძლებელია ვინმე პრივილიგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდეს. ერთი საინტერესო დეტალი: კანონპროექტის მიხედვით ლიცენზიის ან ნებართვის მოპოვების მსურველს თუ განსაზღვრულ დროში არ განუმარტეს, ლიცენზიას რატომ არ აძლევენ, ასეთ შემთხვევაში მას მოთხოვნილი ლიცენზია სულ რაღაც ერთ თვეში ავტომატურად მიენიჭება. ოპონენტები თვლიან, რომ ეს პრინციპი მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული, რის გამოც, ერთი თანამშრომლის გულგრილობამ შეიძლება გაუგებრობა გამოიწვიოს. ზემოაღნიშნულ შენიშვნებს დეპუტატები მაინცდამაინც არ ეთანხმებიან. მათი აზრით, ეს ყველაფერი წვრილმანია. მთავარი კი ისაა, რომ ბიზნესის მხარდამჭერი ეს კანონპროექტი შედეგს აუცილებლად მოიტანსო. მოგეხსენებათ, საგადასახადო კოდექსის შეცვლაზე კულუარებში საუბარი აქტიურად მიმდინარეობს. ასეთ შემთხვევაში ლიცენზირების პროცესის გამარტივება დეპუტატებს მეტად საშურ საქმედ მიაჩნიათ.

რაც შეეხება საგადასახადო კოდექსს, მას ისეთი პირი უჩანს (მთავრობაშიც მიმდინარეობს საუბარი იმაზე, რომ მოქმედი საგადასახადო განაკვეთები საკმაოდ მაღალია), მომავალი წლის ბიუჯეტის მიღებამდე, საგადასახადო სისტემა ალბათ, მართლაც შეიცვლება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამას რიგითი მოქალაქეების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება მოჰყვება. უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, მცირე და საშუალო ბიზნესი ამოისუნთქავს.

დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ხელისუფლებამ უდიდესი შეცდომა დაუშვა, როცა მცირე და საშუალო ბიზნესის წარმოების პირობები მსხვილ ბიზნესისას გაუთანაბრა. ცხადია, მცირე და საშუალი ბიზნესს მაღალი სოციალური დატვირთვა აქვს და მისთვის შეღავათები აუცილებელი იყო. საპარლამენტო უმრავლესობიდანაც კი ბევრი არ მალავს, რომ ქვეყანამ ცუდი საგადასახადო კოდექსი მიიღო. ისე, იქ არის დადებითი მომენტები, რაც საგადასახადო განაკვეთების შემცირებაში გამოიხატება. მიუხედავად ამისა, აღნიშნავენ, რომ კოდექსმა ბიზნესმენი სრულიად უუფლებო გახადა და მთლიანად საგადასახადო ჩინოვნიკს დაუქვემდებარა. ამ ფონზე დეპუტატები იმედოვნებენ, რომ კანონპროექტი „ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“ ბიზნესწარმოებისათვის განსაკუთრებული იმპულსის მიმცემი იქნება.

**მზია გელენავა.**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ელიტების შეცვლა ერთი და იგივე სცენარით

**ალექსეი ტიტკოვი, „როსიისკიე ვესტი“ (ყოველკვირეული), 15-22 ივნისი.**

РОССИЙСКИЕ ВЕСТИ

**თითქოსდა, ყოველივე ეს მოხდა სულ ცოტა ხნის წინათ – „ვარდების დღესასწაული თბილისში“ და კიევის დამოუკიდებლობის მოედანზე განვითარებული მოვლენები. ყველას კარგად ახსოვს ნათელი მომავლის შესახებ გამოთქმული დაპირებები... მაგრამ საქართველოში და უკრაინაში უკვე თავი იჩინეს სერიოზული კრიზისის პირველმა ნიშნებმა.**

ამ ბოლო ხანებში მოხდა ხელისუფლების წარმომადგენელთა შეტაკება მოქალაქეებთან ზუგდიდში, სადაც ადამიანებმა გამოთქვეს პროტესტი იმის გამო, რომ მთელ რაიონებს არ აწვდიდნენ ელექტროენერგიას. გაიმართა საპროტესტო აქციები საქართველოს დედაქალაქშიც, რომლებიც მიეძღვნა „ვარდების რევოლუციის“ ავტორის ჯორჯ სოროსის ვიზიტს თბილისში. აღშფოთებულმა თბილისელებმა სოროსს ლაყე კვერცხები დაუშინეს. მეთვალყურეთა აზრით, მოსალოდნელია დაძაბულობის შემდგომი ზრდა სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებითაც, როცა ცენტრალური ხელისუფლება ვერ ახერხებს დაზარალებული ადამიანებისთვის პირველი გადაუდებელი დახმარების გაწევას. ამას უნდა დაემატოს ასევე აფხაზეთიდან ლტოლვილებთან დაკავშირებული პრობლემებიც, რომლებიც სამოქალაქო დაუმორჩილებლობის სერიოზული აქტებით ემუქრებიან სააკაშვილის რეჟიმს.

ყოველივე ეს მიანიშნებს, რომ არსებობს სტიქიური მოძრაობებისა და მრავალრიცხოვანი „სახალხო ფრონტების“ ერთ რიგებად რეალური დარაზმვის ტენდენცია. დასავლეთის პრესამ პირველად გამოაქვეყნა მასალები რაღაც შესაძლო ახალ „ქართულ გადატრიალებაზე“. როგორც ამბობენ, სააკაშვილის შემცვლელს ეძებენ და საქართველოს მომავალი ლიდერის გვარსაც კი ასახელებენ – ეს ნინო ბურჯანაძეა.

რთულად დგას საქმე უკრაინაშიც. იქაც ნელ-ნელა, თვალსა და ხელს შუა დნება „ფერადი ეიფორია“. რეალური ცხოვრება ხელისუფლებას აიძულებს განახორციელოს სულ სხვაგვარი საგარეო თუ საშინაო პოლიტიკა და არა ისეთი, რომლის განხორციელებასაც პირდებოდნენ რევოლუციონერები თავიანთ მხარდამჭერებს არჩევნების წინ. თანაც, ვერც გეოპოლიტიკურმა თამაშმა გაამართლა პოსტსაბჭოურ სივრცეში, რადგან უკრაინა ვერ გახდა რუსეთის ალტერნატიული ძალა. ეს განსაკუთრებით შეინიშნება მას შემდეგ, რაც ევროპამ ყველას დაანახა, რომ არ აპირებს შემდგომ გაფართოებას აღმოსავლეთისკენ და ევროკავშირის წევრობის ახლადგამომცხვარი კანდიდატების ამბიციური პროექტების დაფინანსებას.

ასეთ პირობებში რჩება ერთადერთი გამოსავალი: თბილისი და კიევი იწყებენ კავშირურთიერთობის დამყარებას მოსკოვთან, მაგრამ, ჯერჯერობით რაღაც გარკვეული არხებით. მაგრამ რუსეთმაც ბევრი რამ შეიგნო და ისწავლა „ფერადი რევოლუციების“ დროს. მოსკოვი მიხვდა, თუ ვინ არის მისი მეგობარი, ვინ – თანამგზავრი, ვინ კი – შემთხვევითი თანამოსაუბრე. ამიტომ, რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის დამყარება, უფრო სწორად კი, მისი აღდგენა რევოლუციამდელი დონის თუნდაც სანახევრო მოცულობით, უკავშირდება ხელისუფლების სათავეში მოსული რევოლუციური ელიტების აუცილებელ შეცვლას. კიევში ძალზე ეშინიათ მომავალი პარლამენტის არჩევნების შედეგების, სააკაშვილს კი აშფოთებს მორიგი „ძვრები საქართველოში“. ევროპა აქტიურ პასივში გადავიდა, შეერთებული შტატები განაგრძობს თვალყურის დევნებას იმ მიზნით, რომ, როგორც ყოველთვის, ბოლო მომენტში ჩავიდეს ფსონს ძლიერის სასარგებლოდ. ერთი სიტყვით, პროცესი გრძელდება უკვე სხვა სცენარით. ბურთი, როგორც ჩანს, მოსკოვის მხარესაა, და ახლა უნდა დაველოდოთ იმას, თუ როგორ თამაშს შემოგვთავაზებს რუსეთი.

№ 141, ხუთშაბათი, 16 ივნისი, 2005 წელი.

სიმართლე — მწარედ!

# ნუ ვათქმევინებთ შთამომავლობას, რომ „ვარდების რევოლუციამ“ დაანგრია საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და მოსპო ქართული მეცნიერება

***კორესპონდენტი:*** ***ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის განცხადება, რომელიც პასუხობს ჩვენი პრესის ფურცლებზე დაბეჭდილ ცილისმწამებლურ ცნობას იმის შესახებ, თითქოს მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობამ თავისთვის მაღალი ხელფასები დაინიშნა; კერძოდ, რომელ პუბლიკაციას გულისხმობს პრეზიდიუმის ეს განცხადება?***

**თამაზ გამყრელიძე:** აქ ძირითადად იგულისხმება აკად. არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის შუქია აფრიდონიძის დემაგოგიური სტატია „აკადემია მოკვდა, გაუმარჯოს აკადემიას!“, რომელიც გაზეთ „24 საათის“ 2005 წლის 6 მაისის ნომერში დაიბეჭდა. აქ სხვადასხვა პროვოკაციულ განცხადებებთან ერთად ვკითხულობთ: „პრეზიდიუმის ჯერ ძველმა და შემდეგ ახალმა შემადგენლობამ არათუ განიმტკიცა მართვის უფლებასთან დაკავშირებული პრივილეგიები, არამედ სათანადო ამბიციების შესაფერი ხელფასებიც“. ქ-ნ შუქია აფრიდონიძეს მინდა ამასთან დაკავშირებით შევახსენო, რომ ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიის წევრ-კორესპონდენტს გუჩა კვარაცხელიას, რომელიც ჩვენი ხელდასხმით ამჟამად ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოვალეობას ასრულებს, მხოლოდ 182 ლარი აქვს თვეში, ხოლო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს — 215 ლარი, ვიცე-პრეზიდენტს — 195 ლარი. ყოველივე ეს იქითკენ არის მიმართული, რომ შეგნებულად შექმნან უკმაყოფილება აკადემიის თანამშრომლებში და მთელ ჩვენს საზოგადოებაში მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობის მიმართ, რაც ხელს აძლევს იმათ, ვისაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაშლა სურს.

***კორ. ამჟამად ბევრი ლაპარაკია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში მიმდინარე რეფორმის შესახებ. გთხოვთ, განგვიმარტოთ, თუ რა პროცესები მიმდინარეობს მეცნიერებათა აკადემიაში.***

**თამაზ გამყრელიძე:** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში შემუშავდა აკადემიის მომავალი სტრუქტურისა და შედგენილობის რამდენიმე მოდელი, რომელთაგან ერთ-ერთი განხილულ და თითქმის ერთხმად მიღებულ იქნა აკადემიის საერთო კრების, როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მართვის უმაღლესი ორგანოს მიერ; საერთო კრების მუშაობაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქიც მონაწილეობდა, როგორც ჩვენი აკადემიის საპატიო წევრი.

აღნიშნული მოდელი გულისხმობს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში სულ თერთმეტი ინსტიტუტის, როგორც ადმინისტრაციული ერთეულის არსებობას (ნაცვლად ამჟამინდელი 57 ინსტიტუტისა). ამგვარ „ინსტიტუტებში“ სათანადო სამეცნიერო დარგების შესაბამისად შევა ცალკეული დამოუკიდებელი „კვლევითი ცენტრები“ (ე. ი. ყოფილი „ინსტიტუტები“, რომლებიც ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით დღესაც არ წარმოადგენენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს). მაშასადამე, წარმოდგენილი მოდელის მიხედვით ჩვენ ვინარჩუნებთ მეცნიერებათა აკადემიის რეფორმირებულ სისტემაში თითქმის ყველა აქამდე აქ არსებულ სამეცნიერო დარგსა და მიმართულებას, როგორც დამოუკიდებელ სამეცნიერო ერთეულს. ამდენად, ჩვენთვის გაუგებარია, თუ რატომ აჰყდა ზოგიერთი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე სრულიად უსაფუძვლო და გაუმართლებელი აჟიოტაჟი, ზოგჯერ დემაგოგიური და ცილისმწამებლური ხასიათის, თითქოს აკადემიის საერთო კრების მიერ მოწონებული მოდელის მიხედვით ერთ-ერთი „ეროვნული ინსტიტუტი“ (კერძოდ, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი) სამეცნიერო ცენტრად გადაქცევის შედეგად კარგავს თავის დამოუკიდებლობას; ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ მეცნიერებათა აკადემიაში არსებული ინსტიტუტები, მათ შორის ე. წ. ეროვნული დარგების წარმომადგენელი ინსტიტუტებიც, ამ მოდელის მიხედვით ინარჩუნებენ თავიანთ შენობებს, თავიანთ სამეცნიერო-ორგანიზაციულ დამოუკიდებლობასა და ამჟამინდელ ფინანსურ უზრუნველყოფას; დღევანდელი „ინსტიტუტების“ „ცენტრებად“ გარდაქმნისას მათ სათავეში სათანადო სამეცნიერო საბჭოების მიერ არჩეული დირექტორი — სამეცნიერო ხელმძღვანელი ჩაუდგება. მიგვაჩნია, რომ ეს იქნება აკადემიური სისტემის უფრო ეფექტური მართვა გარკვეული უკუკავშირების არსებობის პირობებში და უფრო დემოკრატიული, ვიდრე ეს ჩვენ დღევანდელ სისტემაში გვაქვს. „ცენტრის“ დირექტორები ასეთ შემთხვევაში თუ რამეს კარგავენ, ეს ნაწილობრივ მხოლოდ მათი ახლანდელი ადმინისტრაციული ფუნქცია იქნება.

***კორ: როგორ წარმოგიდგენიათ თქვენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მომავალი, რეფორმირებული სტრუქტურა?***

**თამაზ გამყრელიძე:** საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ჩვენ წარმოგვიდგენია როგორც ფუნდამენტურ მეცნიერებათა კვლევის ეროვნული ცენტრი, როგორც კვლევითი ინსტიტუტებისა და სამეცნიერო გაერთიანებების დამოუკიდებელი, თვითმართვადი ერთობლიობა. ასეთი სამეცნიერო ორგანიზაციის საქმიანობა უნდა წარიმართებოდეს ქვეყნის პრეზიდენტის პატრონატით და გარკვეული წესით არჩეული აკადემიის პრეზიდენტს უნდა ამტკიცებდეს ქვეყნის პრეზიდენტი. ამით დემონსტრირება ხდება იმისა, რომ მეცნიერებათა აკადემია, როგორც ფუნდამენტურ მეცნიერულ კვლევათა ეროვნული ცენტრი, ხელისუფლების უმაღლესი მრჩეველია და სახელმწიფოს სტრატეგიული პროექტების განმსაზღვრელი. ეს სავსებით ბუნებრივია, რამდენადაც მეცნიერება ქვეყნის უშიშროების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია და მეცნიერებისა და განათლების დონე ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია ქვეყნის უსაფრთხოების დონისა.

სწორედ ამგვარ სტრუქტურად გვესახება ჩვენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. ეს უნდა იყოს ბაზურ დაფინანსებაზე დაფუძნებული კვლევითი ინსტიტუტებისა და სამეცნიერო ცენტრების გამაერთიანებელი და მაკოორდინირებელი სტრუქტურა, ერთგვარი „ღია სისტემა“, სადაც ნებისმიერ სამეცნიერო ერთეულს კოლექტივის გადაწყვეტილებით შეეძლება გასვლა ან შემოსვლა, მსგავსად მთელი რიგი დასავლური სამეცნიერო ორგანიზაციებისა, როგორიცაა, მაგალითად, ავსტრიის მეცნიერებათა აკადემია სათანადო ინსტიტუტებით, საფრანგეთის „მეცნიერულ კვლევათა ეროვნული ცენტრი“ და „საფრანგეთის ინსტიტუტი“, ანალოგიური „კვლევითი ცენტრი“ იტალიაში, გერმანული „მაქს პლანკის საზოგადოება“, რუსეთის „მეცნიერებათა აკადემია“ და მრავალი სხვა უცხოური სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურა, რომლებთანაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას გარკვეული სამეცნიერო-ორგანიზაციული კავშირები აქვს დამყარებული.



***კორ: ჩვენთვის ცნობილია, რომ სამთავრობო წრეებში არსებობს შეხედულება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის როგორც მეცნიერთა ერთგვარი ასოციაციის შესახებ, ინსტიტუტებისა და კვლევითი ცენტრების გარეშე.***

**თამაზ გამყრელიძე:** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ამგვარი მოდელი ჩვენთვის პრინციპულად მიუღებელია. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემიდან კვლევითი ინსტიტუტების გაურკვეველი მიმართულებით გატანა დაღუპავს არა მარტო ამ ინსტიტუტებს, არამედ მთელ ქართულ მეცნიერებათა აკადემიას და ქართულ მეცნიერებას საზოგადოდ, რომ არაფერი ვთქვათ ამ ინსტიტუტების შემცირებაში მოხვედრილ მრავალრიცხოვან თანამშრომლებზე. აი აქ კი გვჭირდება ჩვენ სწორედ სრული მობილიზება და ამგვარი განზრახვებისთვის წინააღმდეგობის გაწევა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ახლანდელი ხელმძღვანელობა კატეგორიულად ეწინააღმდეგება მეცნიერებათა აკადემიის რეფორმირების ამგვარ სქემას. რას წარმოადგენს ამგვარი სქემის მიხედვით „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია“? ეს არის „მეცნიერთა ასოციაცია“, მეცნიერთა ერთგვარი „საპატიო კლუბი“, რომლის წევრთათვის სახელმწიფო ბიუჯეტი გაითვალისწინებს ე.წ. „სამიდღემშიო“ სტიპენდიებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „საქართველოს მეცნიერებათა აკადემია“ — პენსიონერთა კლუბი გამოდის საკმაოდ მაღალი პენსიებით კლუბის წევრთათვის.

ასეთი მოდელი ანალოგიას ვერ პოვებს ვერც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში, დასავლურსა თუ აღმოსავლურში, და მდიდარი ტრადიციების მქონე საქართველოს მეციერებათა აკადემიისა და ამ აკადემიის წევრთა ღირსების შემლახველია.

ჩვენ მოვითხოვთ აკადემიის რეფორმირებასთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრის მეთაურობით თავის დროზე შექმნილი სამთავრობო კომისიის ფუნქციონირების აღდგენას და ქვეყნისათვის ამ უმნიშვნელოვანეს საკითხთან დაკავშირებულ პრობლემათა განხილვას კომისიის სრული შემადგენლობით მოწვეულ სხდომებზე.

**ნუ ვათქმევინებთ შთამომავლობას, რომ „ვარდების რევოლუციამ“ დაანგრია საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და მოსპო ქართული მეცნიერება, როგორც ეს საფრანგეთის რევოლუციის დროს მოხდა, როდესაც გაუქმდა საქვეყნოდ ცნობილი ფრანგული აკადემიები და მრავალმა გამოჩენილმა ფრანგმა აკადემიკოსმა რეპრესიები განიცადა.**

**გამოვთქვამთ იმედს, რომ განახლებულ საქართველოში ასეთი რამ არასოდეს მოხდება და ქვეყანა შეინარჩუნებს „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას“, რომელსაც ჩვენ სრული უფლებით უძველესი ქართული აკადემიების მემკვიდრედ განვიხილავთ, უპირველეს ყოვლისა დავით აღმაშენებლის მიერ დაფუძნებული „გელათის აკადემიისა“, რომელიც გახდა ქართველთათვის „მოძღვრად სწავლულებისა, სხვად ათინად და მეორე იერუსალეჲმად“. ყოველივე ამის გათვალისწინებით გვინდა სწორედ, რომ ჩვენს მეცნიერებათა აკადემიას „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია“ ეწოდოს და ამ აკადემიის კურატორი ქვეყნის პრეზიდენტი გახდეს.**

ესაუბრა **გურამ წიკლაური.**

SIC!

# ვინ არღვევს ქვეყნის უმაღლეს კანონს?

## როცა ჩვენს უფლებამოსილებას ვაჭარბებთ

**2005 წლის 8 ივნისს საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება, რომელიც დამატებით უფლებამოსილებებს ანიჭებს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების არაკონსტიტუციურად დანიშნულ რექტორებს და ფაკულტეტების დეკანებს და, ამავე დროს, უკანონოდ, ძალადაკარგულად აცხადებს საქართველოს პრეზიდენტის ყველა ბრძანებულებას, რომლებიც უმაღლესი სასწავლებლების სტატუსს ადგენენ.**

**საქმე ის არის, რომ ეს ბრძანებულება არა მარტო არასწორად იყენებს საქართველოს კანონმდებლობას, არამედ არღვევს კიდეც საქართველოს კონსტიტუციას.**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 29 ოქტომბრის კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი, რომელსაც ეყრდნობა დასახელებული ბრძანებულება, ანტიკონსტიტუციურია და პრეზიდენტს გაუმართლებელი თვითნებობის უფლებას აძლევს. ამ მუხლში აღნიშნულია, რომ საქართველოს პრეზიდენტი „გამოსცემს ბრძანებულებას იმ შემთხვევაშიც, თუ საკანონმდებლო აქტით შესაბამისი საკითხი არ არის მოწესრიგებული“.

ამ დებულების ანტიკონსტიტუციურობა ის არის, რომ საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებულებებსა და განკარგულებებს კონსტიტუციისა და კანონის საფუძველზე და რაიმე გამონაკლისებზე ლაპარაკი ამ საკითხთან დაკავშირებით კონსტიტუციაში საერთოდ არ არის.

პირიქით, კონსტიტუციის 69-ე მუხლში ჩაწერილია, რომ საქართველოს პრეზიდენტი უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას კონსტიტუციის შესაბამისად. თვით ორგანულ კანონში „ნორმატიული აქტების შესახებ“ მითითებულია, რომ „თითოეული ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციას და კონსტიტუციით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში მიღებულ (გამოცემულ) იმ ნორმატიულ აქტებს, რომლებსაც მასთან შედარებით აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა“ (მუხ. 24), რომ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღება (გამოცემა) შეიძლება მხოლოდ საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად და რომ მასში მითითებული უნდა იყოს, „რომელი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე და რომელის შესასრულებლად იქნა იგი მიღებული (გამოცემული)“ (მუხ. 18-ის პუნქტი 1-ელი). **მაშასადამე, თუ საკანონმდებლო აქტი არ არსებობს, პრეზიდენტის ბრძანებულება არ უნდა გამოიცეს. იმის მოშველიება, რომ, თუ საკანონმდებლო აქტით შესაბამისი საკითხი არ არის მოწესრიგებული, პრეზიდენტმა მაინც შეიძლება გამოსცეს ბრძანებულება, არღვევს ნორმატიულ აქტების კონსტიტუციურობისა და კანონიერების პრინციპს.**

როდესაც 1996 წელს იხილებოდა „ნორმატიული აქტის შესახებ“ კანონპროექტის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის (მაშინ ამ კომიტეტის თავმჯდომარე თვით მიხეილ სააკაშვილი იყო) სპეციალური კომისიის სხდომაზე ჩვენ კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავით ამ პუნქტისა, მაგრამ იგი მაინც დატოვეს პრეზიდენტის იმპიჩმენტის ფარული შესაძლებლობის მოტივით. დღეს კი ჩვენი პრეზიდენტი წარმატებით იყენებს ამ არაკონსტიტუციურ ნორმას, მაგრამ მისი იმპიჩმენტის შესახებ საკითხს არავინ არ აყენებს...

**რაც შეეხება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს 2004 წლის 21 დეკემბრის კანონის 87-ე მუხლის მე-2 პუნქტის დებულებების მოშველიებას უმაღლეს სასწავლებლებში საპრეზიდენტო მმართველობის შემოღების შესახებ, ეს საზღვრებს გადაცილებული აღმაშფოთებელი ანტიკონსტიტუციური ნორმაა საგანგებო მდგომარეობის გამოუცხადებლად ამ მდგომარეობის შესაბამისი საპრეზიდენტო მმართველობის შემოღების გამო ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში.**



საქართველოში მოქმედი ყველა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი აწესებს უმაღლესი სასწავლებლის მართვის დემოკრატიულ საფუძვლებს და მისი შეზღუდვა, კონსტიტუციის 46-ე მუხლის მიხედვით, პრეზიდენტს არ შეუძლია საგანგებო მდგომარეობის გამოუცხადებლად. არადა, ამის არავითარი საფუძველი დღეს საქართველოში არ არსებობს. **„უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის მთელი გარდამავალი დებულებანი საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა გააუქმოს, როგორც ამ კანონის არაკონსტიტუციური ნაწილი.**

დაბოლოს, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მოშველიების შესახებ პრეზიდენტის ზემოთ აღნიშნული ბრძანებულების „დასასაბუთებლად“ კოდექსის ეს მუხლი აწესებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების პირობებს, რომელსაც მიეკუთვნება: 1) კანონში, ან მის საფუძველზე გამოცემულ ზემდგომი ორგანოს კანონქვემდებარე აქტში, მოცემული პირდაპირი მითითება შესაბამისი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საჭიროების შესახებ; 2) როცა კანონმდებლობის შესაბამისად ეს პირდაპირ არის მითითებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში; 3) როცა დაინტერესებულმა მხარემ არ შეასრულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობაც კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება გახდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი; 4) როცა გაუქმდა ან შეიცვალა შესაბამისი ნორმატიული აქტი, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული აქტის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს; 5) როცა არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოება, აგრეთვე შესაბამისი სამეცნიერო-ტექნიკური აღმოჩენა ან გამოგონება, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს შესაძლებლობას ართმევს გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული აქტის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს.

**ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ზემოთ აღნიშნული 61-ე მუხლის არც ერთი პირობა არ არის დაცული პრეზიდენტის ბრძანებულებით უმაღლესი სასწავლებლების წესდებისა და დებულებების ძალადაკარგულად გამოსაცხადებლად. ამ შემთხვევაშიც აჭარბებს პრეზიდენტი თავის უფლებამოსილებას და არ ემორჩილება კანონს.**

**განსახილველი ბრძანებულების სხვა უკანონო დებულებებს შორის შევეხებით კიდევ ერთს, კერძოდ, რექტორის მოვალეობის შემსრულებლისათვის უფლების მიცემას, დაამტკიცოს სადისერტაციო საბჭოების დებულებები დეკანის მოვალეობის შემსრულებელთა წარდგინებით. „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის 30-ე მუხლის შესაბამისად, სადისერტაციო საბჭო მოქმედებს აკადემიური საბჭოს მიერ ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით დამტკიცებული დებულების მიხედვით, ხოლო ასეთი საბჭოები ამავე კანონის 87-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, აირჩევიან ამ კანონის ამოქმედებიდან არა უგვიანეს 2 წლისა, ე.ი. 2006 წლის 21 დეკემბრისა, მანამდე კი, როგორც ამავე კანონის 89-ე მუხლის მე-10 პუნქტშია აღნიშნული, ლოგიკურად მოქმედებენ ძველი, სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოები, რომელთა საერთო დებულებაც დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 28 ივნისის ბრძანებულებით და რომლის ძალადაკარგულად გამოცხადებას არ ახდენს ახალი 2005 წლის 8 ივნისის ბრძანებულება. ამდენად, პრეზიდენტის მოთხოვნა, რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა დაამტკიცოს სადისერტაციო საბჭოების დებულებები, არაკანონიერია და ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში საპრეზიდენტო მმართველობის არაკონსტიტუციურად შემოღების დამადასტურებელია.**

**ვალერი ლორია,**
**პროფესორი.**

ვითარება

# ქვიშის აპეური

## კავკასიელთა ეთნიკურ კონფლიქტებს „აგვარებს“ ის ქვეყანა, რომელიც კავკასიელებს თავად ხოცავს

**როდესაც მთელი მსოფლიო ფაშიზმზე გამარჯვების 60 წლისთავის აღსანიშნავად ემზადებოდა და უამრავი ქვეყნის დელეგაცია საბჭოეთის ყოფილი დედაქალაქისკენ მოემგზავრებოდა, მოსკოვში ფაშისტთა ექვსკაციანი ბანდის სასამართლო განაჩენი ცხადდებოდა. ეს სისხლის სამართლის საქმე უკვე მეორე გახლდათ მოსკოვის რეგიონში, როდესაც გამოძიებამ უტყუარად დაადგინა: სკინხედები შავგვრემანებს ხოცავდნენ არა ადვირახსნილი ხულიგნობის, არამედ ეროვნული შუღლის ნიადაგზე. და ეს ვერსია ოფიციალურად აღიარეს სამართალდამცავმა ორგანოებმა.**

მოდით, უფრო დავკონკრეტდეთ: ნოგინსკის რაიონში 23 წლის მეკურტნემ ანატოლი გრუზდევმა შეკრა ფაშისტური ჯგუფი, რომელშიც გააერთიანა უმუშევარი სევასტიანოვი, მღებავი დავიდკინი, მტვირთავი გოლოვატოვი, მცირეწლოვნები ტეპლიაკოვი და კოჩნოვი. ისინი დღედაღამ უყურებდნენ ჰიტლერულ ფილმებს, კითხულობდნენ ფაშისტურ წიგნებს, მკლავზე ატარებდნენ ნაცისტურ ემბლემებს, სვამდნენ ალკოჰოლურ სასმელებს და უცხოელებზე მუდმივად აწყობდნენ სისხლიან თავდასხმებს.

მათი ძირითადი კითხვა ათვალწუნებული მსხვერპლისადმი ასეთი იყო: — რა ეროვნებისა ხარ? უპასუხებდი და... მერე მიდიოდა, რაც მიდიოდა. პირველად ამ თავგადაპარსულმა ფაშისტებმა ცემატყეპით სული ამოხადეს უზბეკს, მეორედ — მოლდოველს, ბოლოს კი — კორეელს, ცნობილ სპორტსმენს, ლუდის გადატეხილი ბოთლებით ყელი გამოღადრეს რუსეთის ჩემპიონს კარატეში იაშა კანს. ეს ტრაგედია მათ დაატრიალეს ელექტრომატარებელში ათასობით კაცის თვალწინ. მსხვერპლის ვაგონიდან გადმოგდების შემდეგ კი ყველა ერთად ყვიროდა: — რუსეთი მხოლოდ რუსებისთვის!

მოსკოვის საოლქო სასამართლომ კოჩნოვსა და გოლოვატოვს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 8-8 წლით, ტეპლიაკოვს — 9, სევასტიანოვს — 17, გრუზდევს — 18, დავიდკინს კი — 19 წლით.

იმ სტატისტიკის მიხედვით, რომელიც ხელთა აქვს ადამიანის უფლებათა დაცვის მოსკოვის ბიუროს, ყოველწლიურად რუსეთის ფედერაციაში, — ეროვნული შუღლის, რასობრივი სიძულვილისა და რელიგიური მტრობის ნიადაგზე ხდება 300-ზე მეტი უმძიმესი დანაშაული. მკვლელობების აღრიცხვა ცალკეა: — 2003 წელს ამ მოტივით „დიდ იმპერიაში“ სიცოცხლეს გამოასალმეს 20 კაცი, 2004 წელს კი — უკვე 44. ტემპი არც 2005-ში ეცემა. ისეთი ფაქტებია, თმები ყალყზე დაგიდგებათ. კერძოდ:

17 მაისს, ღამით, ურალის ერთ-ერთ პატარა ქალაქ ვერხნაია პიშმაში, ორიოდე საათის განმავლობაში მოკლეს სამი სომეხი — ლუკმაპურის საშოვნელად ათასობით კილომეტრზე წასული სამი ხელოსანი. საერთოდ, ამ ქალაქში 500-მდე სომხური ოჯახი კარგა ხანია ჩასახლდა და საკუთარი დიასპორაც შექმნა. ამ დიასპორის მეთაურის მასის ნაზარიანის თქმით, ვერხნაია პიშმაში სომხებს სისტემატურად სცემენ. მილიციას აკითხავენ, მაგრამ ყურადღებას არავის აქცევენ. სამი სომეხი მოკლეს მხოლოდ იმიტომ, რომ... ისინი რუსები არ იყვნენ.



ვერხნაია პიშმაში უმალ გადაფრინდა სომხეთის ელჩი რუსეთის ფედერაციაში სამბატიანი. იგი ეკატერინბურგში პირისპირ შეხვდა გუბერნატორ როსელს და სვერდლოვსკის ოლქის პროკურორს შაიკოვს. იმავე დღეს დააკავეს ექვსი ახალგაზრდა, რომელთა წლოვანება 17-დან 20 წლამდე მერყეობს. რა გგონიათ, სამართალდამცავებმა დიდი პროფესიონალიზმი გამოამჟღავნეს? რას ამბობთ! ამ ექვსეულმა პირველად ერთი სომეხი მოკლა, მას ქალაქის ცენტრში (?) საკანალიზაციო ჭაში (?) ჩაუძახა და ნადირობა კვლავ გააგრძელა. როცა მეორე და მესამე სომეხიც მოკლეს, „მაღარიჩის“ დასალევად კაფე „მწვანე ხეივანში“ შეუხვიეს. იქ ერთ-ერთი მათგანი მიკროფონს ეცა და საჯაროდ გამოაცხადა სამი სომეხის მისიკვდილება „რუსული მიწის განწმენდის“ მიზნით! მილიციას, ცხადია, ისინი იმავე წამს უნდა აეყვანა, მაგრამ... დაუცადეს ელჩის ჩაფრენას, პირისპირ შეხვედრას... მაინც რატომ?

იმიტომ, რომ დღევანდელ რუსეთში ფაშიზმი აყვავების გზას ადგას. ვერავინ დათვლის იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ნაცისტური იდეოლოგიითა თუ კონკრეტული ფაშისტური საქმიანობით დღედაღამ სისხლს უწამლავენ „ინოროდცებს“. ბოლო წლებში რუსეთში უმაღლეს დონეზე სამჯერ გამოვიდა ჰიტლერის „ჩემი ბრძოლა“. ამას მოჰყვა უამრავი წიგნი და ბროშურა ადგილობრივი ფიურერებისა, რომლებიც პროპაგანდას უწევენ ებრაელთაგან და კავკასიელთაგან სამშობლოს განთავისუფლებას, მათ შორის იარაღის გამოყენებითაც.

ქვეყნის ანტიფაშისტურმა ცენტრებმა თუ მართლქომაგთა ორგანიზაციებმა არაერთხელ მიმართეს თვით ვლადიმერ პუტინს ნაცისტთა ასალაგმად, კანონის გასამკაცრებლად, მაგრამ... პირიქით მოხდა ყველაფერი. 2003 წლის დეკემბრიდან რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსში „ეროვნული, რასობრივი და რელიგიური შუღლის გაღვივება“ (მუხლი № 282) შევიდა მსუბუქ დანაშაულთა ნუსხაში. შესაბამისად, სასჯელი შემცირდა ორმაგად და გაუტოლდა ლამის ჯიბის ქურდობას — ორ წლამდე პატიმრობას. ამასთან, სამშებრო ვადა 5-დან დავიდა 2 წლამდე. ამ ორ წელიწადში მკვლელს „ვერ მიაგნებენ“ და... მერე, დაჭერის მაგიერ, ალბათ, დააჯილდოებენ, — საგამოძიებო მასალებს კი არქივში გაისტუმრებენ (სხვათა შორის, გერმანიაში 3 წელს უსჯიან მარტოოდენ ფაშისტური სიმბოლიკის დემონსტრირებისთვის).

სულ ახლახან მოსკოვში ჩატარებული გამოკითხვით, რუსეთის მტრებად გამოცხადდა ლატვია, ლიტვა და საქართველო... მეგობრებად — ბელორუსია, გერმანია და სომხეთი... რა დასამალია, — ახლა ნამდვილად მეგობრობენ რუსეთი და სომხეთი. საქართველოდან უკვე გასული და ჯერ კიდევ გასასვლელი ტანკები სწორედ სომხეთისკენ მიემართებიან (გვესმის, დღეს უჭირს ამ ქვეყანას, — იქ ერთ მხარეს მთიანი ყარაბაღია, მეორე მხარეს კი — თურქეთი!). სამწუხაროდ, ამ ტანკებს თან მიჰყვებიან კავკასიელთა, მათ შორის სომეხთა კუბოებიც...

როდესაც სომხეთის ელჩი რუსეთის ფედერაციაში სამბატიანი ურალიდან მოსკოვში დაბრუნებულა, ჟურნალისტებისთვის უთქვამს: „ეს არის არა მარტო სომხური პრობლემა. ეს, უპირველესად, არის რუსული პრობლემაო“. ჩვენ კარგად ვიცნობთ სომხურ ხასიათს, სომხურ პატრიოტიზმს, სომხურ ჟინს (თუნდაც სპორტულს). რატომღაც, ელჩის ეს განცხადება არაფრით არ შეესაბამება არცერთ ამ სამთაგანს. რას ვიზამთ, როცა წინ შენივე მოწვეული ტანკები მოდიან, უკანა კუბოებზე შეიძლება რბილად ვილაპარაკოთ, ან სულაც თვალი დავხუჭოთ... თუმცა, არა გვგონია ეს სამუდამოდ ასე დარჩეს. რუსეთი და სომხეთი მაინც „შეფსკვნილია“ ქვიშის აპეურით, რომელიც ძალიან მალე გაწყდება...

**აი, ამგვარი რუსეთი „აგვარებს“კონფლიქტებს კავკასიელებთან, იმ ხალხებთან, რომლებსაც საკუთარ ქვეყანაში ყელს ღადრავს, ხოლო სხვაგან, თუნდაც საქართველოში — იარაღით ძეძგავს. ეროვნულ უმცირესობებს თურმე მარტოოდენ ქართველები უნდა ეჟერონ, ეალერსონ, მათ კი გაგვიტაცონ, დაგვხოცონ... ვამუქებთ რამეს? როცა ეს წერილი იწერებოდა, მთელი ქართველობა ლიახვის ხეობიდან გატაცებული (თუ უკვე დახოცილი) ოთხი ვაჟკაცის გზას გაჰყურებდა...**

**ზონდო გულიაშვილი.**

ინფორმაცია

### ქართული მხარე რუს ტურისტებს ისევ აფრთხილებს

**რუსული** საინფორმაციო საშუალებები ავრცელებენ ინფორმაციას, რომ საქართველოს ხელისუფლებას სურს რუს ტურისტებსა და დამსვენებლებს აფხაზეთის საზღვაო საზღვრის გადაკვეთის საშუალება არ მისცეს.

„არსებობს 2004 წლით დათარიღებული პრეზიდენტის სპეციალური ბრძანებულება იმის შესახებ, რომ აფხაზეთის პრობლემის მოგვარებამდე აფხაზეთის საზღვაო ზონაში სამგზავრო-ტურისტული გემების მიმოსვლა აიკრძალოს“, — განუცხადეს „ინტერფაქსს“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზღვრის დაცვის დეპარტამენტში. თუმცა სოხუმის პორტებში გემების უსაფრთხოდ შესვლის გარანტიებს სეპარატისტული ხელისუფლება იძლევა.

ცნობილია, რომ ერთი წლის წინათ, საკურორტო სეზონის გახსნამდე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გასცა განკარგულება, რომლის მიხედვით ოფიციალური თბილისის გვერდის ავლით აფხაზეთის პორტებში არც ერთ გემს შესვლის უფლება არ აქვს.

„იმ ტერიტორიაზე, რომელიც ქართველების სისხლითაა გაჟღენთილი და სადაც ქართველების თავებით ფეხბურთს თამაშობდნენ, რუსი ტურისტების შეზღონგებისთვის ადგილი არ არის“, — აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

### თბილისის საკრებულოს საგანგებო სხდომა გადაიდო

**თბილისის** საკრებულოს საგანგებო სხდომაზე, რომელიც, სავარაუდოდ, 16 ივნისს უნდა გამართულიყო, საკრებულოს წევრებს უნდა მოესმინათ თბილისის მერიის კულტურის, განათლებისა და სპორტის საქალაქო სამსახურში საკრებულოს ინტერფრაქციული ჯგუფის მუშაობის შედეგები, რის შემდეგაც, კულუარული ინფორმაციით, საკრებულოს წევრები აღნიშნული სამსახურის ხელმძღვანელის ნატა მაჩალაძისადმი უნდობლობის საკითხს დააყენებდნენ.

ასევე კულუარული ინფორმაციით, ამავე სხდომაზე იგეგმებოდა თბილისის მერიის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის ხელმძღვანელის გიორგი ასათიანის მიმართ უნდობლობის გამოცხადებაც.

თბილისის საკრებულოს მდივნის ზურაბ ქვანიას განცხადებით, საგანგებო სხდომაზე უნდა განხილულიყო საბიუჯეტო ცვლილებები, რაც ვერ მოესწრო და ეს გახდა სხდომის გადადების მიზეზი.

საკრებულოს მორიგი სხდომა 24 ივნისს გაიმართება.

### რუსთაველის და მარჯანიშვილის თეატრები გახსნას შემოდგომაზე აპირებენ

**უკვე** სამი წელია, თბილისში თეატრალური ცხოვრება ორი დიდი თეატრის გარეშე მიმდინარეობს.

რემონტის გამო, რუსთაველის და მარჯანიშვილის თეატრებს არც ახალი და არც ძველი სპექტაკლები შეუთავაზებიათ მაყურებლისთვის.

მომავალი თეატრალური სეზონიდან კი ორივე თეატრი გახსნას გვპირდება.

მარჯანიშვილის თეატრი პრემიერას გეგმავს: ბერტოლდ ბრეხტის „სამგროშიანი ოპერა“, გიზო ჟორდანიას რეჟისურით.

რუსთაველის თეატრში კი გახსნის თარიღად, თუ ყველაფერი კარგად იქნა, 28 ოქტომბერი დაგვისახელეს. ამ დღეს ასევე ბერტოლდ ბრეხტის პიესას გვიჩვენებენ, ოღონდ უკვე ლეგენდარულ „კავკასიურ ცარცის წრეს“. აზდაკის როლში ტრადიციულად რამაზ ჩხიკვაძეს ვიხილავთ.

**ჯი-ეიჩ-ენი.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 141, ხუთშაბათი, 16 ივნისი, 2005 წელი.

პრობლემა

ჯაბა ხუბუა

# დიპლომანია

**ზოგიერთ საქმესა და საკითხში ქართველი კაცის უნიკალურობაზე ადრეც უამრავჯერ თქმულა და უფრო მეტი დღესაც ითქმის.**

**ისეთ რამეს ვაქცევთ დოგმად და აუცილებლობად, რომელიც ჩვენ თავადვე გვნებს და შემდეგ ვერც ამ ვნებელობას ვხვდებით. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ქართველებს ამგვარი საქმე ერთმანეთის ჯიბრითა და ინტერესით მოგვდის.**

ამ წერილში ქართველთა უმაღლესი სწავლა-განათლების საკითხს გვინდა შევეხოთ. საკითხს, რომელიც ჯერ კიდევ როდის იყო თითოეული თუ არა, ყოველი მეორე ქართველის თვითმიზანი და რომელიც განსაკუთრებით დღეს, ქართულში დამკვიდრებული რუსული სლენგით რომ ვთქვათ, „აბეზალოვკად“ გვექცა.



უბედურება კი მაშინაც იყო და დღესაც ის არის, რომ ქართველთა უმრავლესობას განათლებაზე უფრო მისი დადასტურება, ანუ დიპლომი აინტერესებს, იმის გაწურჩევლად, ცრუ იქნება ეს დასტური თუ სამართლიანი. ქართველები ორი ცარიელი ყდის გამო ერთობ სოლიდური ასიგნაციების გადმოლაგებასაც არ უფრთხიან.

ამ საქმეში კი ლომის წილი, რა თქმა უნდა, ქართველი მშობლების არის, რომლებიც, ნებსით თუ უნებლიეთ, საკუთარ შვილებს დათვურად ემსახურებიან. მათთვის პრიორიტეტული თხა თხაზე ნაკლების პრინციპი გახლავთ, და, აქაოდა, ჩემი პირმშო სხვისას არ ჩამოვარჩინოო, შვილის გასტუდენტებისთვის არაფერს იშურებენ.

ცხადია, ისეთ შვილებზე ვსაუბრობთ, რომელთაც მხოლოდ მამიკოების ფულები შველის, თორემ ისე უმაღლესი კი არა, საშუალო განათლებაც მათთვის მეასე სადარდებელია.

ღმერთო, შეგცოდე, მაგრამ ამგვარი საქციელი ქართველი მშობლების სიბრიყვე და სიბრმავე მგონია. არც ერთ სხვა ქვეყანაში არ ყრიან ადამიანები თავიანთი შვილების გაუნათლებლობაში სიმწრითა და ოფლით ნაგროვებ თანხას.

აქვე ბოდიში მოგვითხოვია ჩვენი უფროსი თაობისგან მათი მწარე შეფასებისთვის, მაგრამ კრიტიკა საფუძვლიანია და, წესით და კანონით, უნდა მოგვეტევოს.

მით უმეტეს, რომ სწორედ ეს იყო ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც საქართველოში განათლების სისტემას წლობით ანგრევდა და აბინძურებდა.

ვსაუბრობთ ამ სფეროში გამეფებულ მექრთამეობაზე, რომელიც ქართული განათლების თვალით ხილულ უბანს წარმოადგენდა, თორემ ეს სისტემა არც სხვაგვარი ბინძური მაქინაციების დეფიციტს განიცდიდა.

სწორედ ამიტომ იყო, რომ „საქართველო ქრთამისა და კორუფციის გარეშე“ ლოზუნგით მოსული ხელისუფლება განათლების რეფორმას ერთობ ენერგიულად მისდგა.

მიზანიც კეთილშობილური იყო — განათლების სისტემის მავნე ბაცილებისგან გაწმენდა, მაგრამ აქ ქართველთა კიდევ ერთმა სისუსტემ საკმაოდ ოპერატიულად იჩინა თავი.

შეჩვეული ჭირის ამბავზე მოგახსენებთ, ქართველს რომ ხშირად შეუჩვეველს ურჩევნია და ამის გამო სიახლის შიშსაც გვარიანად განიცდის.

ისე, ვისთვის როგორ, თორემ მე ჭირთან შეჩვევა კიდევ უფრო დიდი ჭირი მგონია, რომელიც ქართველებს რამდენიმე ნაბიჯით ყოველთვის უკან გვტოვებს.

სწორედ ეს გახლავთ მიზეზი, ქართველები განათლების რეფორმას თავშიცემითა და ვაიუშველებლით რომ შეხვდნენ.

ბევრს ადრე დაწყობილი გეგმა ჩაუვარდა და აქ ისევ მოგვიტევონ, ვინც უწიგნური შვილის უმაღლესში „შეტენვას“ მაყუთით აპირებდა, იმის შიშმა დაჰკრა, ბავშვი უდიპლომოდ არ დამრჩესო (მიაქციეთ ყურადღება, ისევ დიპლომის და არა — განათლების). ამიტომაც იყო, რომ ზოგი განათლების მინისტრის „კურთხევას“ მისდგა, ზოგი — ზოგადი უნარ-ჩვევების ტესტებისას და ზოგმა „სახსენებლის“ ხსენება არც სხვა ამა ქვეყნის ძლიერთ დააკლო.

ასე, თანდათან იქცა განათლების მინისტრი და მისი რეფორმა მავანთათვის მონსტრის მსგავს საშინელებად.

მიუხედავად ამისა, მთავრობას თავისი პოზიციიდან ფეხი არ მოუცვლია და შედეგად ერთიანმა ეროვნულმა გამოცდებმაც ქართველ აბიტურიენტებს კარზე მოუკაკუნა.

ბევრი ნიჭიერი და სწავლას მოწყურებული ბავშვის მშობელს იმედი მიეცა, ვინიცობაა შვილი უსამართლოდ არ დამეჩაგროსო, მხოლოდ დიპლომის მაძიებლებმა კი სწავლისა და მეცადინეობის ნაცვლად კვლავ ქრთამის ამღებთა ძიება იწყეს და როგორც აღმოჩნდა, თურმე არც ასეთების პოვნა ყოფილა რთული საქმე.

კარგი, თავისთავად, ის არის, რომ მთავრობა წლების მანძილზე დამყაყებული და უსუსური განათლების სისტემის მოდერნიზებას და ევროპიზაციას ცდილობს, თორემ ჩანასახის სტადიაში მყოფი ეს რეფორმა განათლების სფეროში მყარად ფესვგამდგარ მექრთამეობას ხელს ასე ერთბაშად რომ მოუთავებდა, ამის ილუზია, ალბათ, არავის ჰქონდა.

უბრალოდ, გაჩნდა იმედი, რომ ადრე თუ გვიან საქართველოში ხარისხიანი და საფუძვლიანი განათლების მიღება გახდება შესაძლებელი.

აბა, მარტო დიპლომიანი (არა განათლებული) ჩვენში იმდენია, რომ მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, საშუალო არითმეტიკულით თუ გამოვთვლით, ვერც ერთი განვითარებული ევროპული ქვეყანა ჩვენთან ახლოსაც ვერ მოვა.

P. S.

**ილიას მოთხრობიდან ერთი პასაჟი მახსენდება, როცა შვილის სწავლის მოწინააღმდეგე მამას მწერალმა რკინის ლოგიკით განათლების აუცილებლობა დაუმტკიცა.**

**არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო — ასეთი იყო მოთხრობაში პეტრეს არგუმენტი.**

**მაშინ პეტრეს არა (რადგან მის შვილს სწავლა გულით სწყუროდა), მაგრამ დღეს ზოგიერთ ქართველს ამგვარი ლოგიკის მოშველიება მართებს.**



ნათია ნათელაშვილი, 20 წლის.
გიგი ჯოლბორდის ფოტო.

ტალონზე აღნიშნეთ თქვენი მოწონებული კონკურსანტის გვარ-სახელი და გამოგვიგზავნეთ მისამართზე: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-61-49.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მოგვმართეთ ამავე მისამართზე.

მანია

ზურაბ მოდებაძე

**დიდი ხანია, წავიდა აჩაჩა ურმის დრო. მის მაგივრად ნაირ-ნაირი ავტოები გამოჩნდნენ, მრავალი ფერისა და ფორმის. ამ სიახლეს კიდევ სხვა სუპერსიახლეები მოჰყვა და ასე დაიწყო გლობალიზაცია. ცხოვრებაზე დაკვირვებული ადამიანი ადვილად მიხვდება, რომ საერთო განვითარების შეჩერება შეუძლებელია, ამიტომ ბევრი ჩვენგანი მონაწილე და ხელისშემწყობია ამ პროცესისა.**





ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო და, ამის გათვალისწინებით, მსოფლიოს დიდი თუ პატარა ერები მოხდენილი ტრიუკებით გადაეშვნენ გლობალიზაციის შუაგულ მორევში.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი მცირე ქვეყანა მშიშარა ბავშვივით იდგა გლობალიზაციის „ვიშკასთან“. მათ ნაწილს „უჯიკეს“, ნაწილს კი ავტორიზებულად (თავისივე ნების საფუძველზე) პანღურიც უთავაზეს და ამგვარად მოხვდნენ ამ გაუგებრობაში. მერე კი სიამოვნებით გასცურეს და, თქვენ წარმოიდგინეთ, არცთუ ურიგოდ, თანაც, ძალიან მოეწონათ თავიანთი მდგომარეობა.

მოგვიანებით დიდი რიგი, უფრო სწორად კი, ზედახორა გამართეს „გლობალიზაციის სამსხვერპლოსთან“. გამოგიტყდებით, რომ ქართველებიც ხელდამშვენებულნი მივედით აღნიშნულ ადგილას და კარგა გვარიანი მსხვერპლიც შევწირეთ. ისმის კითხვა: რატომ? აქვე პასუხიც: თუ „კაიფია“, „კაიფი“ იყოს! — ასე ფიქრობს ბარე ორი ჩვენგანი.

ისე, კაცმა რომ თქვას, დღეს საწუწუნო რა გვაქვს, მათ იკითხონ, ვინც 2105 წელს მოესწრება. საინტერესოა, რამდენპროცენტიანი „პროგრესით“ იქნება ჰაერი გაჟღენთილი. ეს უკვე ჩემს წარმოდგენასა თუ ფანტაზიას მნიშვნელოვნად აღემატება. როგორც წესი, საზოგადოებრივ ცხოვრებაში განვითარების ყოველ ეტაპზე მოქმედებს ე. წ. „ჩანაცვლების პრინციპი“, რაც გულისხმობს იმას, რომ მორალურად მოძველებულს, იმიჯდაკარგულს ცვლი თანამედროვეთი. ეს პრინციპი ერთნაირად მისაღებია ყველასათვის. სიახლისაკენ სწრაფვა ხომ ადამიანის ცნობისმოყვარე ბუნების ერთ-ერთი მახასიათებელია. სხვათა შორის, ქართველები „ჩანაცვლების პრინციპს“ სხვაზე უკეთესად იყენებენ. მაშინაც, როდესაც საჭიროა და მაშინაც, როცა სრულიადაც არ არის აუცილებელი.

ეს ყველაფერი ახლა არ დაწყებულა, დიდი ისტორია აქვს. XX საუკუნის დიდი პოეტი თავის ორსტროფიან ლექსში ისე ოსტატურად აჩვენებს, ცოტა არ იყოს, გადაგვარების ნიშნებს, რომ აღარაფრის დამატებაა უპრიანი. იგი გულდაწყვეტილი ამბობდა: „ეს არ არის საქართველო“. ბევრ დღევანდელ ახლადგამოჩეკილ პროდასავლელს ეს სიტყვები სასაცილოდაც არ ჰყოფნის და ბევრი მათგანი უტიფრადაც დასძენს: „არარსებული ბაზარიაო“.

ავტორიზებული პანღურით „განათლებულ“ ქართველებს გლობალიზაციის მორევის დასავლურ აუზებში გვიყვარს ცურვა კი არადა, ყვინთვა. თუ აქამდე ყურებჩამოყრილი და დროშადაშვებული დავდიოდით უცხო ქვეყნებში, ახლა წინ ზეზვა წავიყოლეთ, უკან მზია (პირობითი სახელები ჩვენში აღმოჩენილი პირველი ევროპელებისა) მივიდევნეთ და ამაყად გავქუსლეთ ევროპის სიღრმეებისაკენ. რაც მთავარია, პირველ ჩვენებას დღესაც „ვაწვებით“ და „აიეტი“ ნუ მოგვიშალოს ღმერთმა!

მხოლოდ გარეგნული იერი (ნესტოში საყურე, ალაგ-ალაგ დაგლეჯილი ტანსაცმელი, მოშიშვლებული ჭიპის არე-მარე და სხვა) ვერაფერი შვილია, მთავარია შინაგანი მხარე. როგორც მოსალოდნელი იყო, ჩავარდნა არც აქ გვაქვს. ევროპული სიყვარული, „მობილი“ და „პენტიუმი“ საუკეთესოდ შევითვისეთ. ვაკოს, ვიკას და ლეკაჩოს ამ სამი ატრიბუტის გარეშე ცხოვრება აღარ შეუძლიათ. ა, ბატონო, ესეც გლობალიზაციის მწიფე ნაყოფი. ადრე სად ვიცოდით ამდენი. ჩვენთვის მხოლოდ „სიყვარული, ხანძარი და პომპიერო“ იყო ცნობილი. ამათი შედარება შეიძლება „ინტერნეტ კაფესთან“? ახლოსაც ვერ მივა...

ობიექტურად რომ ვთქვათ, კომპიუტერების ეპოქაში აღმოჩენილი ბევრი ქართველი „პენტიუმებში“ ისე ვერ „ქაჩავს“, როგორც საჭიროა. ჩვენში ეს ხარვეზი გამოსწორებულია მობილური ტელეფონებით, რომელიც არჩევნებივით პირდაპირი და საყოველთაოა.

ადრე აქტუალური იყო გამოთქმა: „მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენ!“ ახლა ეს ბრძნული თქმა რამდენადმე ტრანსფორმირდა და არანაკლები სიბრძნისა გახდა: მანახე შენი მობილური და გეტყვი, ვინ ხარ შენ!

**ოღონდაც „იმარიაჟონ“, უკანასკნელ ლარებს იმეტებენ და მცირე ზომის მობილურებს ყიდულობენ ერთმანეთის წამხედურობით. ეს სენი, გოგია უიშვილი რომ ცოცხალი იყოს, იმასაც კი გააყიდვინებდა თავის ერთგულ „წავიას“ (ძაღლი) მობილურის შეძენის მოტივით. ისე, გოგია უიშვილების მეტი რა გვყავს... შიმშილით კვდებიან, მაგრამ მობილურის ბალანსი მუდამ შევსებული აქვთ. იბადება კითხვა: რატომ? აქვე პასუხიც: თუ „კაიფია“, „კაიფი“ იყოს...**

მოდა

რიტა ჩაკვეტაძე

# რა ჩავიცვათ პლაჟზე?!

**პლაჟის სეზონი მოგვიახლოვდა. თქვენ გეშინიათ, გამოაჩინოთ თქვენი პატარა მკერდი ან განიერი თეძოები, მოკლე ფეხები ან მსუქანი მუცელი... ნუ შეგრცხვებათ.**

**დიზაინერები გირჩევენ, როგორი საცურაო კოსტიუმებით შეგიძლიათ თქვენი ტანის ნაკლოვანებების დაფარვა და ღირსების ხაზგასმა.**

***გოგონებისთვის:***

**თქვენ გაქვთ განიერი თეძოები.**



პრობლემის გადაჭრაში ზუსტად ცურვა დაგეხმარებათ. ასე რომ, გასწიეთ ზღვისკენ!

***ჩაიცვით:*** მუქი ფერის საცურაო კოსტიუმი — შორტის სტილის ქვედა ნაწილით. ეს თქვენი „მდიდარი“ ფორმების დასამალავად იდეალური საშუალებაა.

***არ ჩაიცვათ:*** თეთრი ფერის საცურაო კოსტიუმი და პატარა ბიკინები (ქალის ორნაწილიანი საბანაო კოსტიუმი, რომელიც ოდნავ ფარავს სხეულის ზოგიერთ ნაწილს).

**თქვენ გაქვთ მოკლე ფეხები და გრძელი ტანი.**



***ჩაიცვით:*** ღრმად შეჭრილი საცურაო კოსტიუმი, რომელიც თქვენს ფეხებს ვიზუალურად დააგრძელებს.

***არ ჩაიცვათ:*** მოკლე შარვლის ან მოკლე ქვედა კაბის მსგავსი საცურაო კოსტიუმი. ეს უფრო დაამოკლებს თქვენს ფეხებსა და ტანს.







**თქვენ გაქვთ დიდი მკერდი და გრცხვენიათ, გაიხადოთ პლაჟზე?**

***ჩაიცვით:*** ერთი ფერის (სასურველია მუქი) ერთიანი საცურაო კოსტიუმი ან საცურაო კოსტიუმი მაისურით.

***არ ჩაიცვათ:*** თეთრი ფერის საცურაო კოსტიუმი, პატარა ბიკინები. თორემ ასეთ ფორმაში თქვენ პამელა ანდერსონს დაემსგავსებით.

**თქვენ ტანდაბალი ხართ და ბიჭური გარეგნობა გაქვთ.**

კარგად გამოიყურებით ფართო ჯინსებსა და მაისურებში, ხოლო საცურაო კოსტიუმებში თავს მოუხერხებლად გრძნობთ.



***ჩაიცვით:*** სპორტული, საცურაო კოსტიუმი — მოკლე შარვალი და მოკლე მაისური. ასევე ძალიან მოგიხდებათ მოდური საცურაო კოსტიუმი, უზონარო ზედატანით.

***არ ჩაიცვათ:*** ორნაწილიანი საბანაო კოსტიუმი. ასეთ ფორმაში თქვენ სულ ციცქნა გამოჩნდებით.

***ბიჭებისთვის:***

**თქვენ გაქვთ წინ წამოწეული მუცელი.**

***ჩაიცვით:*** საცურაო კოსტიუმი — მოკლე შარვალი.



***არ ჩაიცვათ:*** პატარა საცურაო კოსტიუმი, რომელიც თქვენს ტანზე დაიკარგება და თქვენს ღიპს გაუსვამს ხაზს.

**თქვენ ძალიან გამხდარი ხართ.**

***ჩაიცვით:*** მოკლე, ფერადი საცურაო კოსტიუმი — „შორტები“.

***არ ჩაიცვათ:*** გრძელი, ძალიან განიერი „შორტი“ ამ ფორმაში თქვენ სკაფანდრიან ჭიას დაემსგავსებით.

**თქვენ გაქვთ ხშირთმიანი ფეხები, ხელები, მკერდი, გერიდებათ, თუნდაც პაპანაქება სიცხეში გაიხადოთ შარვალი და მაისურა.**

***ჩაიცვით:*** საცურაო კოსტიუმი „შორტები“ და ნუ დაკომპლექსდებით!

ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ თქვენი მამაკაცობის მანიშნებელია.

***არ ჩაიცვათ:*** მაისურა გრძელი სახელოებით და ფართო შარვლები. ასეთ ფორმაში თქვენ პლაჟისთვის მეტისმეტად სულელურად გამოიყურებით.

კინოსიახლეები

რიტა ყურაშვილი

## ნიკოლას კეიჯი და უილ სმიტი — ვისი აჯობებს?



ნიკოლას კეიჯი და უილ სმიტი. ორი გმირი. სისხლი სისხლისთვის. ბრძოლა გამარჯვებისთვის. მალე მაყურებელი ეკრანზე იხილავს ფილმს „Time Share“. ეს ყველაფერი ფილმის „სლოგანიდან“ ირკვეოდა, თუმცა, სინამდვილეში თქვენ გელოდებათ მორიგი ოჯახური კომედია. სადაც კეიჯი და სმიტი მზრუნველი მამების როლებს ასრულებენ და ოჯახური ბედნიერებისთვის იბრძვიან.

## ტომი ლი: „ჩემს როლს ჯონი დეპი მოუხდებოდა...“

ჯგუფ „Motley Grue“-ს სოლისტს, პამელა ანდერსონის ყოფილ მეუღლეს როკერ ტომი ლის უნდა, ფილმი გადაიღოს საკუთარ თავზე. როგორც ჩანს, დაავიწყდა, რომ მისი ცხოვრება მას შემდეგ, რაც ინტერნეტში გამოჩნდა ფილმები მის ცოლზე „ოჯახური ვიდეოარქივიდან“, ნათელი გახდა საზოგადოებისთვის. ფილმი დაფუძნებული იქნება ავტობიოგრაფიულ წიგნზე „The Dirt“, რომელიც ჯგუფის ისტორიაზე მოგვითხრობს.



ტომი ლი საკუთარი თავის როლში ჯონი დეპის ხედავს. „მე ძალიან მომწონს მისი ფილმები და ზოგჯერ მეჩვენება, რომ მე და ჯონი დეპი ძალიან ვგავართ ერთმანეთს“, — ამბობს ტომი ლი.

## „დედამთილი ურჩხული“

**რეჟისორი:** რობერტ ლუკეტიჩი.

**როლებში:** ჯენიფერ ლოპესი, ჯეინ ფონდა, მაიკლ ვარტანი...

**ჟანრი:** რომანტიკული კომედია.

... გაუმართლებელი რომანების შემდეგ შარლოტა კანტილინი (ჯენიფერ ლოპესი), ბოლოს და ბოლოს, შეხვდება თავის ოცნების მამაკაცს — ახალგაზრდა, ამბიციურ და პერსპექტიულ ექიმ კევინ ფილდსას (მაიკლ ვარტანი).



როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, პრობლემები თავს იჩენს იქ, სადაც ყველაზე ნაკლებად ელოდები. შარლოტასთვის ასეთ პრობლემად კევინის დედა — ვიოლა (ჯეინ ფონდა) იქცა, ამაყ, ცინიკურ, მაგრამ თავის შვილზე უზომოდ შეყვარებულ ქალს შვილის დაკარგვის ეშინია და გადაწყვეტილებას იღებს, დააშოროს ბედნიერი წყვილი.

## „ორფევრის სანაპირო 36“



**რეჟისორი:** ოლივიე მარშალი.

**როლებში:** დანიელ ოტოი, ჟერარ დეპარდიე, ანდრე დიუსოლი, როშლი ზემი, კატრინ მარშალი, ერიკ დეფოსი...

**ჟანრი:** მძაფრსიუჟეტიანი დეტექტივი.

...პარიზში უკვე რამდენიმე თვეა, საშიში დამნაშავეების ბანდა ბატონობს. თითქმის ყოველდღე ესხმიან თავს კარგად დაცულ ბანკებს და „საქმიდან“ მაინც „სუფთანი“ გამოდიან. ორ ნიჭიერ და ამბიციურ პოლიციელს, ბანდიტიზმთან ბრძოლის განყოფილების უფროსს ლეო ვრინკსის და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების უფროსს დენის კლეინს იერარქიულ კიბეზე ამაღლების რეალური შანსი გაუჩნდებათ.

პოლიციის შეფი რობერტ მანჩინი მეგობარ პოლიციელებს შემდეგ პირობას წაუყენებს:

ის, ვინც ბანდის განიარაღებას შეძლებს, პოლიციის ცნობილი სამმართველოს (მისამართი — ორფევრის სანაპირო № 36) უფროსი გახდება. ორ სუპერპოლიციელს შორის ბრძოლა იწყება. ყოფილი განუყრელი მეგობრები კარიერის გამო მოსისხლე მტრებად იქცევიან. ამასთან ერთად, მათ შორის დიდი ხანია დგას მშვენიერი ქალი — კამილ ვრინკსი. და როდესაც საქმე ქალს ეხება, კარგად ვიცით, არ შეიძლება, რაიმე კომპრომისი არსებობდეს.

გვერდზე მუშაობდნენ ჟურნალისტები: რუსუდან გახარია, რიტა ჩაკვეტაძე და თამარ კაციტაძე.

№ 141. ხუთშაბათი, 16 ივნისი, 2005 წელი.

## ეს ჩვენი თბილისია

*ისნის რაიონში საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენცია შენდება, მთელი კომპლექსი — ადმინისტრაციული და უშიშროების საბჭოს ფლიგელები, პრეზიდენტის სამუშაო კაბინეტები და პრეზიდენტის ოჯახის საცხოვრებელი ფლიგელები.*

*იქვე იქნება აპარტამენტები უცხოელი სტუმრებისთვის საცურაო აუზითა და შადრევნებით (ეს მიხეილ სააკაშვილის სპეციალური მოთხოვნა ყოფილა).*

*ცალ-ცალკე დარბაზები გამოიყოფა მინისტრებთან, სპეციალურ სტუმრებთან და უბრალო მოსახლეობასთან შესახვედრად. მათ თეთრი სახლის მსგავსად სხვადასხვა სახელი დაერქმევა.*

*განსაკუთრებული ფუნქცია დაეკისრება სარდაფს, რომელიც ცალკე მიწისქვეშა კომპლექსს შექმნის. იქვე მოეწყობა საიდუმლო გასასვლელები, საიდანაც, საჭიროების შემთხვევაში პრეზიდენტს შეუმჩნევლად შეეძლება გასვლა. რეზიდენციის ოთხმეტრიან ჭერში მოეწყობა კომუნიკაციის საშუალებები და ფარული აპარატურა.*

*რეზიდენციაზე მუშაობენ არქიტექტორი გიგა ბათიაშვილი და კომპანია „არსი“ (ხელმძღვანელი გია აბულაძე).*

*პრეზიდენტის სასახლის მშენებლობაზე ოფიციალურად 10 მილიონი დოლარი დაიხარჯება, ისე კი, ამბობენ, რეალურად 50 მილიონამდე დაჯდება (როგორც ადრევე ითქვა, ამ მშენებლობას მოხმარდება კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის გაყიდვით შემოსული 16 მილიონი დოლარი).*

*თუ გავიხსენებთ, რომ ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი რამდენიმე თვის წინათ ერთობ „გვიიოლებდა“ საქმეს და სულ რაღაც 60 ათასამდე ლარად (?!) გვისვამდა ამ რეზიდენციის ვითომდა „კოსმეტიკურ რემონტს“ (და არა არსებული შენობის დანგრევას და ახლის აშენებას, ირგვლივ მოსახლეობის გაყვანას და ა.შ.), მისი შემომატებით მოგვრილი სიხარული ერთობ ძვირი გვიჯდება.*

*მაგრამ პირადად მე, პრინციპში ამ სასახლის წინააღმდეგი სულაც არა ვარ, საქართველოს პრეზიდენტებს დიაღაც დასჭირდებათ ახალი, გამორჩეული რეზიდენცია, ოღონდ მისი აგება უფრო შესაფერის დროს სჯობდა, როცა ქვეყანა ცოტა სულს მოითქვამდა.*

# 2. ავლაბრის ყაზარმა

## აქ პრეზიდენტის სასახლე შენდება

ამრიგად, ძველ უბანში — ავლაბარში (ხოლო თუ თბილისის ისტორიას ჩავუღრმავდებით, — გარეთავლაბარში) პრეზიდენტის რეზიდენცია შენდება.

შიდაავლაბრისგან — გალავნით შემოზღუდული მეტეხის პლატოსა და მიმდებარე ტერიტორიისგან განსხვავებით, სადაც ძირითადი ქუჩები მტკვარზე გადამდგარი კლდის პარალელურად გადიოდა, ხოლო მთავარი ქუჩა მათ ირიბად ჰკვეთდა, X1X საუკუნის გარეთავლაბარი ქუჩების, შუკების, ჩიხების, შესახვევების ლაბირინთს წარმოადგენდა.



გარეთავლაბარი ერქვა ჯერ კიდევ არაბობის დროიდან თხრილით, ბოლოს კი, ერეკლე 11-ის მიერ, გალავნით შემოზღუდული შიდაავლაბრის გადაღმა მდებარე პლატოს, რომელიც დაახლოებით დღევანდელი ბარათაშვილის (ყოფილი ციციანოვის, ყოფილი კალიაევის) აღმართით, მესხიშვილის ქუჩითა და ელენე ახვლედიანის (ყოფილი ჩუღურეთის, სურბკარაპეტას, კიბალჩიჩის) ხევით იფარგლებოდა. 1795 წელს, აღა-მაჰმადხანის შემოსევისას, ეს უბანი მთლიანად დაიწვა, X1X საუკუნის დასაწყისში კი ხელახლა, ქაოტურად გაშენდა. გეგმარების რეგულარული ხასიათი მის მხოლოდ მცირე ნაწილში — ახლანდელი ნიკო ლომოურის ქუჩის სამხრეთ-დასავლეთით იგრძნობოდა, სწორედ იქ, სადაც რუსეთის მიერ საქართველოს მიერთებისა და თბილისში რუსის ჯარის შემოსვლის შემდეგ ოფიცერთა პოკროვსკის ყაზარმა აიგო. ის X1X საუკუნის 10-20-იან წლებში (და შემდგომაც) თბილისში რუსების მიერ აგებულ ჯარის სადგომებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და დიდი იყო (1887 წ. თბილისის გეგმაზე აღნიშნულია „Покровскія казармы мингрельского гренадерского полка“). შემდეგ მის გარშემო მოზრდილი დასახლებული უბანი შეიქმნა, რომელსაც „ყაზარმის უბანი“ ერქვა.

პოკროვსკის ყაზარმის შენობაში ჩვენ დღეებამდე (სანამ დაანგრევდნენ და მის ნაფუძარზე პრეზიდენტის რეზიდენციის აგებას დაიწყებდნენ) თბილისის ავტოინსპექცია იყო მოთავსებული (XX საუკუნის ბოლო მესამედში ამ შენობას ფასადზე ფსევდოკლასიციზმის სტილის კოლონები მიაშენეს „დასამშვენებლად“, მაგრამ შიგნითაც და გარეთაც უსახურს ვერაფერი უშველეს). მთელი ერთი საუკუნე იქვე არსებობდა პოკროვსკის ქუჩა (1924 წლიდან მას მწერალ ნიკო ლომოურის სახელი ჰქვია), რომელიც, ფაქტობრივად, ჯარის სავარჯიშო „პლაცი“ იყო. იმ ქუჩას კი, რომელზეც უშუალოდ იდგა ყაზარმა, ადრე ჟანდარმთა ერქვა (იქ, ყოფილ ყაზარმაში, ერთ დროს ჟანდარმერია იყო განთავსებული), შემდეგ — სამოქალაქოს, 2000 წლიდან კი გამოჩენილი ანთროპოლოგის, აკადემიკოს მალხაზ აბდუშელიშვილის სახელი ჰქვია.

როგორც ვხედავთ, ამ ყაზარმამ ოდესღაც თბილისის ერთ-ერთ ქუჩას და მთელ უბანს მისცა თავისი სახელი. მაგრამ საქართველოს ისტორიაში მას სხვა რამის გამო უფრო აქვს დამკვიდრებული საგანგებო ადგილი: 1832 წლის ცნობილი შეთქმულების გამომჟღავნების შემდეგ მისი მონაწილენი იქ ჰყავდათ დამწყვდეული, რასაც ხალხმა „ყაზარმობა“ უწოდა.

არა მეტეხის ციხეში, სადაც, წესით, უნდა ჩაესვათ პატიმრები, არამედ — სწორედ პოკროვსკის ყაზარმაში!

ამას თავისი მიზეზი ჰქონდა, რომელსაც სხვადასხვაგვარად ხსნიან მკვლევარნი.

შეთქმულების თვალსაჩინო წევრი ალექსანდრე ორბელიანი იგონებს: „მეტეხის ხიდს რომ გავცილდით, მე მეტეხის საპყრობილის ციხისკენ შევბრუნდი, მაგრამ პრისტავმა ავლაბრისკენ ამატარა. წამიყვანა და ოფიცრების ყაზარმაში შემიყვანა, საიდგანაც ოფიცერი გამოვიდა, მაღლა ატაჟში ამიყვანა ერთს განმარტოებულს ოთახში. დამსვეს შიგ და ჩესავოი დააყენეს თავის იარაღით. მცირე ხნის უკან ყური დავუგდე, დიდი ფეხის ხმიანობის, წასვლის-მოსვლის ხმა იყო გარეთ კარიდორში და კარების ჯახა-ჯუხი. მივხვდი, ჩემს ამხანაგებსაც სმენ საპყრობილეში-მეთქი. როცა კარგად გათენდა, რუსის კალატოზი შემოვიდა, ფანჯრებზე სქელი გაჯი წაუსო და ოთახი ისე დაბნელდა, რომ მზის შუქი ძლივს დაინახებოდა“.

ერთ-ერთი მკვლევარი საგანგებოდ აღნიშნავს: იმან, რომ ალექსანდრე ორბელიანი (და მისი ამხანაგები - **ა.ა.**) მეტეხში არ ჩასვეს, სადაც „განსაცდელი ეგულებოდა და გმირულ მოწამეობას სწორედ მეტეხი შეჰფეროდა, იგი მიახვედრა, შეთქმულების დაკნინება და გაბიაბრუება განუზრახავთო. ოფიცერთა ყაზარმა აუფასურებდა აჯანყების სამზადისს, ჩანაფიქრის სიდიადეს“.

ვითომ მართლა ასე იყო? იქნებ ყაზარმაში იმიტომ შეყარეს პატიმრები — სახელმწიფო დამნაშავენი, რუსთა ბატონობის წინააღმდეგ შეთქმულნი, რომელთაგან ათს სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს (თუმცა შემდეგ სხვადასხვა ვადით გადასახლებით შეუცვალეს), რომ იქ უფრო საიმედოდ დაიცავდნენ, ყოველთვის თვალწინ ეყოლებოდათ, მკაცრად იზოლირებული იქნებოდნენ გარესამყაროსგან.

ყოველ შემთხვევაში, ყაზარმაში ჩასმით „შეთქმულების დაკნინებას და გაბიაბრუებას, აჯანყების სამზადისის, ჩანაფიქრის გაუფასურებას“, არამც და არამც არ შეიძლება დავეთანხმოთ.

პირველ ხანებში პატიმრებს კარგად ექცეოდნენ, კარგადაც კვებავდნენ. ნება დართეს სახლებიდან საჭმელი და საცვლები მიეღოთ. მაგრამ მას შემდეგ, რაც საგამომძიებლო კომისიის თავმჯდომარედ პეტერბურგიდან გენერალი ჩევკინი ჩამოვიდა, ტუსაღების მოპყრობის მანამდე არსებული „ადამიანური წესები“ სრულიად შეიცვალა. „შემოიღეს, — წერს დიმიტრი ყიფიანი, რომელიც პატიმართა შორის ყველაზე ახალგაზრდა იყო, — დაყვირება, ფეხების დაბრაგუნება, შეტევა, ხან ერთს გაიყვანდნენ კამერიდან, ხან მეორეს და ცალკე დაამწყვდევდნენ ცარიელ ხმელა პურზე, ერთი დღით კი არა, მთელი კვირაობით და თვეობითაც“.

მეთვალყურეობის მკაცრი სისტემის მიუხედავად, ავლაბრის ყაზარმაში მოთავსებისთანავე შეთქმულებმა მოახერხეს ერთმანეთთან კავშირის გაბმა. მიმოწერა ჰქონდათ დიმიტრი ერისთავს, მამუკა ორბელიანს, დიმიტრი ყიფიანს და სხვებს.



ავლაბრის ყაზარმიდან კარგად ჩანდა მტკვრის გაღმა უბანი, სადაც შეთქმულთა უმეტესობა ცხოვრობდა. პატიმრები უყურებდნენ ოჯახის წევრებსა და კარმიდამოს. საპატიმროს სარკმლიდან უცქეროდა პოეტი გრიგოლ ორბელიანი, როგორ მოჰქონდათ მისი სათაყვანებელი დედის ხორეშანის კუბო.

საგამომძიებლო კომისიის მუშაობის დასრულებისთანავე, ვიდრე რუსეთიდან მეფის გადაწყვეტილება მოვიდოდა, საქართველოს მთავარმართებელმა, ბარონმა როზენმა პატიმრების ნახვის ნება დართო.

ნათესავების გარდა ტუსაღების სანახავად მოდიოდნენ გარეშენიც. მათ შორის მოსულან ყარაჩოხელებიც. „საღამოს პირზე, — იგონებდა შემდეგში გრიგოლ ორბელიანი, — ჩვენს ყაზარმას დაუპირისპირდა ზურნა-დალაბანდი მოქეიფე ბიჭებით, ღვინითა და სიმღერით. მოქეიფენი შეჩერდნენ ჩვენს ფანჯრების პირდაპირ და სიმღერით დაგვიწყეს ნუგეში: „ნუ გეშინიათ, ბიჭებო, მოთმინება იქონიეთ, ღმერთი მოწყალეა“. ერთხანს გვალხენდნენ და გვანუგეშებდნენ, ვინ იყვნენ ისინი, დღესაც არ ვიცი“.

შეთქმულთა დიდი ნაწილი პოეტები და მწერლები იყვნენ. მათმა ავლაბრის ყაზარმაში ჩასმამ „ციხის ლიტერატურის“ სერია შექმნა, რომელიც არალეგალური სახით ხელიდან ხელში გადადიოდა.

დაბოლოს, ერთი არსებითი გარემოება. 1832 წლის შეთქმულთ „პირველი ღამის განკარგულებით“ შედგენილი ჰქონდათ მოქმედების სპეციალური გეგმა, სადაც როლები კონკრეტულად იყო განაწილებული:

— მეტეხის ციხეს გიორგი და ლევან ერისთავები შეუტევდნენ 40 კაცით;

— არსენალს, საველე-სასურსათო კომისიას, ხაზინასა და ორდონანსჰაუზს — დიმიტრი ერისთავი, ვახტანგ ორბელიანი, ბეჟან ამილახვარი, გიორგი თუმანიშვილი და ივანე ერისთავი — 50 კაცით;

— ნავთლუღის კომისიას — ბიძინა და იასე ერისთავები და თეიმურაზ ამილახვარი — 20 კაცით.

მთავარი პოკროვსკის ყაზარმა იყო. მას ზაქარია ჩოლოყაშვილი და დიმიტრი ორბელიანი დაეცემოდნენ 2 ზარბაზნითა და 200 კაცით.

თუმცა... არც ამდენი ხალხი ჰყავდათ და არც ზარბაზანის ხმარება იცოდა რომელიმემ. არტილერისტობაში საქართველოში გადმოსახლებული პოლონეთის აჯანყების მონაწილე პოლონელი ჯარისკაცების იმედი ჰქონდათ, დაგვეხმარებიანო.

აჯანყების დღე რამდენჯერმე გადაიდო. ზაქარია ჩოლოყაშვილი, რომელსაც ყაზარმისთვის უნდა შეეტია 20 ნოემბერს, ამხანაგებს ურჩევდა: კორპუსის უფროსი წასულია, ზამთარი დამხმარე ჯარს ხელს შეუშლის კავკასიონის ქედის გადმოლახვაში ან ზღვით შემოსვლაში, ჩვენ კი ამასობაში ყველაფერს მოვრჩებითო. მაგრამ ვადა 20 ნოემბრიდან 6 დეკემბრისთვის გადაიდო, მერე — 20 დეკემბრისთვის. ამასობაში კი იასე ფალავანდიშვილმა შეთქმულება გასცა და 11 დეკემბრიდან ყველა დააპატიმრეს...

ასეთია ავლაბრის (პოკროვსკის) ყაზარმის ამბავი, რომელიც ამიერიდან, ახალმშენებლობასთან დაკავშირებით, მხოლოდ ზეპირსიტყვიერებითღა შემორჩება თბილისს.

**ალეკო ასლანიშვილი.**

**სურათებზე: პოკროვსკის ყაზარმა (მთაზე) — ხედი რიყის ქუჩიდან (1893–1895 წ.წ. ფოტო); თბილისის ავტოინსპექციის შენობა.**

## სურსათის ნავთობის სუნი ეცა



**გაეროს გენერალური მდივნის სავარაუდო კავშირი Cotecna ფირმასთან, რომელიც თვალყურს ადევნებდა „ნავთობი სურსათის სანაცვლოდ“ პროგრამის შესრულებას, გახდა იმ კომიტეტის წევრთა საგანგებო ყურადღების ობიექტი, პროგრამასთან დაკავშირებულ გარემოებებს რომ იძიებს.**

მიმდინარე კვირას გამოქვეყნდა შვეიცარიის Cotecna კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ შედგენილი ბარათი, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ შეხვდნენ ამ ფირმის წარმომადგენლები კოფი ანანს 1998 წელს. ამ შეხვედრიდან რამდენიმე კვირის გასვლის შემდეგ, შვეიცარიის კომპანიამ გაეროსგან მიიღო კონტრაქტი პროგრამაზე მუშაობისთვის.

თვით გენერალური მდივნის მტკიცებით, მან არ იცოდა, რომ ფირმა იბრძოდა ამ კონტრაქტისთვის, თუმცა, მისი ვაჟი — კოჯო შვეიცარიის ამ კომპანიის კონსულტანტი იყო.

„ნავთობი სურსათის სანაცვლოდ“ პროგრამის ირგვლივ აგორდა მრავალი სკანდალი, რომლებიც უკავშირდება ბრალდებებს კორუფციაში. მანამდე საგამოძიებო კომიტეტი აცხადებდა, რომ გაეროს მეთაური არ ეხმარებოდა შვეიცარიულ კომპანიას, თუმცა, ანანი მაინც გააკრიტიკეს იმის გამო, რომ შექმნილ ვითარებაში ვერ შენიშნა ინტერესთა პოტენციური კონფლიქტი.

რაც შეეხება კოჯოს, იგი ბრალეულად ცნეს იმაში, რომ „განზრახ ატყუებდა“ მამას შვეიცარიის ფირმასთან თავის ფინანსური ურთიერთობის საკითხებში.

ახლა საგამოძიებო კომიტეტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ხაზგასმულია, რომ „გაიმართება დამატებითი გამოძიება ახალი ინფორმაციის გამოჩენასთან დაკავშირებით“.

შვეიცარიის კომპანიის ზემოაღნიშნული ბარათი, რომელიც 1998 წლის დეკემბრითაა დათარიღებული, გაგზავნა ამ ფირმის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა-მუშაკმა მაიკლ უილსონმა.

ბარათში ხაზგასმულია, რომ გაეროს წარმომადგენლებმა ფირმას მისცეს „კოლექტიური რჩევა“, რომლიდანაც შეიძლებოდა ასეთი დასკვნის გამოტანა: Cotecna კომპანიას შეიძლებოდა ჰქონოდა მათი მხარდაჭერის იმედი.

ეს წერილი გამოაქვეყნა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“, მოგვიანებით კი, ფირმამ დაადასტურა, რომ ბარათი ნამდვილად მის მიერ იყო შედგენილი, თუმცა, შვეიცარიის კომპანიის წარმომადგენლებმა მაშინ გაზეთს განუცხადეს, რომ არაფერი ახსოვდათ ამ ბარათის შესახებ.

გაეროს წარმომადგენელი ფრედ ეკჰარდიც ვერ ამტკიცებს იმ ფაქტს, რომ შეხვედრა ნამდვილად გაიმართა. „ამის თაობაზე ველაპარაკე გენერალურ მდივანს, რომელიც ამჟამად პარიზში იმყოფება, და მანაც ვერ გაიხსენა ეს შეხვედრა“, — განუცხადა ეკჰარდმა ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს.

და მაინც, დასძინა გაეროს წარმომადგენელმა, მთელი ინფორმაცია გადაეცა საგამოძიებო კომიტეტის თავმჯდომარეს პოლ ვოლკერს. მისი თავმჯდომარეობით მოქმედი კომიტეტის მოხსენების საბოლოო ვარიანტი ივნისის ბოლომდე უნდა გამოქვეყნდეს.

## ოპეკი კვოტების გაზრდას აპირებს

**ოპეკში შემავალი ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების მინისტრები ავსტრიის დედაქალაქ ვენაში განიხილავენ ნავთობის მოპოვების კვოტების გადიდების შესაძლებლობას.**

როგორც მოელიან, ოპეკი ამჟამინდელი 500 ათასი ბარელიდან ნავთობის მოპოვების სადღეღამისო კვოტას 28 მილიონ ბარელამდე გაზრდის.

ოპეკზე დიდ ზემოქმედებას ახდენენ ნავთობის იმპორტიორი ქვეყნები, და ისიც, რომ როგორც ამ ორგანიზაციამ თავის დროზე განაცხადა, არ დაუშვებს ნავთობის ფასების სწრაფ ზრდას.

ორშაბათს „ბრენტის“ ტიპის ერთი ბარელი ნავთობის ფასმა 55-დოლარიან ნიშნულს გადააამეტა.

ოპეკის პრეზიდენტმა შეიჰ აჰმად საბაჰმა განაცხადა, რომ ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია ვალდებულია რეაგირება მოახდინოს ამ ნედლეულის ფასების ასეთ სწრაფ ზრდაზე.

ოპეკის პრეზიდენტს მხარი დაუჭირეს გაერთიანებული არაბული საამიროების, ნიგერიის და ნავთობის ექსპორტიორი სხვა ქვეყნების მინისტრებმა.

ნავთობის კარტელი უკვე სადღეისოდ მოიპოვებს ნედლეულს ოფიციალური კვოტების გადამეტებით.




აჰმად საბაჰს მიაჩნია, რომ ოპეკის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება კვოტების გადიდების შესახებ „იქნება წმინდა სიმბოლური“, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი მხოლოდ განამტკიცებს სადღეისოდ არსებულ ნავთობის მოპოვების დეფაქტო მოცულობას. ამ მოსაზრებას იზიარებს საუდის არაბეთის ნავთობის მრეწველობის მინისტრი ალი ნაიმი. როგორც მას მიაჩნია, ნავთობზე ამჟამად არსებული მაღალი ფასების მთავარი მიზეზია არა ამ ნედლეულის მოპოვების მოცულობა, არამედ ის, რომ შეზღუდულია მისი გადამუშავების შესაძლებლობები.

## ჯორჯ სოროსი ყირგიზეთში სპეციალურ ფონდს შექმნის

**ცნობილი ამერიკელი მილიარდელი ჯორჯ სოროსი მხარს უჭერს სპეციალური ფონდის შექმნას, რომლიდანაც ხელფასებს გადაუხდიან ყირგიზეთის მთავრობის სახელმწიფო მოხელეებს.**

„მე მხარს ვუჭერ ფონდის შექმნის იდეას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო სამსახურში კვალიფიციური პერსონალის დახმარება“, — თქვა ჯორჯ სოროსმა ალმა-ათაში, აზიის საზოგადოების საერთაშორისო ბიზნეს-კონფერენციაზე გამოსვლისას.

„მე თავის დროზე მხარს ვუჭერდი ასეთი ფონდის დაარსებას საქართველოში და მაშინ დამადანაშაულეს იმაში, რომ მთავრობას ფულს ვუხდიდი, მაგრამ ეს ასე არ არის“, — თქვა ამერიკელმა მილიარდერმა.

სოროსმა განმარტა, რომ საქართველოს მთავრობაში სახელმწიფო მოხელეები იღებდნენ 1200-1200 დოლარს, რამაც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს მისცა იმის შესაძლებლობა, რომ სამშობლოში დაებრუნებინა თავის დროზე საზღვარგარეთ წასული მაღალკვალიფიციური პერსონალი.

„მე მხარს დავუჭერდი ყირგიზეთისთვის ასეთივე ფონდის შექმნის იდეას“, — დაასკვნა ჯორჯ სოროსმა.



## ერაყში შეინიშნება ქორწინებათა ბუმი

**ერაყში უშიშროების თვალსაზრისით არასტაბილური ვითარების მიუხედავად, მაინც შეინიშნება ქორწინებათა ბუმი.**



საქორწინო ცერემონიათა ორგანიზატორების თქმით, 2003 წლიდან, სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ, ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ქორწინებების რაოდენობა, და ასეთი ზრდა კვლავაც განუხრელად გრძელდება.

მრავალი ადამიანი ამას უკავშირებს ერაყის მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, რის წყალობითაც ახალგაზრდობას ეძლევა შესაძლებლობა, შექმნან ოჯახები. „ადამიანები დაღალა ომმა და გაურკვევლობამ, მათ სურთ სიხარული, ბედნიერება და სტაბილურობა“, — წერს გაზეთი „ალ-შარქ ალ-ავსატი“.

25 წლის მირვა და 29 წლის ადილ ქამილი განეკუთვნებიან იმ ერაყელთა რიცხვს, რომლებიც დიდხანს ელოდნენ ამ მოვლენას: ხან მათ ქორწინებას ხელს უშლიდა ფინანსური პრობლემები, ხანაც კი ქვეყანაში შექმნილი დაძაბული ვითარება. მაგრამ ახლა ახალგაზრდა ცოლ-ქმარი მომავალს ოპტიმიზმით უყურებს. კამილს აქვს სამუშაო ერაყის ნავთობის სამინისტროში, რის წყალობითაც მან შეძლო გარკვეული ფულის დაზოგვა ქორწილის გადასახდელად.

## იაპონია და საფრანგეთი ქმნიან ახალი თაობის ზებგერით თვითმფრინავს

**იაპონია და საფრანგეთი იწყებენ ახალი თაობის ზებგერითი სამგზავრო თვითმფრინავის შექმნას. შესაბამის შეთანხმებას ხელი მოაწერეს ორი ქვეყნის ავია-კოსმოსური კომპანიების წარმომადგენლებმა პარიზის ლე-ბურჟეს აეროკოსმოსურ ავია-სალონში.**

ფრანგები დაინტერესებული არიან იმით, რომ მოიზიდონ იაპონური ენერგიადამზოგავი ტექნოლოგიები და იაპონელთა გამოცდილება ძრავების მშენებლობის სფეროში, რამაც უნდა გააიაფოს ზებგერითი ლაინერების ექსპლოატაცია.

იაპონიაში ფიქრობენ, რომ პროექტის რეალიზაცია ამ ქვეყანას მისცემს შანსს ეზიაროს ავიამშენებლობის მოწინავე ტექნოლოგიებს, რომელშიც ამერიკის და დასავლეთ ევროპის მწარმოებლებს მდიდარი გამოცდილება აქვთ შეძენილი. ამავე დროს, ახალი თვითმფრინავის შემუშავება საკმაო რისკთანაც არის დაკავშირებული. მას არ უნდა ჰქონდეს თავისი ძვირადღირებული წინამორბედის ინგლისურ-ფრანგული „კონკორდისთვის“ დამახასიათებელი ხარვეზები, იგულისხმება ტექნიკური ნაკლოვანებანი.



საჭიროა ასევე მნიშვნელოვნად შემცირდეს ხმაურის დონე, გაიზარდოს ლაინერის ეკონომიურობა და ეფექტიანობა.

უახლოესი სამი წლის განმავლობაში დაგეგმილია საბაზრო ტექნოლოგიების შექმნა, რის შემდეგაც დაიწყება ძირითადი საპროექტო სამუშაოები.

იაპონიამ უკვე სცადა დამოუკიდებლად შეექმნა ზებგერითი ლაინერი. ამ სამუშაოებში მონაწილეობდა კონსორციუმი იაპონიის კოსმოსური სივრცის კვლევის სააგენტოს ხელმძღვანელობით, მაგრამ პროტოტიპის წარუმატებელი გამოცდის შემდეგ, 2002 წელს ეს სამუშაოები ჩიხში მოექცა და ფაქტობრივად შეწყდა.

1960-იან წლებში დაპროექტებული „კონკორდ“ ზებგერითი თვითმფრინავი 2003 წლამდე ასრულებდა რეგულარულ ტრანსატლანტიკურ რეისებს. იგი მანძილს პარიზიდან ნიუ-იორკამდე სამ საათში ფარავდა.

**განცხადება სააქციო საზოგადოება „მასპინძლის“ აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ**

**2005 წლის 8 ივლისს, 17 საათზე მოწვეულია აქციონერთა მორიგი საერთო კრება საზოგადოების იურიდიულ მისამართზე: ქ. თბილისი, თარხნიშვილის ქ. №1**

**დღის წესრიგი:**

1. დირექტორატის ანგარიშის დამტკიცება.
2. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;
3. წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება;
4. სამეთვალყურეო საბჭოს ახალი შემადგენლობის არჩევნები;
5. 2005 წლისთვის აუდიტორის არჩევის შესახებ;
6. სხვადასხვა საკითხები.

აქციონერთა საერთო კრების სააღრიცხვო დღე — 2005 წლის 7 ივნისი.

აქციონერებს შეუძლიათ შეამოწმონ კრებაში მონაწილეობის უფლება დამოუკიდებელ რეგისტრატორთან შპს „ICT დელამენში“, მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №153.

**შეკითხვებისა და რეკომენდაციებისათვის აქციონერებს შეუძლიათ მიმართონ დირექტორატსა და სამეთვალყურეო საბჭოს.**

**სააქციო საზოგადოება „საქგაზმშენის“ დირექცია გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 6 ივლისს, 12 საათზე დანიშნულია სააქციო საზოგადოების აქციონერთა კრება.**

**დღის წესრიგი:**

1. 2004 წლის საფინანსო-სამეურნეო ანგარიში;
2. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში;
3. დირექტორატის ანგარიში;
4. ინფორმაცია 2004 წლის შედეგებზე, აუდიტორულ შემოწმებებზე;
5. საწესდებო კაპიტალში ცვლილებები;
6. ფილიალების საკითხი.

**გთხოვთ, მოავლინოთ თქვენი წარმომადგენელი კრებაზე დასასწრებად.**

◉ დასაფიქრებლად

*დასაბუთებულია, რომ პიროვნების ჩამოყალიბებაში ძირითადად სამი ფაქტორი მონაწილეობს: გენეტიკური, ანუ მემკვიდრეობითი, აღზრდა (განათლება, ცოდნა) და გარემო პირობები. ადამიანის ბუნება ისეთია, რომ ის გაურბის გარემოს ისეთ მავნე ზემოქმედებას, რომელიც მას მყისიერად დააზიანებს; მაგალითად, წყალს, ელექტროდენს და სხვ. მაგრამ თანამედროვე ადამიანი ხშირად ხვდება ისეთ გარემოში, რომლის მავნე ზემოქმედების შედეგი მოგვიანებით იჩენს თავს. ვფიქრობთ, რომ ასეთი შემთხვევები მეცნიერულ განმარტებას საჭიროებს, რადგან მკვლევარის მუშაობის მიზანი მარტო მეცნიერული ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება როდია, არამედ ადამიანებისთვის სარგებლობის მოტანა.*

# ფარული და შეუმჩნეველი...

## „მიხეილ ხანანაშვილის ტრიადის“ გამო



სულ რამდენიმე ათეული წელია, ადამიანის თავის ტვინს უხდება მუშაობა მისთვის უჩვეულო, რთულ გარემო პირობებში. მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს მოჰყვა ინფორმაციის ისეთი მოზღვავება, როგორიც კაცობრიობას არ ჰქონია თავისი განვითარების არც ერთ ეტაპზე. ამან გამოიწვია აგრეთვე, ადამიანთა ცხოვრების, შრომისა და დასვენების წესის ცვლილებები. მრავალი ტექნიკური მოწყობილობა სიკეთის მომტანია ადამიანისთვის, თუკი ის სწორად იქნება გამოყენებული. არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს დიდი რაოდენობით ინფორმაციის ათვისება ცუდად მოქმედებს ჯანმრთელობაზე. ეს ასე არ არის. ადამიანის თავის ტვინს აქვს უნარი გადაამუშაოს და აითვისოს უზარმაზარი მოცულობის ინფორმაცია, თუკი დაცული იქნება განსაზღვრული პირობები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადამიანის თავის ტვინი ყოველგვარ პირობებში ვერ მუშაობს სრულფასოვნად, ვერ ფუნქციონირებს ნორმალურად, მას ხელშემწყობი პირობები ესაჭიროება.

როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, თანამედროვე მსოფლიო ხასიათდება ფსიქონერვული დაავადებების სწრაფი ზრდის ტემპით. საინფორმაციო საშუალებები გვაუწყებს ადამიანთა აგრესიულობის გამოვლინებებს, აღინიშნება ადამიანთა სიცოცხლის ხელყოფის ფაქტები. ყოველ მოვლენას თავისი გამომწვევი მიზეზი გააჩნია. აღნიშნული შემთხვევები მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანი მოხვდა ცუდ გარემო პირობებში, ნებსით თუ უნებლიეთ, მასზე ზემოქმედება იქონია მრავალმა ფაქტორმა, იგი მეტისმეტად აიგზნო, რამაც განაპირობა შესაბამისი ქცევა.

ფსიქონერვული დაავადების მრავალი მიზეზი არსებობს, მაგრამ არის ფაქტორები, რომლებიც მეტად მნიშვნელოვანია ჩვენს სინამდვილეში. მეტად ნიჭიერმა, მაგრამ ამავე დროს ჩუმმა, უხმაურო და მოკრძალებულმა მეცნიერმა, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიისა და სამეცნიერო საზოგადოების წევრმა, ფიზიოლოგმა, ჩვენმა თანამემამულემ, აკადემიკოსმა მიხეილ ხანანაშვილმა. ადამიანებზე და ცხოველებზე ჩატარებული მრავალწლიანი ფუნდამენტური კვლევის შედეგად აღმოაჩინა ახალი ფსიქონერვული პათოლოგია — ინფორმაციული დაავადება. შესწავლილია მისი გამომწვევი მიზეზი (ეტიოლოგია) და პათოგენეზი, მიმდინარეობა, პროფილაქტიკისა და მკურნალობის ზოგიერთი მეთოდი.

როგორც აღვნიშნეთ, ტვინს შეუძლია გადაამუშაოს უზარმაზარი მოცულობის ინფორმაცია, მაგრამ თუკი მოხდება სამი ფაქტორის ორგანიზმისთვის არახელსაყრელი თანხვედრა, — ვითარდება ინფორმაციული დაავადება. ეს ხდება იმ შემთხვევაში: 1. თუ გადასამუშავებელი და ასათვისებელია დიდი რაოდენობით ინფორმაცია; 2. თუკი ტვინი მოცემული სამუშაოს შესასრულებლად ხანგრძლივი დროის განმავლობაში იმყოფება დროის დეფიციტის პირობებში და 3. როდესაც მოტივაციის დონე (ანუ ინფორმაციის ათვისებით დაინტერესება) არის მაღალი. ამ სამ ფაქტორს ინფორმაციული ტრიადა ეწოდა (მეცნიერთა შორის მას ხშირად „მიხეილ ხანანაშვილის ტრიადას“ უწოდებენ).

მიხეილ ხანანაშვილის აღმოჩენას — ინფორმაციულ დაავადებას — სცნობენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში: ამერიკის შეერთებულ შტატებში, რუსეთში, ინგლისში, გერმანიაში და სხვაგან. ამის დასტურია ისიც, რომ მეცნიერის კვლევის შედეგები გამოქვეყნებულია გერმანიაში, ინგლისსა და რუსეთში სტუდენტებისთვის და სპეციალისტებისთვის განკუთვნილ ფსიქიატრიისა და პათოფიზიოლოგიის სახელმძღვანელოებში.

სამწუხაროდ, ინფორმაციული ტრიადის პირობებში სულ უფრო მეტი პროფესიის ადამიანს უწევს ცხოვრება და მუშაობა.

უნდა აღვნიშნოთ რისკ-ფაქტორები, რომლებიც აქვეითებენ ნერვული სისტემის მდგრადობას ინფორმაციული ტრიადის მიმართ, რომელთაგან ყველაზე ხშირი და მნიშვნელოვანია ხანგრძლივი ჰიპოგინეზია, ანუ მოძრაობითი აქტივობის შეზღუდვა. თანამედროვე ადამიანს ტელევიზორის არხის გადართვის დროსაც კი არ უნდა წამოდგომა. ახლა უკვე ნათელია, რომ ადამიანთა აგრესიულობა, რომელიც ასე არის გახშირებული, ფსიქონერვული დაავადების მოგვიანო სტადიას წარმოადგენს. ახლა უფრო კარგად გვესმის, რაოდენ ტრაგიკული შედეგის მომტანია ბავშვებისთვის სასკოლო პროგრამების გადატვირთვა, ტელევიზორის ხანგრძლივი ყურება. ცუდად მოქმედებს ქუჩის რეკლამები, რომლებიც თავიანთი სიდიდისა და მკვეთრი შეფერილობის გამო ადამიანის მხედველობის არეში ხვდება, უნებურად აკვირდება, კითხულობს და ინფორმაციით გადატვირთული დანიშნულების ადგილზე (სასწავლებელში ან სამსახურში) გაღიზიანებული და დაღლილი მიდის. ასეთი რეკლამები ცვლის ადამიანთა განწყობასაც. ძალიან ცუდად მოქმედებს ტრანსპორტში რადიოს მოსმენა, მგზავრთა სურვილის გაუთვალისწინებლად. ეს არის ძალადობა ადამიანებზე, რადგან ტრანსპორტით მგზავრობისას თავის ტვინი ყურის ლაბირინთების გაღიზიანებით ისედაც იგზნება. ამავე დროს, აღიქვამს ტრანსპორტის მოძრაობით გამოწვეულ ხმაურს.

ახლა უკეთ გვესმის, რომ მშობლიური და თავდაცვის ინსტინქტის დაქვეითების ფაქტები, რომლებიც ამ ბოლო დროს გახშირდა, მიუთითებს ნერვული სისტემის დაავადებაზე. ახლა გასაგებია ადამიანის თავშეკავებისა და მოთმინების (შეკავების პროცესის) დაღებითი გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე.

თანამედროვე ადამიანი იმყოფება რა ინფორმაციული ტრიადის გავლენის ქვეშ — ინფორმაციული დაავადება შეუმჩნევლად, ძალიან ფარულად ვრცელდება სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანთა შორის და თუკი ადამიანი თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში არ გაითვალისწინებს იმ ობიექტურ მეცნიერულ მონაცემებს, რაც გააჩნია ფიზიოლოგიასა და მედიცინას — ის ზიანს მოუტანს როგორც საკუთარ თავს, ასევე შთამომავლობასაც.

**ციცინო სუქნიძე,**
**ნეიროფიზიოლოგი,**
**ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.**

◉ ბენზომაფია

# „სუპერია“ თუ თხლეშეჭამადი?!

**ვიდრე თბილისში ფეშენებელური სასტუმროების აგებას დაიწყებდნენ, მანამდე ეგრეთ წოდებული „ბენზოკალონკების“ მშენებლობის ინდუსტრიულმა ტემპმა გვამცნო, რომ საქართველოში მისი აღმატებულება — კაპიტალიზმი მთელი თავისი ბრწყინვალებითა და მომხიბვლელობით შემობრძანდა.**

**შეგრიალდება დღეს ასეთ ჭყეტელა, თანამედროვე დიზაინით მორთულ-მოკაზმულ „ბენზინკალონკაში“ ფულით გატენილი ბიძა საკუთარი „ჯიპჩეროკითა“ თუ „მერსედესით“, ხელს დაუქნევს ბენზინგასამართი მილით მორბენალ ბიჭს და ამპარტავნულად ეტყვის: მოიტა, „სუპერი“ ჩამისხი!**

**— რომელი, ბატონო, ეს „სუპერი“ თუ ის „სუპერი“?**

**— აი ისა, „სუპერის სუპერი“ რომ გაქვთ!**

**— გაგვითავდა, ბატონო, მაგრამ თქვენ თუ ინებებთ...**

**— კარგი ერთი, — ასიანს მიუგდებს ბიჭს, — ავტომანქანას „ევროსუპერით“ გაძეძგავს, საჭეს დარდიმანდულად მიუჯდება და ღიღინით გაუყვება გზას.**

ღიღინებს ბენზობარონიც. მან ხომ იცის რა „სუპერიც“ ჩაუსხა იმ ვაჟბატონს. რა თქმა უნდა, „ბარონმაც“ იცის, ეს რა „სუპერია“ და „ვაჟბატონმაც“, მაგრამ ერთიც გაჩუმებულია და მეორეც. პირველი იმიტომ, რომ „მომგებიანი ბიზნესის“ მკეთებელია, მეორე კი იმიტომ, რომ ოხრად ნაშოვნი ფულის პატრონია.

არადა, როგორც იტყვიან, ყველა ერთი მთხლეა — „სუპერიც“, „ნორმალიც“ და „ნეონორმალიც“, „ყაყაჩოც“ და „გვირილაც“. უბრალოდ, ფანტაზია უნდა გქონდეს, თორემ ასეთ ბენზინს, რომელსაც ჩვენი იმპორტიორები მომხმარებელს სთავაზობენ, შეიძლება „კვირინჩხიც“ შეარქვა და „ტყემლის შეჭამადიც“.

ასეთმა „შეჭამადმა“ შეიძლება კბილებიც მოჭრას შენს „ლურჯას“ და აღმართს რომ შეუდგები, „კლაპნებმაც“ დაიჩხრიალოს, მაგრამ კარგი ბიჭი ხარ და, ხმა ამოიღე!

— ახვარი ხარ, ვიღაცა, — შემოგიტევს მაშინვე ბენზობარონი, — ვერა ხედავ, დოლარის კურსი როგორ ავარდა? ეს ბაზარია, ძმაო, რომელსაც ვერც შენ დაუდგები წინ და ვერც მე.

— მაგრამ დოლარის კურსი რომ ჩამოვარდა, ფასი იგივე რატომ დატოვეთ?

— მე იმ ფასად მქონდა ნაყიდი და ახლა ხომ აღარ ვიზარალებ?

ამას შეენაცვლა მეორე მომენტი — დოლარის კურსმა კი იკლო, მაგრამ სამაგიეროდ ავარდა ევროს კურსი. ბენზობარონმა თვალის დაუხამხამებლად ისარგებლა ამ მომენტით:

— მე ევროზე მაქვს შეძენილი ეს ბენზინი და შენ მუქთად რაზე მოგცე?

გაჩნდა მესამე ხელსაყრელი მომენტიც — საერთაშორისო ბაზარზე ნავთობპროდუქტებს მოულოდნელად ცეცხლი მოეკიდა!

— რას მერჩი, ძმაო, — მაშინვე წამოყო თავი ბენზომაფიამ, — იქ რაცა

ღირს, იმის ნახევრად გაძლევ და კიდევ მედავები?!

როგორც იქნა, ამ ციებ-ცხელებამაც გაიარა — საერთაშორისო ბაზარზე ნავთობპროდუქტების ფასმა შედარებით დაიწია, ქართულმა ბაზარმა კი კურსი უცვლელად შეინარჩუნა.

რატომ?

ქართული ბენზომაფია არც ბაზარს ექვემდებარება, არც კანონებს და იმიტომ. ამის საბაბიც აქვს — ყოფილი საბჭოური სტანდარტები ისტორიას ჩაბარდა, ახალი სანავთობპროდუქტო სტანდარტები კი ქვეყანაში არავის დაუკანონებია. ამიტომაც თვითნებობს ბენზომაფია — იმპორტულ ბენზინს უნდა „სუპერს“ დაარქმევს და უნდა, როგორც ზემოთ ვთქვით, — „კვრინჩხის შეჭამადს“.

ვერც შეედავები, იმიტომ რომ არ არსებობს ქვეყანაში არც სახელმწიფო სტანდარტი და არც ლაბორატორიული ხელსაწყოები, რომელიც გაარკვევს, ბენზინი და დიზელის საწვავი, რომლებსაც ბენზინგასამართ სადგურებში ყიდიან, ნამდვილად საწვავია თუ „თხლეშეჭამადი“!

ამის მიუხედავად, საწვავის ფასი ქვეყანაში გეომეტრიული პროგრესიით მიიწევს, რაც არა მარტო ავტომფლობელების, არამედ მთელი მოსახლეობის ისედაც გასაცოდავებულ ბიუჯეტს კატასტროფულად ამცირებს. ამის ნაყოფიც არის, რომ ბაზარზე გლეხს პროდუქტი ვეღარ მოაქვს და მისი შეძენა მესამე-მეოთხე ხელისგან გვიწევს.

ამ საკითხით თავიდან, როცა დედაქალაქის საკრებულოს სათავეში ბატონი ბეგაშვილი ჩაუდგა, თითქოს დაინტერესდა, ერთ პერიოდში დაფაფხურდა კიდეც, მაგრამ, როგორც ახლანდელ ხელმძღვანელებს სჩვევიათ — მხოლოდ დაფაფხურდა! ვერ გეტყვით რა ფაფა მოუდუღეს, მაგრამ უადგილოდ და უკანონოდ ნაშენებ „ბენზოკალონკებს“ რომ ერთიც არ გამოკლებია და მათ შორის ჯანსაღი კონკურენციაც რომ არ შექმნილა, ამის მომსწრენი თქვენცა ხართ და მეც.



ახლა, რაც არენაზე ბატონი ბენდუქიძე გამოჩნდა, გაჩნდა იმედი, რომ „ბენზოკალონკებსაც“„გააპრადალავებდა“, მაგრამ არ გამართლდა. მე მარტო სახელმწიფო საწარმოებს ვყიდი, — თავს იმართლებს სახელმწიფო მინისტრი.

**ოთარ ხუციშვილი.**

◉ კრიმინალური ქრონიკა

## ხელიდან საფულე და მაჯის საათი გასტაცა

სამართალდამცავებმა დააკავეს აბაშის რაიონის სოფელ ეწერში მცხოვრები, ნასამართლევი, 56 წლის ავთანდილ კუპრეიშვილი — რომელმაც მადონა ჩხეტიას ხელიდან გასტაცა საფულე 30 ლარით და მაჯის საათი.

საქმეს იძიებს ქუთაისის შს მთავარი სამმართველოს მე-5 განყოფილება.

## თანასოფლელი დანით დაჭრა

სამართალდამცავებმა დააკავეს ქობულეთის რაიონის სოფელ ზედა სამებაში მცხოვრები, 23 წლის აკაკი კახიძე, რომელმაც ურთიერთშელაპარაკებისას, დანით მუცელში დაჭრა თანასოფლელი, 20 წლის გიორგი ართმელიძე, რომელიც საავადმყოფოში მოათავსეს.

საქმეს იძიებს ქობულეთის შს განყოფილება.

## ხელყუმბარადა აკლდა ნოვრუზოვს...

სამართალდამცავებმა დააკავეს ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ მყოფი, მრავალჯერ ნასამართლევი, 38 წლის ნამიკ ნოვრუზოვი, რომლისგანაც ამოიღეს ხელყუმბარა „ფ-1“ დეტონატორით.

საქმეს იძიებს მარნეულის შს განყოფილება.

## ნარკოტიკის გასაღება არ აპატიეს

სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მე-4 სამმართველოს მე-3 განყოფილებაში შესული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დააკავეს თბილისში მცხოვრები, 44 წლის გია ხუროშვილი, რომელმაც, შს სამინისტროს ინფორმაციით, დანაშაულებრივ ჯგუფში მყიდველის სახით ჩათრეულ მ. ლომინაშვილს 200 ლარად მიჰყიდა ბუპრენორფინის შემცველი სუბოტექსის აბი. მისი ავტომანქანიდან ამოიღეს ასევე ბუპრენორფინის შემცველი სუბოტექსის აბი.

აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

## თამადაძე ღვინის სანაცვლოდ ჰეროინს ეტანება

შს სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და სამეგრელოსა-ზემო სვანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ერთობლივად დააკავეს სენაკში მცხოვრები, 30 წლის რამაზ თამადაძე, რომლისგანაც ამოიღეს 0.12 გრამი ჰეროინი.

საქმეს იძიებს სენაკის შს განყოფილება.

## დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დააკავეს

სამძებრო სამმართველოს, გურიის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს და ხაშურის შს განყოფილების თანამშრომლებმა ერთობლივად გატარებული კომპლექსური ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად ხაშურში დააკავეს შეიარაღებული დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრი, სამტრედიაში მცხოვრები, მრავალჯერ ნასამართლევი, 30 წლის დავით ორმოცაძე, ხოლო ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესაში დააკავეს იმავე სოფელში მცხოვრებნი, ნასამართლევნი, 31 წლის მამუკა ჟორდანია და 35 წლის კონსტანტინე წილოსანი, რომლისგანაც ამოიღეს 0.017 გრამი ჰეროინი.

## კაცმა ქალს 90 ლარი წაართვა

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის საუბნო ინსპექტორებმა ერთობლივად დააკავეს ხობის რაიონის სოფელ ხიბულაში მცხოვრები, 46 წლის ჯუმბერ მისაბიშვილი, რომელმაც იმავე რაიონის სოფელ საჯიჯაოში მცხოვრებ, 23 წლის ნინო თუთბერიძეს ხელჩანთიდან 90 ლარი გასტაცა.

საქმეს იძიებს დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველო.

## 400 ლარის ღირებულების გაზეთები მოიპარა

სამართალდამცავებმა დააკავეს ორჯერ ნასამართლევი, 38 წლის ავთანდილ ქავზინიძე, რომელმაც რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე გელა ჩადუნაშვილს ავტომანქანიდან მოპარა 400 ლარის ღირებულების გაზეთები.

საქმეს იძიებს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველო.

## ამადანოვი გადაჭრილი თოფით...

თბილისის შს მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს 19 წლის ანდრეი ამადანოვი, რომლისგანაც ამოიღეს გადაჭრილი სანადირო თოფი.

საქმეს იძიებს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველო.

„მედია-ნიუსი“.

◉ სამართალი

# რკინის ქალამნები უნდა ჩაიცვა...



**დღეს იმდენი მტერი არავის ჰყავს, რამდენიც მომუშავე საწარმოს. თუ შეამჩნიეს, რომ ქარხნის მილიდან ბოლი ამოდის, უმალვე იქ შემმოწმებელთა და მაკონტროლებელთა ლაშქარი გაჩნდება. ეს სენი განსაკუთრებით თვალშისაცემია ქალაქ რუსთავში, სადაც სს „აზოტის“ გარდა თითქმის აღარავინ მუშაობს.**

**— თუ ძალიან ფრთხილად არ იქნები, — ამბობს ამ საწარმოს იურიდიული განყოფილების უფროსი სვეტლანა ნიბლაძე, — თვალსა და ხელს შუა ისე ააფუქვნიან ქარხანას წვითა და დაგვით მოგროვილ თანხას, რომ ვერც კი შეამჩნევ. მერე, თუ მაგარი ხარ, რკინის ქალამნები უნდა ჩაიცვა, რკინის ჯოხი აიღო ხელში და სამართლის საძებნელად ინსტანციიდან ინსტანციაში ირბინო.**

**— თქვენ, ეტყობა, ამის გამოცდილება არ გაკლიათ.**

— არა, ამ მხრივ მართლაც მდიდარი გამოცდილება დავაგროვე. ყველაფერს სად მოვყვები, რაც თავზე გადამხდა. ამჯერად მხოლოდ კონტროლის პალატის მიერ „აზოტის“ მიმართ უკანონოდ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტებს შევეხები. ამის თაობაზე 2002-2003 წლებში შეტანილი გვქონდა სარჩელები, რომლებმაც რიგი სასამართლო ინსტანციები გაიარეს, მაგრამ უშედეგოდ. იურისპრუდენციაში დიდად ნაწრთობი სპეციალისტებიც კი არ მიწინასწარმეტყველებდნენ პროცესის მოგებას, მაგრამ პრინციპზე დავდექი და წამოწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანე.

**— გინდათ თქვათ, რომ გაიმარჯვეთ?**

— გავიმარჯვე რომელია, ყურებს არ ვუჯერებდი, როცა წლეულს, 25 მაისს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის გადაწყვეტილება მოვისმინე. უზენაესმა ბათილად სცნო საქართველოს კონტროლის პალატის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტები, გააუქმა საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება და დააკმაყოფილა „აზოტის“ მოთხოვნა. მე იმ დღეს ბედნიერი ვიყავი როგორც სპეციალისტი და როგორც საწარმოს ინტერესების დამცველი, რადგან იზეიმა კანონის უზენაესობამ.

**— ეს სამართლის საზომით, მაგრამ ფინანსურად მან რა შედეგი მოუტანა საწარმოს?**

— რა თქმა უნდა, უკანონო ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობამ დიდი სარგებელი მისცა ქარხანას — ააცილა კონტროლის პალატის ინსპექტორთა მიერ უკანონოდ დარიცხული 1 მილიონ 9 ათასი ლარი. ასევე ავიცილეთ თავიდან უკანონოდ ჩასატარებელი საფინანსო-სამეურნეო რევიზია, რომელიც არ შედიოდა კონტროლის პალატის კომპეტენციაში.

**ოტია ჩართოლანი.**

◉ ტყუილად ნუ დავპირდებით

# უსინათლოები სიკეთეს თითებით ხედავენ...

**თბილისის უსინათლოთა სკოლა-ინტერნატის ოცდაათამდე აღსაზრდელი პედაგოგ ლაურა ჯოხაძის დახმარებით ერთმანეთთან ხელიხელჩაკიდებულნი მივიდნენ გურჯაანის ქუჩა №22-ში, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კავშირში — „კეთილდღეობის გარანტი“, უსინათლო და მხედველობადაქვეითებული მოსწავლე ახალგაზრდობის ხმოვანი წიგნების ჩაწერის კურთხევა გაიმართა. დარბაზში, სადაც ისინი შეიკრიბნენ, მხედველობადაქვეითებულთა ნამუშევრები გამოეფინათ: მოქსოვილი ხალიჩები, სხვადასხვა ნაკეთობები და სტენდები „ჩვენ და სამყარო“, „ბანაკი „ცხუმი“, ჰუმანიტარული პროგრამა — „ჩვენ ვისვენებთ“...**

შეხვედრას უძღვებოდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის კავშირის თავმჯდომარე, უსინათლო ჭაბუკი გიორგი მარჯანიძე. მან დამსწრეთ აუხსნა, რომ მათი ინვალიდობა სხვადასხვა მიზეზით არის გამოწვეული. ისე, როგორც ეს ცივილიზებულ ქვეყნებში კეთდება, ამ კატეგორიის ადამიანი მეტ ყურადღებასა და დახმარებას საჭიროებს. მადლობა გამოითქვა თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის მისამართით, რომელმაც მათთვის ბიუჯეტით განკუთვნილი 45000 ლარიდან თანხის გარკვეული ნაწილი ახალგაზრდულ ბანაკებს კი მოახმარა, მაგრამ არის დაპირება, რომ უსინათლო მოზარდებს მერიის ყურადღება მაინც არ მოაკლდებათ. მერიის დახმარებით მზადდება 50 სახელმძღვანელო, რომელსაც მხედველობადაქვეითებულნი თუ უსინათლონი საჩუქრად მიიღებენ.

— ჩვენ ყველა საგანს ისევე ვსწავლობთ, როგორც ჩვეულებრივი სკოლის მოსწავლეები, ვსწავლობთ ქართულს, საქართველოს ისტორიას, ფიზიკას... ყველაფერს ბრაილის შრიფტის ამოკითხვით ვასრულებთ, ვახერხებთ ხაზვასაც... სახელმძღვანელოების წაკითხვაში საკუთარი თითები გვეხმარება, რომლის საშუალებითაც ჩვენთვის შექმნილ შრიფტს ვკითხულობთ, — აგვიხსნა უსინათლო თამუნა ცალქალამანიძემ და იქვე ყველას თვალწინ წაიკითხა ბრაილის შრიფტით ერთ წიგნად აკინძული „მასაჟის განმარტება და სამკურნალო ღირებულება“.

თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი ნატა მაჩალაძე უსინათლო ინვალიდებს შესაძლებლობის ფარგლებში ხელშეწყობას კვლავ დაჰპირდა, აუწყა, რომ მათი დაკვეთით მზადდება აუდიოკასეტებზე ჩაწერილი ხმოვანი სახელმძღვანელოები, სადაც ჩაიწერება ყოველივე — დაწყებული „შუშანიკის წამებიდან“ და „ვეფხისტყაოსნიდან“, დამთავრებული სხვა ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებებით... რომ აუდიოკასეტების დასამზადებლად 10000 ლარი უკვე გადარიცხულია... შემდეგ ყველანი ასოციაცია „უსინათლოები საზღვრებს გარეშე“ ხმოვანი წიგნების გამომცემლობა „სხივმა“ იქვე, თავის სტუდიაში მიიწვია.

მხედველობადაქვეითებულ, უსინათლო მოზარდებს და მათ პედაგოგებს დახმარებას დაპირდნენ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ბელა წიფურია,** ამავე სამინისტროს ბავშვებზე ზრუნვის დეპარტამენტის უფროსი **თამარ გოლუბიანი** და უნარშეზღუდულ პირთა სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები.

დაპირება კარგი მოსასმენია, მაგრამ მხედველობადაქვეითებულ, უსინათლო მოზარდებს სახელმწიფოსაგან მეტი პრაქტიკული დახმარება სჭირდებათ.

**ნათელა ფაილოძე.**

◉ რადა დროსია?

## აპროტესტებენ დიდი სამეცნიერო საბჭოს გაუქმებას

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს გაუქმებას საბჭოს წევრები აპროტესტებენ.**

**„საბჭოს გაუქმების შესახებ არაფერი ვიცოდით, არც სამეცნიერო საბჭოს ნაცვლად დაწესებული სადისკუსიო ორგანოს შესახებ ვფლობ რაიმე ინფორმაციას, ამიტომაც რუსუდან ლორთქიფანიძის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას უარყოფითად ვაფასებ“, — განუცხადა „მედია-ნიუსს“ უნივერსიტეტის პროფესორმა მარიამ ლორთქიფანიძემ.**

**მსგავსი პოზიცია აქვს პროფესორ რისმაგ გორდეზიანსაც; „ვერ ვიტყვი, რომ აღფრთოვანებული ვარ რექტორის გადაწყვეტილებით, მაგრამ პროტესტი ახლა დაგვიანებულია. წინააღმდეგობა უნდა გაგვეწია, ვიდრე „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონს მიიღებდნენ“, — განაცხადა მან.**

**უმაღლესი განათლების შესახებ კანონი 2004 წლის დეკემბრის ბოლოს მიიღეს. პროფესორ რისმაგ გორდეზიანის თქმით, ეს კანონი არ შეიცავდა ზუსტ განმარტებას, გააგრძელებდა თუ არა ფუნქციონირებას დიდი სამეცნიერო საბჭო. „პრეზიდენტის ბრძანებულებამ რექტორს ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების უფლება მისცა. რუსუდან ლორთქიფანიძემ სამეცნიერო საბჭო გააუქმა, რათა მისი არსებობა-არარსებობის შესახებ მუდმივი დავა არ დაწყებულიყო“, — განაცხადა რისმაგ გორდეზიანმა.**

**დიდი სამეცნიერო საბჭო უნივერსიტეტის რექტორის რუსუდან ლორთქიფანიძის გადაწყვეტილებით ამ დღეებში გაუქმდა. მას სადისკუსიო ორგანო შეცვლის.**

**„მედია-ნიუსი“ .**

◉ მერიდიანები

# მეგრული სიმღერის ეშხი

**ხობის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას თაოსნობით სოფელ ხეთაში 17, 18, 19 ივნისს ჩატარდება ფართომასშტაბიანი ფესტივალი „საუკეთესო მეგრული სიმღერა“.**

პირველად ასეთივე მნიშვნელობის ფესტივალი 2003 წელს მოეწყო და ეწოდა „სიმღერა სამეგრელოზე“, რაც მეგრული ფოლკლორის ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო.

როგორც პროფესიონალი სპეციალისტები ამბობენ, წლევანდელ ფესტივალს მეტი დატვირთვა ექნება. მასში მონაწილეობას მიიღებენ უცხოელი მომღერლებიც, აგრეთვე, მოსკოვის დიდი თეატრის წარმომადგენლები ზურაბ სოტკილავა და ელენე ობრაზცოვა. რა თქმა უნდა, მათთან ერთად აქ იქნებიან უცხოეთში მოღვაწე სხვა ქართველი შემსრულებლებიც. აღსანიშნავია, ამ ფესტივალის ერთი თავისებურებაც: ყველა მომღერალი, ეს იქნება რუსი, გერმანელი თუ ამერიკელი, იმღერებს მხოლოდ მეგრულ ენაზე, რაც სანახაობრივადაც გამორჩეული იქნება.

სამეგრელოში ასეთი ფესტივალის ჩატარება ქართულ ხალხურ შემოქმედებაში ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილის მქონე მეგრული ფოლკლორის კიდევ ერთი აღიარებაა, მის საიდუმლოებაში ჩაწვდომის სურვილია.

**ოდიკ ქუხილავა,**
**„სრ“ საკ. კორ.**

ყურადღება, მოზარდი!

# სპა – საქართველოს ლეგიონი თურქებმა უნიფორმით დააჯილდოვეს

**ბოლო მონაცემებით, ჩვენს პატარა ქვეყანაში 5000-ზე მეტი სოციალურად დაუცველი, მშობელთა მზრუნველობას მოკლებული, ობოლი ბავშვია. ამათგან განსაკუთრებით მძიმეა 11-დან 16 წლამდე ასაკის ქუჩაში მოხეტიალე 3000-მდე ძნელად აღსაზრდელი მოზარდის ბედი. ბავშვების უმეტესობა (დაახლოებით 90 პროცენტი) ქართველია... მათი სოციალური რეაბილიტაცია, პროფესიულ-ტექნიკური მომზადება, სწავლება და დასაქმება უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი პრობლემაა.**

სპა - საქართველოს ლეგიონი
SPA - LEGION OF GEORGIA



სწორედ ამ პრობლემის თანმიმდევრულად გადაწყვეტის მიზნით, ორიოდე წლის წინათ შეიქმნა არაპოლიტიკური საზოგადოებრივი ორგანიზაცია სპა – საქართველოს ლეგიონი (დამფუძნებელთა საბჭოს წევრები თეიმურაზ თუმანიშვილი, ელდარ ციციშვილი, გიორგი არუთინოვი, ირაკლი სარაჯიშვილი, ვლადისლავ ტურიაშვილი, დავით ქევხიშვილი), რომელმაც პირადი ინიციატივითა და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დახმარებით, უკვე მოასწრო რამდენიმე ათეული მოზარდის სულიერი წვრთნა და სწორ გზაზე დაყენება.

საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით დაწყებული მოძრაობა 16-დან 25 წლამდე ახალგაზრდობის პატრიოტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების მოწყობის შესახებ, მართლაც შესანატრი, ყოველმხრივ სასარგებლო ღონისძიებაა, მაგრამ... ეს პროგრამა, ჯერჯერობით, გვერდს უვლის 16 წლამდე მოზარდების პრობლემას.

ბუნებრივია, ერთი ან ორი ჯანსაღი საზოგადოებრივი ორგანიზაცია ვერ გაწვდება ათასობით ძნელად აღსაზრდელის, მაწანწალის თუ კეთილი მეზობლების იმედად დარჩენილ უდედმამო ბავშვების დაპურებას, გაწვრთნას, დასაქმებას... ამიტომაც რაც უფრო მეტი ჰუმანური, მართლაც პატრიოტული და საქველმოქმედო ორგანიზაცია შეიქმნება, მით მეტი ახალგაზრდა გადაურჩება უფსკრულში გადაჩეხვას.

ნიშანდობლივია, რომ სპა-საქართველოს ლეგიონის მოღვაწეობას ჯეროვანი სახელმწიფოებრივი ყურადღება მიაპყრო საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა გელა ბეჟუაშვილმა და პრეზიდენტის სამხედრო მრჩეველმა, ბრიგადის გენერალმა ვახტანგ კაპანაძემ.

სწორედ ვახტანგ კაპანაძის ინიციატივით, ახლახან, თურქულმა კომპანიამ „ფონიტექსმა“, რომელიც სამხედრო ფორმებით უზრუნველყოფს სხვადასხვა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს (მათ შორის ქართულ არმიასაც) სპა-საქართველოს ლეგიონს, სპეციალურად ქართველი მოზარდებისთვის შექმნილი 225 უნიფორმა უსახსოვრა. კომპანიის პრეზიდენტის დავალებით საჩუქრის გადმოსაცემად თბილისში სპეციალურად ჩამოვიდა „ფონიტექსის“ ოფიციალური წარმომადგენელი ბულგარეთსა და საქართველოში აიდინ იაშარი.

სპა – საქართველოს ლეგიონის ხელმძღვანელობა გულწრფელად ემადლიერება საქართველოს სამხედრო ატაშეს თურქეთში, პოლკოვნიკ თეიმურაზ ზავრაშვილს, საქართველოს ფინანსთა მინისტრს ვალერი ჩეჩელაშვილს, საბაჟო დეპარტამენტის უფროს ზურაბ ანთელიძეს და სხვებს უნიფორმების შეუფერხებლად მიღებისთვის. ქალაქ ბურსადან საჩუქარი უსასყიდლოდ ჩამოიტანა კომპანია „იკა-ტურიზმის“ (პრეზიდენტი ალექსანდრე ნოზაძე) მძღოლმა თემურ ზაქაშვილმა.

რამდენიმე დღის შემდეგ სპა-საქართველოს ლეგიონი საგანგებო შეკრება-ფორუმს მართავს, რომელიც მიიღებს მემორანდუმს ქვეყნის ხელმძღვანელობის, ძალოვანი მინისტრების, პირველი ლედის, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მოღვაწე ცნობილი ბიზნესმენების, ყველა ერისა და სარწმუნოების წარმომადგენლების, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, საქართველოს საპატრიარქოს სახელზე. მემორანდუმში ჩამოყალიბდება ის კონკრეტული საკითხები, რასაც უახლოეს მომავალში განახორციელებს სპა-საქართველოს ლეგიონი და... რამდენიმე აუცილებელი თხოვნა მათ ხორცშესასხმელად.

* * *

საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების მოსაზიდად სპა-საქართველოს ლეგიონის პროგრამიდან ამოიღებენ ყოველგვარ სამხედრო-გამოყენებით თემატიკას; ძირითადი აქცენტი გადავა სამაშველო სამსახურის, პატრიოტული აღზრდის, ფიზიკური სრულყოფის პრობლემებზე; სპა-ს ბანაკები მოეწყობა კულტურის, ისტორიული ძეგლების და არქეოლოგიური გათხრების რაიონებში, სადაც, დასვენებასთან ერთად, მოზარდებს შესაძლებლობა ექნებათ დაასუფთაონ ეკლესია-ტაძრები და ხელი წაასველონ ჩვენს სახელოვან არქეოლოგებს; განსაკუთრებით სასარგებლოა ინტერნაციონალური ბანაკების მოწყობა საზღვრისპირა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში.





ცალკე უნდა აღინიშნოს სპა-საქართველოს ლეგიონში არსებული კინოლოგიური სკოლის შესაძლებლობანი გონიერი ძაღლების მოსამზადებლად. ასეთ ძაღლებს, გამოცდილი კინოლოგების დახმარებით, სიამოვნებით წვრთნიან მოზარდები. ასე განსაჯეთ, დღის წესრიგშია უსინათლო, შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების მქონე მოქალაქეების მეგზური ძაღლების გაწვრთნა. მსგავსი რამ დღეს ევროპის და ამერიკის ბევრ ქალაქში დამკვიდრდა...

**ყველაფერ ამას, ბუნებრივია, შესაბამისი თანხები სჭირდება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პატრიოტული წამოწყების ინიციატორებს, სპა – საქართველოს ლეგიონს – მრავალი შემწე გამოუჩნდება, თურქ მეგობრებს ბევრი მიბაძავს.**

**სპარტაკ ქოზულია.**

ფეხბურთი

# დიდი მსოფლიო რეპეტიცია



**გუშინ გერმანიაში დაიწყო დიდი საფეხბურთო რეპეტიცია – სწორედ ასე მიიჩნევენ ფიფას ტურნირს – კონფედერაციების თასს, რომელიც მთელი წლით წინ უსწრებს 2006-ის მსოფლიო ჩემპიონატს. სხვადასხვა კონტინენტის რვა გუნდი იბრძოლებს პირველობისთვის.**

ტურნირის მონაწილეები ორ ჯგუფად არის დაყოფილი: A ჯგუფში თამაშობენ ავსტრალია, არგენტინა, გერმანია და ტუნისი. B ჯგუფში კი ერთმანეთს დაუპირისპირდებიან ბრაზილია, საბერძნეთი, მექსიკა და იაპონია.

მატჩები გაიმართება ფრანკფურტში, კელნში, ნიურნბერგში, ლაიფციგში, ჰანოვერში. ქვეჯგუფებში შეხვედრები 22 ივნისამდე გასტანს. 25-26 ივნისს გაიმართება ნახევარფინალური მატჩები. 25 ივნისს ნიურნბერგში ერთმანეთს შეხვდებიან A ჯგუფში პირველ ადგილზე გასული და B ჯგუფში მეორეზე გასული გუნდები, 26 ივნისს კი ჰანოვერში B ჯგუფის პირველი და A ჯგუფის მეორე გუნდები. 29 ივნისს ლაიფციგში გაიმართება მატჩი მესამე ადგილისთვის, ხოლო ფინალს იმავე დღეს ფრანკფურტი უმასპინძლებს.

გუშინ ერთმანეთს შეხვდნენ არგენტინა-ტუნისი (2-1) და გერმანია-ავსტრალია. დღეს გაიმართება იაპონია-მექსიკისა და ბრაზილია-საბერძნეთის შეხვედრები. 18 ივნისს ითამაშებენ ტუნისი-გერმანია, ავსტრალია-არგენტინა, 19 ივნისს – საბერძნეთი-იაპონია, მექსიკა-ბრაზილია, 21 ივნისს – ავსტრალია-ტუნისი, არგენტინა-გერმანია, 22 ივნისს – საბერძნეთი-მექსიკა, იაპონია-ბრაზილია.

ასე რომ, ფეხბურთის გულშემატკივრებს წინ საინტერესო, დაძაბული მატჩები ელის.

# ჩემპიონთა ლიგის შემადგენლობა გარკვეულია

**მას შემდეგ, რაც დამთავრდა ფეხბურთში რუმინეთის, უკრაინის, დანიისა და სლოვაკეთის ეროვნული ჩემპიონატები და გაირკვა იქაური ჩემპიონები, შესაძლებელი გახდა 2005-2006 წლების ჩემპიონთა ლიგის მონაწილეთა შემადგენლობის დაზუსტება. პირდაპირ ჯგუფურ ტურნირში გავიდნენ: „ბარსელონა“, „რეალი“, „ჩელსი“, „არსენალი“, „იუვენტუსი“, „მილანი“, „ბაიერნი“, „შალკე“, „ლიონი“, „ლილი“, „ბენფიკა“, „პორტუ“, „ოლიმპიაკოსი“, პსვ, „სპარტა“ და „ფენერბახჩე“.**

მესამე შესარჩევი რაუნდიდან დაიწყებენ ბრძოლას „ვილიარეალი“, „ბეტისი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ევერტონი“, „ინტერი“, „უდინეზე“, „ვერდერი“, „მონაკო“, „სპორტინგი“, „პანათინაიკოსი“, „აიაქსი“, „სლავია“, „რეინჯერსი“, „ბრიუგე“, „ბაზელი“, „შახტიორი“, „რუსენბორგი“ და „ვისლა“.

მეორე შესარჩევ რაუნდში მონაწილეობენ „ლოკომოტივი“ (მოსკოვი), „ტრაბზონსფორი“, „სელტიკი“, „ანდერლეხტი“, „თუნი“, „დინამო“ (კიევი), „ვოლერენგა“, „მაქაბი“ (ხაიფა), „რაპიდი“, „პარტიზანი“, ცსკა (სოფია), „ბრონდბიუ“, „ჰაიდუკი“, „მალმე“, „დებრეცენი“, და „სტიაუა“.

და ბოლოს, პირველ შესარჩევ რაუნდში თბილისის „დინამოს“ კომპანიაში იქნებიან ჩემპიონთა ლიგაში დამატებით დაშვებული, ამ ტიტულის წლევანდელი მფლობელი „ლივერპული“, „არტემიადა“, „გორიცა“, „ანორთოსისი“, „შერიფი“, „სკონტო“, „ჰაკა“, „ზრინსკი“, „რაბოტნიჩკი“, ფბკ „კაუნასი“, „დინამო“ (მინსკი), „ჰაფნარფიორდური“, „სლიმა“, „შელბურნი“, „პიუნიკი“, ტნს, „ტირანა“, „გლენტორანი“, „ლევადია“, „დიუდელანჟი“, „ნეფთჩი“, ხბ „ტორსჰავნი“ და „ქაირათი“.

პირველი და მეორე რაუნდების კენჭისყრა გაიმართება 24 ივნისს, მესამე რაუნდისა – 29 ივლისს, ჯგუფური ტურნირის – 25 აგვისტოს. ჩემპიონთა ლიგის პირველი მატჩები დაგეგმილია 12 ივლისისთვის, ფინალი კი გაიმართება მომავალი წლის 17 მაისს, პარიზში.

ლეგიონერი

# სტადიონზეც „ვეფხისტყაოსნით“ დადიოდა



**– სანამ დავიბადებოდი, მანამდეც მამაჩემი, თურმე, ჩემს თავს იფიცებდა. რომ ეკითხებოდნენ, „ფობი“ რას ნიშნავსო, ასე უპასუხებდა: ის ჩემი ფულიც იქნება, ოქროცა და ბრილიანტიცო.**

ასე შერჩა **ვახტანგ მინაშვილს** დღემდე ზედმეტ სახელად „ფობი“. შინ რომ ვინმემ დაურეკოს და ვახო იკითხოს, სხვაგან მოხვდითო, ეტყვიან.

იგი 27 წლისაა. სამტრედიაში დაიბადა და ბავშვობა ბაბუასთან გაატარა. იქ ისწავლა ჭადრაკის თამაში, რამდენიმე შეჯიბრებაშიც იასპარეზა. 1991 წელს ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირზე პირველი ადგილი დაიკავა და... ბრძენთა თამაშსაც დაემშვიდობა.

– ბაბუას ძალიან უნდოდა, პროფესიონალი მოჭადრაკე გამოვსულიყავი, იმედი გავუცრუე, – მითხრა ვახტანგმა.

**– რა მიზეზით?**

– უცებ ავიყარე ტანი და ახლობლებმა კალათბურთში ვარჯიში მირჩიეს. მამამ თავის მეგობარ მწვრთნელთან მიმიყვანა.

ასე დაიწყო ვახტანგ მინაშვილის სპორტული კარიერა. ერთხანს ავთანდილ აბრამიძესთან მეცადინეობდა და „მართვეშიც“ ჩაირიცხა. რაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა, მას შემდეგ 6 წელიწადი ამ უმაღლესი სასწავლებლის სპორტულ ღირსებას იცავდა. ნახევარი სეზონი „ბასკოში“ ითამაშა. 2000 წელს „დინამოში“ გადაიყვანეს. იმავე წელს საქართველოს ჩემპიონი გახდა. ერთი წლის შემდეგ ირანს გაემგზავრა.

– მაშინ „დინამოში“ გაუსაძლისი პირობები იყო, – იგონებს „ფობი“. – იმ თანხით, რასაც კალათბურთელებს გვაძლევდნენ, უბრალოდ, არსებობა შეუძლებელი იყო. ჩემი მენეჯერის – გოდერძი კორტაძის დახმარებით ირანის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში მოვხვდი.

**– იქაურ პირობებს ხომ არ უჩივი?**

– მატერიალურს თუ გულისხმობ, არაფერი მაკლია, ფანების სიმპათიებიც დავიმსახურე, თუმცა, ისეთი ხალხია, ბოლომდე ვერ ენდობი. ირანში ჩასვლის შემდეგ მივხვდი, თუ რაოდენ ძვირფასი ყოფილა ჩემთვის მშობლიური მიწის ყოველი გოჯი. კიდევ კარგი, ქართული წიგნები მქონდა წაღებული და სულიერ სიცარიელეს მათი მეშვეობით ვივსებდი. სტადიონზეც კი რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ დამქონდა.

**– ირანში მცხოვრებ ქართველებთან თუ გაქვს ურთიერთობა?**

– სპარსულ კლუბებში კალათბურთს ხუთნი ვთამაშობთ. მართალია, სხვადასხვა ქალაქში ვცხოვრობთ, მაგრამ მაინც ვახერხებთ ერთმანეთის მონახულებას. სამწუხაროდ, ფერეიდანში ვერ ჩავედი.

**– საქართველოში როდის დაბრუნდები?**

– რომ შემეძლოს, ახლაც დავრჩებოდი, მაგრამ ქართულ კლუბებში ყველა ადგილი დაჯავშნულია. ივნისის ბოლოს ისევ ირანს გავემგზავრები და მხოლოდ ერთწლიან კონტრაქტს მოვაწერ ხელს. ვადის გასვლის შემდეგ სამშობლოში დავბრუნდები...

რამდენიმე წლის წინათ საქართველოში სპორტსმენებს მართლაც ძალიან უჭირდათ, ამიტომაც ბევრმა ათლეტმა დატოვა სამშობლო და ლუკმაპურის საშოვნელად უცხოეთში გადაიხვეწა. ბოლო დროს ჩვენთან სპორტისადმი დამოკიდებულება საგრძნობლად შეიცვალა. იმედია, „ფობის“ მალე ოცნება აუხდება და სამშობლოში დაბრუნდება.

**ქეთი გაბინაშვილი.**

**სურათებზე: „ფობი“ პრიზით; მეტოქის ფარს უტევს ვახტანგ მინაშვილი.**



ჭადრაკი




# ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩებიან

**კიშინიოვში გრძელდება ევროპის მოჭადრაკე ქალთა მე-6 ჩემპიონატი, რომელშიც 161 მანდილოსანი მონაწილეობს. მათ შორის გახლავთ საქართველოს წარგზავნილებიც.**

გუშინ გაიმართა V ტურის პარტიები. გაუწყებთ ქართველ მოჭადრაკეთა შედეგებს: ლილით მკრტჩიანი – ლელა ჯავახიშვილი 0,5:0,5, ვიქტორია ჩმილიტე – მაია ლომინეიშვილი 1:0, სიდონია ვაიდა – ნანა ძაგნიძე 0:1, დაგნე ჩუკსიტე – ქეთევან არახამია 0:1, ტატიანა სტეპოვაია – ნინო ხურციძე 0,5:0,5, მარი სებაგი – თამარ წერეთელი 0,5:0,5, პეტრა შუურმანი – ანა მათნაძე 1:0, სოფიო გვეტაძე – ირინა ჩელუშკინა 0,5:0,5, მაკა ფურცელაძე – ვიტა ჩულოვსკა 1:0.

ხუთი ტურის შემდეგ ჯავახიშვილს, ძაგნიძეს, არახამიას და გერმანიის სახელით მოასპარეზე ქეთევან კახიანს 4-4 ქულა აქვთ და ლიდერს – კატერინა ლაჰნოს ნახევარ-ნახევარ ქულით ჩამორჩებიან. 3,5 ქულა მოაგროვეს ლომინეიშვილმა, ხურციძემ, წერეთელმა და ფურცელაძემ, 3 ქულა – გვეტაძემ, ხოლო მათნაძემ – 2,5 ქულა.

დღეს VI ტურის პარტიები გაიმართება.

მინიფეხბურთი



# „ირაოზე“ – მეხუთედ

**დღეს დაიწყება და 21 ივნისამდე გასტანს მინიფეხბურთელთა მე-5 ტრადიციული ტურნირი, რომელიც ცნობილი ტელეჟურნალისტისა და პუბლიცისტის – ზაზა დარასელის ხსოვნას ეძღვნება.** შეჯიბრებაში ტელევიზიისა და პრესის 7 და ბოცვაძის ქუჩის (ზაზას უბანი) 1 გუნდი მონაწილეობს. პირველ ტურში იასპარეზებენ: „სარბიელი“ – „რუსთავი-2“ (10 სთ.), „იმედი“ – „II არხი“ (11 სთ.), „მზე“ – ბოცვაძელები (12 სთ.), „მთავარი“ – „აფხაზეთი“ (13 სთ.).

გამარჯვებული 20 ივნისს გამოვლინდება. ამ დღეს ზაზა დარასელს 55 წელი შეუსრულდებოდა.

კარატე

# ძმამაც იმარჯვა, დამაც!

**ბოლნისში დამთავრდა საქართველოს კარატე-დო შიტო-რიუს მე-12 ღია ჩემპიონატი, რომლის ორგანიზატორები იყვნენ ფედერაციის პრეზიდენტი მიხეილ ასათიანი და კლუბ „სიონის“ ხელმძღვანელი ავთანდილ ჩხეტიანი. შეჯიბრებაში (მთავარი მსაჯი ჯამბულ კოდუა) ოთხი ტრადიციული სკოლის (შიტო-რიუ, ვადო-რიუ, გოჯუ-რიუ, შოტო-კანი) 300-მდე ქალ-ვაჟი მონაწილეობდა.**

დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ პრიზიორები გამოვლინდნენ კატასა და კუმიტეში. გაუწყებთ გამარჯვებულთა ვინაობას ასაკების მიხედვით: **კატა.** კახაბერ კოდუა (შიტო-რიუ), გიორგი ჯობავა (შეკო-კაი), გიორგი ჩანგელია, ლაშა კოდუა (ორივე – შიტო-რიუ). **კუმიტე.** მარიამ მიქელბაია (შოტო-რიუ), თათია მელუა (შოტო-კაი), კახაბერ კოდუა (შიტორიუ), ხვიჩა ჯახაია (შეკო-კაი), გიორგი მიმინოშვილი (ვადო-რიუ), ნიკოლოზ მამაგულაშვილი (ვადო-რიუ), ნიკა ტარუაშვილი (შოტო-კაი), გიორგი ადამია (ვადო-რიუ), დევი კუცია, დემნა გვაგვალია (ორივე – შიტო-რიუ), გიორგი დანელია (სეიშინ-კაი), მიხეილ მესხი, გიგა ჯალაშვილი (ორივე – შიტო-რიუ), აკოფ სარქისიანი და რუდიკ საგრუნოვი (ორივე – შოტო-კაი).



შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ჩემპიონები და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის დიპლომებით, მედლებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ, რაშიც ორგანიზატორებთან ერთად დიდი წვლილი ბოლნისის გამგებელს გიორგი არევაძესაც მიუძღვის. თანადგომისთვის მას დიდად ემადლიერებიან კარატისტები, რომლებიც ახლა მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადებიან.



**ლექსო ცინცაძე.**

**სურათებზე: საქართველოს მრავალგზის ჩემპიონები, და-ძმა ლიკა და ირაკლი კაკალიები; ასპარეზობის მომენტი.**

საეკლესიო კალენდარი

# მამა დავითი – თბილისში



**დღეს, 16 ივნისს ქართული სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ღირს დავით გარეჯელს და ლუკიანეს.**

ღირსი დავით გარეჯელი ასურეთიდან იყო. ის ჯერ კიდევ ყრმა დაემოწაფა ღირს იოანე ზედაზნელს. ზედაზნიდან დავითი თავის სულიერ შვილთან ლუკიანესთან ერთად თბილისის მახლობლად მდებარე მთაზე დასახლდა. ამ დროს თბილისი კერპთაყვანისმცემლებს ეპყრათ. ღირსი მამა მთელ დღეებს ლოცვაში ატარებდა, ქალაქის მცხოვრებთა ცოდვების მიტევებას ევედრებოდა ღმერთს, ლოცვის შემდეგ მთაზე გადმოდგებოდა და ქალაქს აკურთხებდა. ამჟამად, ამ ადგილას მამა დავითის სახელობის ტაძარია. წმიდა მამა კვირაში ერთხელ ლუკიანესთან ერთად დაბლა ჩამოდიოდა და ქრისტეს რჯულს ქადაგებდა.

ერთხელ საქადაგებლად ქალაქში ჩამოსულ წმიდა მამას ცეცხლთაყვანისმცემელმა ქურუმებმა მეძავი ქალი მიუყვანეს, რომელმაც მას მრუშობაში დასწამა ცილი. უფლის მსასოებელმა მოძღვარმა ქალის მუცელს კვერთხი შეახო და ნაყოფს უბრძანა, სიმართლე ეთქვა, ფეხმძიმე ქალის საშოდან ჩვილმა ამხილა დედამისი. ცილისწამებით აღშფოთებულმა ხალხმა მეძავი ქალი ქვებით ჩაქოლა. დავითმა გამძვინვარებული ბრბო ვერ შეაჩერა... ამის შემდეგ ლუკიანესთან ერთად მან დატოვა თბილისი და ყარაიას ველზე მდებარე გარეჯის უდაბნოს მიაშურა. ისინი იქ, კლდეში, პატარა გამოქვაბულში დაეყუდნენ. მამები იკვებებოდნენ ბალახითა და ხის ქერქით. ოთხშაბათისა და პარასკევის გარდა, მათთან ირმები მიდიოდნენ. ლუკიანე წველიდა მშვიდად მდგარ ირმებს, წმიდა ბერი ჯვარს გადასახავდა რძეს და ყველად აქცევდა.

მეუდაბნოე მამების რიცხვი იზრდებოდა... ბერი დოდოც, გარეჯში კლდეშივე გამოკვეთილ სენაკში დაეყუდა თავის ძმებთან ერთად... გარეჯელი მამები სასწაულებს ახდენდნენ – კურნავდნენ დავრდომილებს.

რამდენიმე ხნის შემდეგ დავით გარეჯელი პალესტინაში წავიდა. მოილოცა სიწმიდეები და მადლის ქვა ჩამოიტანა... ამის შემდეგ საძმო ერთიორად გაიზარდა. გავიდა ხანი. ნეტარი ბერი გარდაიცვალა. საკვირველმოქმედი მამის საფლავის თაყვანისმცემელნი დღესაც იკურნებიან სულიერი და ხორციელი ტკივილებისგან.

საქართველოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II საზეიმო ლოცვას აღავლენს მამა დავითის სახელობის ტაძარში.

**მოამზადა**
**გიული ლიპარტიამ.**

სპორტულ ორბიტაზე

## ასაფა პაუელი – უსწრაფესი ადამიანი

**სწორედ რომ ჩვენი პლანეტის უსწრაფესი ადამიანის სახელი დაისაკუთრა იამაიკელმა ასაფა პაუელმა, როდესაც ათენში „სპორტის დედოფლის“ მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის სუპერ გრან-პრის გათამაშებაზე ასი მეტრი 9,77 წამში გაირბინა და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.**



ადრინდელი რეკორდი – 9,78 წამი – 2002 წელს აჩვენა ამერიკელმა ტომ მონტჰომერიმ, მაგრამ მან სპორტული ჩინოვნიკები დააეჭვა, რადგან აშშ მოქალაქე სამშობლოშივე დაადანაშაულეს დოპინგის გამოყენებაში, იქამდე კი მსოფლიო რეკორდი – 9,79 – ისევ ამერიკელ მისის გრინს ეკუთვნოდა.

პაუელის რეკორდს არავინ დაუეჭვებია. დიდებული ამინდი იყო, წამში 1,6 მეტრის სიჩქარის ქარი ქროდა, დასაშვები კი 2 მეტრამდეა.

22 წლის ასაფა პაუელი მხოლოდ მეოთხე „არაამერიკელია“, ვინც 1912 წლის შემდეგ 100 მეტრზე მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

## კიევის „დინამოს“ სათავეში

**როგორც უკრაინის დედაქალაქიდან იუწყებიან, უახლოეს ხანში კიევის „დინამოს“ საჭესთან დადგება ქვეყნის ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ლეონიდ ბურიაკი. ის ამ პოსტზე შეცვლის იოჟეფ საბოს, რომელმაც განვლილ სეზონში გუნდთან ერთად განსაკუთრებულ წარმატებას ვერ მიაღწია.**

## რონალდუს ფული „ნაყვარება“

**ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველი კრიშტიანუ რონალდუ ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელად გახდომას აპირებს.**

როგორც მისმა აგენტმა, პორტუგალიელმა ჟორჟ მენტეშმა განაცხადა, 20 წლის ფეხბურთელი უახლოეს ხანში პლანეტის ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშე გახდება. „სამი წლის შემდეგ კრიშტიანუ მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ფეხბურთელი იქნება. ამაში მე ეჭვი არ მეპარება. თუ კი ის „იუნაიტედში“ დარჩება, მაშინ კლუბი უნდა დათანხმდეს მის მიერ წამოყენებულ პირობებს“, – განაცხადა აგენტმა.



**სალაღობო – იუბილარს**

# დეიქცა ქვეყანა, დეიქცა, დეიქცა!..



თვალსაჩინო ქართველ მწერალს ოტია იოსელიანს დღეს 75 წელი უსრულდება. დიდია მისი დამსახურება თანამედროვე ქართული პროზის, დრამატურგიის, საბავშვო მწერლობის განვითარებაში. ბატონი ოტია, ვით ჭეშმარიტ მამულიშვილს შეჰფერის, მთელი თავისი ცხოვრება მნათესავით ერის სამრეკლოზე დგას და არისხებს ზარებს ჩვენი მრავალტანჯული ქვეყნის გადასარჩენად. „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია სულითა და გულით ულოცავს „გვიშტიბელ შოლოხოვს" ღირსშესანიშნავ თარიღს, ახალ-ახალ შემოქმედებით წარმატებებს უსურვებს და ჩვენი კორესპონდენტის მიერ ამ ცოტა ხნის წინათ ჩაწერილ მის მონოლოგს სთავაზობს მკითხველს.

დეიქცა ქვეყანა, დეიქცა, დეიქცა!..
გადაბრუნდა ურემი, წეიქცა, წეიქცა!..
მე გაფრთხილებდით, თქვენ მაჩერებდით:
— დეიცა, დეიცა!..
ვაი, სირცხვილო, ზოგი თურქეთში
საკახპოდ გეიქცა!..
ზოგმა გეიტანა ღობე და „რეიცა"!..
გაქრა ფინიკია, შუმერი, მარტველე
ქაფიანიძე დარჩა!..

ჩვენც დევიქცევით, ოცნებებით დროს
ტუულა ვხარჯავთ!...
რა გემღერებათ და რა გესუფრებათ?!
ვინ მისცა მიშაიას ამის უფლება?!
არ გდომებიათ, ბიძია, თქვენ,
თავისუფლება!..

გეიგეთ, რომ არ გვცალია
საავკაცოდ, საბოროტოდ,
იუბილეს ვერ გადვიხდი,
სიმინდი მაქ სამოროდო!

ჩაიწერა
**ვილენ მარდალეიშვილმა.**

**ბელა დურგლიშვილის**
**მეგობრული შარჟი.**

P. S. **ჩვენს მილოცვას უერთდება ბატონი ოტიას მშობლიური რაიონის – წყალტუბოს გამგეობა, კულტურის განყოფილება და ჯანის სიმრთელეს უსურვებენ ძვირფას თანამემამულეს.**

**გიხაროდეთ!**

# მოდით, პატარებო, მოდით!



ბუნებრივია, ახალგაზრდა წყვილი მშობიარობისთვის დღევანდელი მოთხოვნების შესაბამის კლინიკას ირჩევს. ასეთს მიეკუთვნება თბილისის ექსპერიმენტული სამშობიარო სახლი (მდებარეობს „300 არაგველის" მეტროსთან).

გუშინ მორიგე მედდა ნარგიზი ცუცქირიძე დაგვიკავშირდა. მათთან ივნისის ორი კვირის მანძილზე 29 ბავშვი დაიბადა, – 16 ბიჭი და 13 გოგო.

აუწონელია ქალის ამაგი. მისი უპირველესი მოვალეობაა არა მარტო შთამომავლობის გაჩენა, არამედ ერის საუკეთესო თვისებების მქონე შვილების აღზრდა. სწორედ ამ შეგნებით ისტუმრებენ სამშობიაროდან თავიანთ პაციენტებს.

ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.

**ცოტაც გავიღიმოთ...**



ფულით შეიძლება შეიძინო სახლი, მაგრამ არა ოჯახი.

ფულით შეიძლება შეიძინო საწოლი, მაგრამ არა ძილი.

ფულით შეიძლება შეიძინო საათი, მაგრამ არა დრო.

ფულით შეიძლება შეიძინო წიგნი, მაგრამ არა ცოდნა.

ფულით შეიძლება შეიძინო მდგომარეობა, მაგრამ არა ღირსება.

ფულით შეიძლება შეიძინო წამალი, მაგრამ არა ჯანმრთელობა.

ფულით შეიძლება შეიძინო დაზღვევა, მაგრამ არა უსაფრთხოება.

როგორც ხედავ, ფული ჯერ კიდევ არ ნიშნავს ყველაფერს.

ამიტომაც, თუ ძალიან ბევრი ფული გაქვს, შეგიძლია, ნაწილი მე მომცე.

* * *

— ალო, ზოოპარკიდან გირეკავთ, თქვენი სიდედრი ნიანგის აუზში ჩავარდა.

— ნიანგი თქვენია და თქვენვე უშველეთ!

* * *

— აწი არასდროს დაველოდები გულის ფანცქალით მისი ნაბიჯების ხმას და კარზე ზარს ზუსტად საღამოს შვიდ საათზე!

— ღმერთო ჩემო, რა მოხდა?

—... და მას აწი არასოდეს დახვდება ჩემი სასტუმრო ოთახი სანახევროდ ჩაბნელებული...

— რას ამბობ, რაშია საქმე?

— ... იგი არასოდეს მომიჯდება გვერდით, არასოდეს მომეფერება და მეტყვის საალერსო სიტყვებს! საღამოს კი მის ყველა სასიყვარულო ბარათს დავწვავ!

— რაო, მასთან განშორებას აპირებ?

— არა! ცოლად მივყვები!

* * *

ორი ჩუქჩა ცაში იყურება:

— თვითმფრინავი მოფრინავს. ნაღდად სამთავრობო იქნება.

— არა, სამთავრობო რომ იყოს, წინ ოთხი მოტოციკლისტი იფრენდა.

* * *

— რიგითო ივანოვ, შენ ბრიყვი ხარ!

— მაგრამ, ამხანაგო კაპიტანო...

— ეს ბრძანებაა!

* * *

— დაქორწინება მინდა.

— დაქორწინდი მერე. ვინ არ გაძლევს უფლებას?

— არავინაც არ მაძლევს.

**ლარის კურსი**

**15 ივნისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლ. გირვ. სტერ. | 1 | 3.2868 ლ. |
| აშშ დოლარი | 1 | 1.8175 ლ. |
| ევრო | 1 | 2.2050 ლ. |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0636 ლ. |
| აზერბაიჯ. მან. | 1000 | 0.3835 ლ. |
| სომხური დრამი | 100 | 0.3984 ლ. |
| უკრაინული გრივ. | 10 | 3.6205 ლ. |

**ისარგებლეთ ცხელი ხაზით!**

საპატრულო სამსახური – 022;
გენერალური პროკურატურა – 99-74-10;
შინაგან საქმეთა სამინისტრო – 99-53-50;
საგარეო საქმეთა სამინისტრო – 28-47-47;
ფინანსთა სამინისტრო – 22-17-80; 22-09-24;
იუსტიციის სამინისტრო – 75-82-21;
ჯანდაცვის სამინისტრო – 94-34-98;
ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო – 38-47-98;
სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 98-57-81;
ეკონომიკური განვითარების სამინისტრო – 98-23-58; 50-69-00;
შსს სანებართვო განყოფილება – 98-57-01;
კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია – 95-30-81; 96-71-78;
თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია – 23-56-73;
საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 39-52-47;
თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 37-78-70;
შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური – 22-61-48; 22-33-53;
ერთიანი საპენსიო ფონდი – 69-65-93; 69-65-94.
კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება – 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში – 51-77-37.

**მთელი ხმით**

# მოდგენ ხასიათზე – რაღაი გაძღენ

## ავტორის „მოგზაურობა" სამ დროში, ხან მუხრან მაჭავარიანის ცნობილი ლექსით, ხანაც საკუთარი დაკვირვებით

**დიდოსტატურად აღწერს, დაუვიწყარი კომიკური ელფერით ხატავს თავის ერთ-ერთ ადრინდელ ლექსში მუხრან მაჭავარიანი მეცხრამეტე საუკუნის მიწურულის იმერულ ქელეხს. გახსოვთ ალბათ პოეზიის მოყვარულთ : „ასწლოვან მუხებში გაშლილია მდიდარი სუფრა. გარდაიცვალა ცნობილი თავადი ფრიდონ!.. – ჩინებული აღაპია!.. ღატაკი აზნაური – კოწია – თავაზიანობს ნამეტანს: – კარტოფილს არ მიირთმევთ, ქალბატონო აგრაფინა?!"..**

**გრძელდება აღაპი, უკვე ხითხითის ხასიათზე დაუყენებია კოწიას აგრაფინა – „მოდგენ ხასიათზე – რაღაი, გაძღენ..." ვიღას ახსოვს, რომ ცხედარი დასამარხია, ძლივს რწევა-რწევით მიაქვთ კუბო სასაფლაოსკენ. სხვათა შორის, უკვე კარგა ხნის შემდეგ, რაც მახსოვრობა მომდევს, იყო შემთხვევები, როცა კინაღამ დაუმარხავი დარჩენიათ მკვდარი, მოსამსახურეები, მესაფლავეები ერთიანად ბახუსმოკიდებულნი ტორტმანებდნენ. საერთოდ, ჭირის დღეზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ ვინ იყო „თავი კაცი", თუ იგი ვარგოდა და ავტორიტეტი ჰქონდა, ცხედრის მიწას მიბარებამდე მომსახურე პერსონალი (ცხადია, მამაკაცები) ჭიქა ღვინოს ვერ ასწევდნენ, ვინძლო სირცხვილი არ ვჭამოთო.**

მერე და მერე, ხალხმა რომ სული მოითქვა, „უძრაობის პერიოდში" „ამოძრავდა" და ფული იშოვნა, ქართული „სატირალიც" მეტისმეტად დამახინჯდა. „მანკიერ გადმონაშთებს" ებრძოდა ცეკა, დადგენილებები „ცხვებოდა", იმას ქადაგებდნენ, ცოტა ზომიერი ქელეხი რომ გადაეხადა ჭირისუფალს, სეფა სახლს მაინც მოაფარეთო, იმეორებდნენ რაიკომიდან დანაბარებს კოლმეურნეობის და საბჭოს თავმჯდომარეები. ვინ დაგიდევდა – ჭირისუფალი „გადასახურავით" მანქანის ფულს შოულობდა. „კომუნისტში", „ნიანგში" ხშირად წავიკითხავს ფელეტონი, იუმორისტული მოთხრობა იმაზე, თუ როგორ „გაყიდა" მავანმა გარდაცვლილი სიდედრი და 800-1000 კაცის შემოწირული ფულით, როგორ იყიდა „ვოლგა". ხალხი ფულის „დასადებად" რიგში იდგა და ცდილობდა, სხვას არ ჩამორჩენოდა, სხვაზე ნაკლები არ შეეწირა... ახლა, პურ-მარილს არ იკითხავდით? იზნიქებოდა მაგიდები, წარსულს ჩაბარდა „კარტოფილს არ მიირთმევთ?" ვინ გააჭაჭანებდა კარტოფილს, როცა ნაირ-ნაირი თევზეული ეწყო ერთმანეთზე.

„რამდენი დაუბარებია ცხონებულს?.." პურობის წინ ერთმანეთს ღიმილით გადახედავდნენ მამაკაცები. „ოცს ჭიქა არ უნდა დააკლდეს, ას წლამდე მიაღწია კინაღამ", იტყოდა რომელიმე და ხაშლამით სავსე სინს გვერდით გადააწოდებდა. ცოტა ხანში აღარავინ უსმენდა თამადას, იდგა თეფშების რაჩხარუჩხი და შიგადაშიგ ზენა ქარს სეფაში შემოჰქონდა ჭირისუფლის გულამოსკვნილი მოთქმა: „სად მიდიხარ, დიომიდე, სად!.." (ო, რა სატირულ ფერებში ხატავს ამ სიტუაციებს კინორეჟისორი ნანა მჭედლიძე თავის „იმერულ ესკიზებში").

დამთავრდა „კაი ცხოვრება", დამოუკიდებელი არსებობა, ცხადია, გაძნელდა, რაც „ჭირის დღესაც" დაეტყო. გახსოვთ, ამ ათი წლის წინათ ცხედრის დამარხვაც კი პრობლემა გახდა. ჭირისუფალი საფლავში ჩასვენებული კუბოს თავსახურავს ბარით ამტვრევდა, რომ იგი კუბოს ქურდებისთვის გამოუსადეგარი ყოფილიყო (აი, გადაგვარება)! გამონაკლისის გარდა, მოკრძალებული გახდა ქელეხიც (გამოჩნდა კარტოფილი). მაინც, რა სცოდნია საერთო გასაჭირს – სუფრაზე ხმაურის კი არა, გალიმების თავიც აღარ ჰქონდა ხალხს. აი, ნაღდი „ჭირის სუფრა" ეგ იყო. მაგრამ ქართველი რის ქართველია, თუ ასეთ დროს წელებზე ფეხი არ დაიდგა? თანაც, ნელ-ნელა, ქვეყნის მდგომარეობა უკეთესობისკენ წავიდა, ამასთან, კორუფციამ უზარმაზარ დონეს მიაღწია, ხალხმა „მაყუთი" იშოვა. ფულს მუთაქებში ნუღა შეინახავთ, ფულმა ფული უნდა მოიგოსო, და დატრიალდა ქართული მარიფათი. გადაიტენა რესტორნები, საქართველოში უპირველესი მშენებლობა გახდა რესტორანი, რესტორანი, რესტორანი...

ჰოდა, ქელეხები ახლა უნდა იკითხოთ!.. მტერს და ავს, თუ ვინმე მოგიკვდა, იმ დღესვე სადმე რესტორანი ან სარიტუალო დარბაზი (ოდნავ დაბალი ფენისთვის) თუ არ შეახაზირე, შეიძლება, ძალიან გაგიჭირდეთ „ჭირის სუფრის" გამართვა. მეორე მხრივ, სევდისმომგვრელია, აბა, რაღაა, როდესაც დღევანდელი სიდუხჭირის გამო, ღირსებააყრილი, სირცხვილდაკარგული ქართველი კაცი, უცხო ოჯახის „ჭირის სუფრაზე" ჯდება, არავის იცნობს და მადიანად კი შეექცევა პურ-მარილს. დღესდღეობით ასეთი ფაქტები მომრავლებულია და არც აღარავის უკვირს. ისე, კაცმა რომ თქვას, მადლი ეგ არის – მშიერის დაპურება...

ჩვენ ზემოთ თამადა ვახსენეთ. სულ შავ დღეში იყო „ჭირის სუფრაზე" თამადა, მაგრამ ახლა ნაღდად საცოდაობაა მისი ყურება. რა თქმა უნდა, არიან გამონაკლისები – ცნობილი თამადები, „სუფრის ღმერთები", მაგრამ, წარმოიდგინეთ, მათაც კი დიდი ძალისხმევა სჭირდებათ სუფრას „შესეული" ქალისა და კაცის დასაოკებლად, ერთი ხუთიოდე წუთით ყურადღების მისაპყრობად. ოქროპირობს თამადა, მაგრამ ვის ესმის, ხალხი გამეტებით ილუკმება, ახალ-ახალ კერძებს ელოდება, ხმაურობს, ზოგი უკვე ანეკდოტსაც ყვება... იქვე, „ლოკალურად" არჩეულ თამადას უსმენს... მეორე კუთხეში სხვა თამადა ჰყავთ თანამეინახეთ, და, ასეც ხდება, ისინი სუფრის დამთავრების შემდეგაც სხდან, „ჭუკჭუკებენ", დამლაგებლები კი მოთმინებით ელოდებიან...



რომან ქარქუსაშვილის ნახატი.

**მე მგონი, ზედმეტი არაფერი დამიწერია, ის კი არა, დამეთანხმებით, დავაკელი კიდეც... კი, მაგრამ, რა გინდა მერე მაგით რომ თქვა, შე უპატრონოო, იფიქრებს გამუდმებული მექელეხე.**

რა უნდა მინდოდეს, მე განა ქელეხების წინააღმდეგი ვარ, ზოგი ნაადრევად მიდის ამ ქვეყნიდან (მით უარესი), ზოგმა მთელი ცხოვრება იშრომა, იწვალა, მომავალს მოესწრო და ამ მომავალს სწორედაც უნდა, რომ გარდაცვლილი წინაპარი ღირსეულად გააცილოს... ოღონდ, ზომიერება გვმართებს, ზომიერება! ჩვენი „ჭირის სუფრების" სივაგლახეზე ჯერ კიდევ „ივერია" თითქმის ყოველ ნომერში წერდა. დრო გადის. ახალ ქვეყანას ვაშენებთ, მგონი, ევროპელებიც გავხდით და მამა-პაპათაგან ბოძებულ ტრადიციას, კეთილი ვინებოთ და მთლად ნუ გავაუკუღმართებთ. ზოგი, სხვათა შორის, სულაც არ იხდის ქელეხს და ამაში ვერც ვერაფერს ხედავს სამარცხვინოს. სასაფლაოდან მიბრუნებული უახლოესი ადამიანები „გაუხსნიან სულს" გარდაცვლილს, წაუქცევენ ჭიქას და ცხოვრებაც გაგრძელდება. მაგრამ დიდი უმეტესობა ქართველებისა, ამის მომხრე არასდროს იქნება...

მაშ, პატივი ვცეთ მიცვალებულს (ამით ჩვენ თავსაც), ბატონებო, თორემ, ახალგაზრდობა ისეა მოყურადებული, ხვალ-ზეგ, შეიძლება, სულაც არ დალიონ ჩვენი შესანდობარი.

**ვილენ მარდალეიშვილი.**

**ამინდი დღეს**

| 15 ივნისი | ☼ | ) |
|---|---|---|
| თბილისი | $28^0$ | $17^0$ |
| ბათუმი | $23^0$ | $13^0$ |
| თელავი | $28^0$ | $16^0$ |
| სოხუმი | $24^0$ | $12^0$ |
| ქუთაისი | $24^0$ | $18^0$ |

## დღის კალენდარი 16 ივნისისთვის

**წლის 167-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 198 დღე.**

**საეკლესიო კალენდარი**

**ხსენება წმიდა მოწამეთა: ლუკიანესი, კლავდისა, იპატისა; პავლესი, დიონისესი და პავლა ქალწულისა; მღვდელმოწამეთა ლუკიანე ეპისკოპოსისა, მაქსიანე ხუცესისა, იულიანე დიაკონისა, მარკელიანესი და სატურნისისა, ქალწულმოწამე იერიასი.**

**დაიბადნენ:**

**1830 – დანიელ ჭონქაძე,** მწერალი. გარდაიცვალა 1860 წელს.
**1851 – ეკატერინე გაბაშვილი,** მწერალი. გარდაიცვალა 1938 წელს.
**1867 – კონსტანტინე ბალმონტი,** რუსი პოეტი, მთარგმნელი. გარდაიცვალა 1942 წელს.
**1897 – გეორგ ვიტიგი,** გერმანელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1987 წელს.
**1925 – ოთარ კალანდრიშვილი,** მწერალი.
**1928 – რობერტ შეკლი,** ამერიკელი მწერალი.
**1930 – ოტია იოსელიანი,** მწერალი.
**1936 – ვახტანგ მიქელაძე,** რეჟისორი.
**1937 – სიმეონ II,** ბულგარეთის ბოლო მეფე, ამჟამად ბულგარეთის პრემიერ-მინისტრი.
**1941 – ოთარ ჩუბინაშვილი,** ქართველი მუსიკოსი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

**გარდაიცვალნენ:**

**1464 – როჯერ ვან დერ ვიდენი,** ფლამანდიელი მხატვარი.
**1722 – ჯონ ჩერჩილი,** მალბოროს ჰერცოგი, ინგლისის ერთ-ერთი გამოჩენილი სარდალი, ინგლისის პრემიერ-მინისტრი.
**1977 – ვერნერ ფონ ბრაუნი,** გერმანელი კონსტრუქტორი, შემდგომში ამერიკული კოსმოსური პროგრამის მთავარი კონსტრუქტორი.

**მოვლენები:**

**1967** – დიდი ბრიტანეთის ხუთმა პარაშუტისტ-ინსტრუქტორებმა განახორციელეს ყველაზე მაღალი ადგილიდან 11 942 მეტრ სიმაღლიდან გადმოხტომა.
**2000** – იაპონიაში ძლიერი მიწისძვრა მოხდა, რომლის სიმძლავრე 5,7 ბალი იყო.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა – საერთაშორისო სოლიდარობის დღე.**
**ირლანდია – დღესასწაული „ბლუმსდეი".**
**აფრიკელი ბავშვის დღე.**

**მედია-ნიუსი.**

**ხსოვნა**



## ლევან კიკნაძე

ქართულმა სამეცნიერო-ტექნიკურმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა **ლევან კიკნაძე,** რომლის სახელსაც საქართველოში გამოთვლითი მანქანის – თანამედროვე კომპიუტერების წინამორბედის ათვისება და დანერგვა უკავშირდება. საქართველოში პირველი დაწესებულება, რომელშიც ეს განხორციელდა, მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრი იყო (ახლანდელი ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი), რომლის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო-ტექნიკურ ნაწილში სიცოცხლის ბოლომდე ბატონი ლევანი გახლდათ.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროისათვის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფმოქმედი გამოთვლითი მანქანა "□□□□-2" მოსკოვში, პეტერბურგსა და თბილისში ერთდროულად დაიდგა. ეს განაპირობა ლევან კიკნაძის ხელმძღვანელობით ახალგაზრდა ქართველი სპეციალისტების ერთი ჯგუფის ამ სერიის მანქანის მოსკოვში დაპროექტებისა და გაწყობის სამუშაოებში აქტიურმა მონაწილეობამ. იმ დროს ასეთი მანქანის თბილისში ჩამოტანა და გაწყობა საქმის ნახევარი იყო. მის გამართვას და მომსახურებას ახალი კადრები ესაჭიროებოდა: ინჟინრები, მათემატიკოსები, პროგრამისტები, ოპერატორები. მათ მოსამზადებლად და აღსაზრდელად ბატონმა ლევანმა დიდი შრომა გასწია. გამოთვლითი მანქანის ექსპლოატაციაში გაშვებამ მთლიანად შეცვალა ჩვენი ქვეყნის ბევრი სამეურნეო და სამეცნიერო-ტექნიკური ამოცანის დასმის, მომზადებისა და გადაწყვეტის საკითხი, როგორც გამარტივების, ასევე დახარჯული დროის შემცირების თვალსაზრისით.

ბუნებრივია, გამოთვლითმა მანქანამ ბევრი დამკვეთი მიიზიდა, რომელთა ინტერესები მიზეზთა და სხვათა გამო ყოველთვის ურთიერთშეთანხმებული ვერ იქნებოდა. ბატონი ლევანი ალბათ ერთადერთი ადამიანი იყო, რომელსაც თავისი მაღალი ინტელექტისა და შემწყნარებლური ბუნების წყალობით ყოველთვის შეეძლო ინტერესთა ურთიერთობის დელიკატური ფორმით წარმართვა.

გავიდა დრო და ლევან კიკნაძის მიერ წამოწყებული და წარმართული საქმე დღეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თანამედროვე ინტერნეტ-ცენტრის სახით ჩამოყალიბდა, რომლის ხელმძღვანელიც სიცოცხლის ბოლომდე ბატონი ლევანი ბრძანდებოდა.

საქართველოს საინჟინრო აკადემიამ ლევან კიკნაძის მოღვაწეობას მაღალი შეფასება მისცა. ის თავის საპატიო წევრად აირჩია.

ბატონი ლევანის ამ ქვეყნიდან წასვლა არა მარტო მის ოჯახს, შვილებსა და შვილიშვილებს დააკლდება, არამედ აგრეთვე იმ საქმეს, რომელსაც იგი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა.

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის**
**მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება;**
**ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი.**



საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდიუმი აცხადებს აკადემიის საპატიო წევრის, ღვაწლმოსილი მეცნიერისა და ცნობილი მოქალაქის

ლელო (ლევან) გრიგოლის ძე
კიკნაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო-ტექნიკურ ნაწილში, საინჟინრო აკადემიის საპატიო წევრი, ბატონი

ლევან კიკნაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

---

ბიცოლა ქეთევან გარსიაშვილი, ბიძაშვილები თამრიკო, მერაბი, ლევან კლიმიაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კეთილშობილი და დიდსულოვანი ადამიანი

ლევან (ლელო) კიკნაძე.

---

შვილები თინათინ, ხათუნა იმნაიშვილები, სიძე ლევან ჯოხაძე, შვილიშვილები თემუკა, ბექა, ნიკა, შვილთაშვილი ნიკა, რძლები ქეთი ნეფარიძე, ნანა ტრაპაიძე, ძმა სერგო, დები ეთერ, ნუნუ, ნაზი იმნაიშვილები ოჯახებით, ძმისწულები, დისწულები, ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თეიმურაზ იმნაიშვილი.

დაკრძალვა 19 VI, ლანჩხუთის რაიონი, სოფ. შუხუთი.

---

ბიძა იოსებ კვინტრაძე ოჯახით თანაუგრძნობს თამაზ გიორგის ძე კვინტრაძეს დედის

ელისაბედ ღლაშვილი-კვინტრაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

---

შპს „საქწიგნის" სათაო ორგანიზაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მაღაზია „საუნჯის" გენერალური დირექტორი

მერაბ დურმიშხანის ძე თევდორაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

რძალი ეთერ სარალიძე-გლურჯიძისა, შვილიშვილები რუსუდანი და შოთა გლურჯიძეები, რძალი ნანა შონია, სიძე ზურაბ მაღალაშვილი, ძმისწულები ნინო, ნიკა და სანდრო ახვლედიანები, დისწული ზურაბ ყაზახიშვილი, შვილთაშვილები სანდრო, თომა, გაბრიელ გლურჯიძეები იუწყებიან

რუსუდან ახვლედიანი-გლურჯიძის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 16, 17 VI, 17 სთ., გამოსვენება 18 VI, 15 სთ., მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი 46, IV შესასვლელი, VI სართული.

---

ანზორ და დიანა შონიები, შვილებით ქეთინო და მედიკო, თანაგრძნობას უცხადებენ სიძეს, შოთა გლურჯიძეს ბებიის

რუსუდან ახვლედიანი-გლურჯიძის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის თანამშრომელი, სამამულო ომის ვეტერანი, ბატონი

რევაზ ჩოჩია

და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

---

შვილები ალექსანდრე, სერგო, ნათელა მიქაძეები, შვილიშვილები ინგა გოგუა, ალექსანდრე მიქაძე, სიძე რამაზ გოგუა, რძლები მაია, ნატაშა მიქაძეები, ძმისწულები გიორგი, მარინა მიქაძეები, დისწულები ზურაბ, ქეთინო ფაცაციები, ნათესავები, ახლობლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ანზორ მიხეილის ძე მიქაძე.

პანაშვიდი 16, 17 VI, 16 სთ., დაკრძალვა 18 VI, 14 სთ., ჭავჭავაძის 39, VI სადარბაზო.

---

სს „საქჰიდროენერგომშენი" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამ ორგანიზაციის გენერალური დირექტორის ყოფილი მოადგილე, ენგურჰესის მშენებლობის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ღვაწლმოსილი მუშაკი

ანზორ მიქაძე

და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს, ნათესავებსა და ახლობლებს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები
გამომცემელი – „თანადგომა-1"
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
ბონდო გულიაშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება – ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

CYAN BLACK